

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენციის მასალები

MODERN TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT IN
POSTCOMMUNIST COUNTRIES

Materials of Scientific-Practical Conference of Economists of Georgia

თბილისი
TBILISI

ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
L.E.P.L PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენციის მასალები

MODERN TENDENCIES OF ECONOMIC DEVELOPMENT IN
POSTCOMMUNIST COUNTRIES

Materials of Scientific-Practical Conference of Economists of Georgia

“მერიდიანი” “Meridiani”
თბილისი Tbilisi 2007

წინამდებარე კრებულში შემოსულია 2007 წლის საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

The present collection of works includes the materials and speeches made at the Scientific-practical conference of economists of Georgia in 2007

სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი), გ. ბერულავა, ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, ა. თეთრაული, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), მ. მუჩიაშვილი, ი. ნათელაური, თ. ჩხეიძე, გ. შიხაშვილი, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე

Editor Board: R.Abesadze (Scientific editor), V. Burduli, G. Berulava, T. Chkheidze, L. Datunashvili, N. Khaduri, A. Kuratashvili, M. Khuskivadze, T. Lazarashvili (executive secretary), M. Muchiashvili, I. Natelauri, G. Shixashvili, A. Tetrauli.

რეცენზენტები: ე.მ.დ. გ. პაპავა,
ე.მ.დ. მ. კვარაცხელია

Reviewers: Doc. of Econom. G. Papava,
Doc. of Econom. M. Kvaratskhelia

“მერიდიანი”
“Meridiani”
2007

ეკონომიკური თეორიის სექცია

ალფრედ კურატაშვილი

სოციალური მიზნის ფილოსოფია – საბაზრო ეკონომიკის ადამიანის ინტერესებზე ორიენტაციის ამოსავალი თეორიული საფუძველი

საყოველთაო ხასიათის მქონე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში, როდესაც საბაზრო ურთიერთობები მოიცავს საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა სფეროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ურთიერთობების ორიენტაციის პრობლემას ადამიანის ინტერესების რეალიზაციაზე.

თუმცა საბაზრო ურთიერთობების არსებობისა და ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ ურთიერთობების გენეტიკურად ანტაგონისტური ბუნება, მისი დაძლევის სათანადო გზებისა და მექანიზმების არარსებობის პირობებში, წინააღმდეგობაში მოდის საბაზრო ეკონომიკის ორიენტაციასთან ადამიანის ინტერესების რეალიზაციაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ბაზრის წინააღმდეგი კი არა ვართ, არამედ პირიქით. ჩვენ ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების მომხრე

ვართ, მაშინ როდესაც ბაზრის ფილოსოფია არის – მოგება როგორც თვითმიზანი.

მაშასადამე, თუმცა საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენება სოციალური მიზნის რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ეს ურთიერთობები გენეტიკურად მაინც ანტაგონისტურია და ამიტომ შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე მათ შეუძლიათ გამოამჟღავნონ თავისი გენეტიკურად ანტაგონისტური ბუნება იმის მსგავსად, როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანში შეიძლება გამოამჟღავნდეს ძველი ავადმყოფობა სათანადო რეჟიმის და ა. შ. დაუცველობის შემთხვევაში.

აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილება კი არ არის, არამედ ეკონომიკაა.

მიუხედავად ამისა, თავისი არსობრივი ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილება, რომლის მიზანია – მოგება, ფული, კაპიტალი, ნამდვილად დაყვანილია საბაზრო ეკონომიკაზე, ე. ი. ეფუძნება საშუალებათა ფილოსოფიას და ამით საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა დაყავს საბაზრო ეკონომიკაზე – ბაზრის ბატონობაზე, რაც, ჩვენი აზრით, სიღრმისეულ შეცდომას წარმოადგენს როგორც ჭეშმარიტად ადამიანური მე-

თოდლოგიისა და თეორიის, ისე პრაქტიკული – ხალხის ინტერესების – თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საშუალებათა ფილოსოფიაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც მიზნის ფილოსოფიისაგან განსხვავებით საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა მიზანს და მის რეალიზაციას, არამედ საშუალებებს.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების გენეტიკურად ანტაგონისტური ბუნების დაძლევის მიზნით, როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის მართვაში უნდა ვეფუძნებოდეთ არა საშუალებათა ფილოსოფიას – არა საშუალებათა ეკონომიკურ თვითმიზანს, არამედ უნდა ვეფუძნებოდეთ საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივას – სოციალური მიზნის ფილოსოფიას.

სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი მეცნიერული საფუძველია, და რომელიც, ამასთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის ადამიანის ინტერესებზე ორიენტაციის ამოსავალ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

უფრო მეტიც, ჩვენი ღრმა რწმენით, სოციალური მიზნის ფილოსოფია საფუძვლად უნდა დაედოს კაცობრიობის განვითარების ორიენტაციას და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

გიორგი პაპავა

**პოსტკომუნისტური ეკონომიკა უნდა იყოს
ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკა**

1. არა მარტო პოსტკომუნისტური ეკონომიკა უნდა გახდეს ამჟამად არსებული შერეული საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის პროდუქტი, არამედ ამ გზამ უნდა უზრუნველყოს შერეული საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცება, ეკონომიკური პარალოგიზმების შემცირებით ნებისმიერ ქვეყანაში, მათ სრულ ლიკვიდაციამდე მიყვანით. ეს შედეგი კი უაღრესად შეზღუდავს შერეულ საბაზრო ეკონომიკაში ნეგატიურ ქცევებს და გამაძლიერებელ ნიადაგს შეუქმნის პოზიტიურ ეკონომიკურ ქცევებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურ ეკონომიკაზე გადასვლა ესაა ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

2. საერთოდ ამჟამად არსებული საბაზრო ეკონომიკა დღესაც მოითხოვს სახელმწიფოს მიერ იმგვარ (და არა ყოველგვარ) ჩარევას საბაზრო ეკონომიკაში, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაბალანსებას. ე.ი. წონასწორობას, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა "უხილავი ხელით" ეკონომიკაში სახელმწიფოს სათანადო ჩარევის გარეშე. ამიტომ უწოდებენ მას შერეულ საბაზრო ეკონომიკას.

ის, თუ რა და როგორი ჩარევა უნდა განხორციელოს სახელმწიფომ, საერთოდ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია დადგინდეს ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი შემეცნების მეთოდოლოგიის გამოყენებით, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იურიდიულ-ეკონომიკური მართლწესრიგის დასამყარებლად.

3. შერეული საბაზრო ეკონომიკის დანიშნულება უნდა იყოს მისი ნორმალური ფუნქციონირების განხორციელება სახელმწიფოს არა ნებისმიერი, არამედ სათანადო ჩარევით. ამ გზით შეგვიძლია მოვახდინოთ საბაზრო ეკონომიკის სოციალიზაცია. საბაზრო ეკონომიკის სოციალური დახვეწა უნდა განხორციელდეს ეკონომიკის ჯანსაღი განვითარებისათვის. ეს კი უნდა მოხდეს ეკონომიკური პროგრესის თავსებადობით ჯანსაღი სოციალური ვითარების ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან.

4. თანამედროვე დემოკრატია თავისი არსით მოითხოვს შერეული საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციას. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ამ პრობლემის მოგვარების გარეშე ხალხის (დემოსის) ძალაუფლებაზე მსჯელობაც კი ”წყლის ნაყვას” ემსგავსება.

5. ეკონომიკის თეორია გვეხმარება, მაგრამ სრულყოფილობით ვერ შეცვლის ეკონომიკურ რეალობათა, დროის პერიოდების მიხედვით, თვისებრიობის აღქმისა და შეცნობის იმ დონეს, რომელსაც თანამედროვეობა მოითხოვს.

6. შერეულ საბაზრო ეკონომიკაში უნებლიედ დაშვებული ლოგიკური შეცდომები წარმოადგენენ ეკონომიკურ პარადოგიზმებს (პარადოგიზმი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა).

საერთოდ კი ისინი თავს იჩენენ არა მარტო ლოგიკის კანონების დარღვევით, არამედ ეკონომიკურ რეალობათა წარმოქმნის ბუნებრივ წყობაში გაურკვეველობით.

7. ეკონომიკური აზროვნება უნდა იყენებდეს ეკონომიკის საფუძვლიანი შეცნობისათვის მეცნიერებათა ისეთ ინსტრუმენტარიას, როგორცაა ფილოსოფია, სისტემოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ეკონომიკის მათემატიკა (უკანასკნელი კი გამორიცხავს ეკონომიკის არსზე დაყრდნობის გარეშე მათემატიკის ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებას).

ოპერანდის, ოპერატორისა და სახექმნილის ეკონომიკური ინტერპრეტაციის გარეშე შეუძლებელი ხდება ეკონომიკური მეცნიერების ეფექტიანი განვითარება და თანამედროვეობის შესატყვისი ფუნქციონირება, რათა თავიდან იქნას აშორებული ეკონომიკური პარალოგიზმების წარმოშობა.

8. ეკონომიკაში მოღვაწეთა (მომუშავეთა, გამრჯეთა, მოსაქმეთა) საქმიანობების მთლიანობითი სისტემა სათანადოდ უნდა იყოს ორგანიზებული არა მარტო საერთოდ, არამედ დროის პერიოდებში წარმოქმნილ ვითარებათა საპასუხოდაც. ამიტომ ეს სისტემა შესაბამისი ორგანიზებულობით უნდა პასუხობდეს ახლად წარმოქმნად ვითარებებს.

9. უაღრესად სიღრმისეულად მოქმედი ეკონომიკური პარალოგიზმია, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ ძირეულ პოზიტიურ და არა ნეგატიურ ფაქტორებს მივცეთ გასაქანი, უკეთეს შემთხვევაში მივსდევთ თავში დაშვებული შეცდომებით უკვე მიღებული ნეგატიური მოვლენების აღკვეთისათვის მათ კოსმეტიკურ მოპირკეთებას, რომელიც გარდა სოციალური ღონისძიებებისა, მოიცავს უაღრესად მტკივნეულ დასჯად ოპერაციებს. ე.ი. ჯერ ვქმნით ნეგატიური ქცევების ხელშემწყობ გარემოს, შემდეგ კი ვახორციელებთ დამსჯელ ოპერაციებსაც კი. განა ამგვარი პროცესები არ ამახინჯებენ დემოკრატიზაციის პროცესს და შესაძლოა მას აძლევენ არანორმალურ სახესაც კი..

10. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ ეკონომიკის, როგორც სათანადო პროცესის ჩამოყალიბებას გააჩნია თავისი ტექნოლოგია, რომელიც იწყება და მთავრდება დროის ყოველ პერიოდში – იქნება ეს თვე, კვარტალი თუ წელი.

11. ახალი ეკონომიკის ფორმირება მოასწავებს არსებულის, როგორც მთლიანობითი სისტემის ფორმის, მოცულობის და ინგრედიენტების შეცვლას არა მექანიკურად, არამედ არსებული მთლიანობითი სისტემის უმტკივნეულო, თანდათანობითი გარდაქმნით ახალ მთლიანობით სისტემად.

12. საჭიროა ინტერესთა შეწონასწორებული გზით მივაღწიოთ საზოგადოების დემოკრატიზაციას და არა წეწვა-გლეჯით გადახრას ხან მარჯვნივ და ხან კი მარცხნივ, ე.ი. ანტიდემოკრატიული ქცევებით.

13. საზოგადოება ყოველთვის უნდა არსებობდეს დემოკრატიაზე დაყრდნობით, სულ ერთია ეს იქნება გარდამავალი პერიოდი ერთი საზოგადოებრივი წყობიდან მეორეზე, თუ არსებულის შემდგომი განვითარება. არ უნდა მივცეთ ჩვენს თავს უფლება გაეწიროთ მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორე ნაწილის კეთილდღეობისათვის, ან ძველი თაობა ახალი თაობის კეთილდღეობისათვის და ისიც პარალოგისტური მიდგომის გამო.

14. დღის წესრიგში დგება დროის ყოველ პერიოდში ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი ცვლილებების მეცნიე-

რულ დონეზე შემეცნების მეთოდოლოგიის შექმნა და ეკონომიკის ორგანიზებული წარმართვის გაზომვის მეთოდოლოგიის მიგნება და გამოყენება, რათა აღმოიფხვრას პარალოგიზმების აღმოცენებით ამ გზაზე დამახინჯებები.

15. დემოკრატიული სახელმწიფო შეზღუდული უნდა იყოს მისი უფლებებით ჩაერიოს შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალობათა ჩამოყალიბების პროცესში, რათა არ დაარღვიოს სოციალურად და ეკონომიკურად მისი ნორმალური ფუნქციონირების, როგორც მთლიანობითი სისტემის, პარამეტრები.

16. ეკონომიკური ანალიზის და ეკონომიკური სინთეზის, როგორც კვლევითი მეთოდების ლოგიკურ ერთიანობაში წარმოდგენა და გამოყენება მოითხოვს ჯერ ეკონომიკური რეალობის, როგორც მთელის დანაწევრებას, შემდეგ კი მის მთლიანობაში წარმოდგენას მისთვის მახასიათებელი ინგრედიენტების შეუღლებით ამ მთელის კონსტრუქციის თანახმად, რათა გავერკვეთ ამ ინგრედიენტების როლებსა და ქცევებში. ამ გზით შეგვიძლია გამოვრიცხოთ ეკონომიკური პარალოგიზმები.

17. ამიტომ ეკონომიკურ რეალობათა თვისებრივი შეცნობის მეთოდოლოგია მთლიანობაში მოიცავს ეკონომიკურ ანალიზს და ეკონომიკურ სინთეზს.

**ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები და
თანამედროვეობა**

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის ღრმა პროცესშია ჩართული. ეკონომიკურად და სოციალურად მაღალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს როგორც განვითარებად ქვეყანას ისეთი ნიშანთვისებები გააჩნია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა სწორი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისათვის, ვინაიდან ამ თავისებურებებს გარკვეული სახის კონკრეტული ზემოქმედება შეუძლიათ მოახდინონ ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე.

ამ საკითხს დიდი ილია ერის ინტელექტუალური ძალების კარდინალურ პრობლემად მიიჩნევდა. მის შემოქმედებას ყოველთვის წითელ ხაზად გასდევდა მისი ბრძნული თეზა – “წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა!” ამ მარადიული სიბრძნის გამოძახილია სწორედ “... დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა ... ეს სამი სხვადასხვა ხანი, სხვადასხვა უამი ერის ცხოვრებისა, ისეა

ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა უამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებითი კანონი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ეპოქაში ილიას შეხედულებები ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის შესახებ. დიდი ილია გვასწავლის, რომ “თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, - მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არ შეაყენოს”.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ქართული ცხოვრების წესმა, მათ შორის სამეურნეო განვითარებამ და ქვეყნის საერთო გეოპოლიტიკურმა ვითარებამ საუკუნეების მანძილზე თვითონ “აღმოშობა” ისეთი წესი და კანონები, რომელთაც ჩვენგან გაგება და ახალ ისტორიულ პირობებში გამოყენება უნდა.

ასე თუ მივუდგებით დღევანდელ ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის არსებობს სერიოზული რეზერვები და შესაძლებლობები. აქედან, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიყოს სამი გლობალური პრობლემა:

1. საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები;

2. ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება, რაც მსოფლიო კავშირურთიერთობათა გააქტიურებაში გამოიხატება;

3. სწორი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყნის პროგრესის გზით წასაყვანად საკმარისი არაა მარტო მისი მდიდარი მატერიალური რესურსები, ან მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა. დიდ ილიას კარგად ჰქონდა გააზრებული ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყანამ თვითონ თუ არ მოუარა თავის თავს და თავის პრობლემებს, არავითარი გარედან დახმარება და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ვითარება არ გვიშველის. ჩვენი ეროვნული ეკნომიკა, როგორც ჩვენი საზოგადოების ბაზისი, პირველ რიგში, საკუთარ წარმოებას და მწარმოებელი ძალების განვითარებაზე უნდა იყოს გათვლილი, ხოლო შემდეგ – ნებისმიერ გარეშე ფაქტორზე. თუ ასე არ მოხდა, ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მიწა-წყალს, როგორც “უპატრონო ეკლესიას, სხვანი დაუწყებენ პატრონობას”.

ილიას მოძღვრება თანამედროვე ეპოქის ფილოსოფიური გააზრების რეალურ საფუძველსაც იძლევა. ერი, რომელიც “წარმოებისაკენ არ არის მიდრეკილი”, მის ნაცვლად

“უქმობს და ცუდაობს”, ძალაუნებურად ცხოვრების ასპარეზს სხვას უთმობს და ამით მას მომავლის პერსპექტივაც ეკარგება. ერის ხელმძღვანელთა მოვალეობაა “კაცთა შორისი ურთიერთშორისი განწყობილება” ისე ააწყონ, რომ ქვეყანას კატასტროფა თავიდან ააცილონ. სხვანაირად ქვეყნის სიმდიდრე წყალში გადაიყრება.

აქვე ილია ჭავჭავაძე იძლევა კაპიტალის ერთ მეტად ნიშანდობლივ დახასიათებას, რომელიც განსაკუთრებული ძალით ეხმაურება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას: “კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი, ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა – იქა მკის, საცა არ უთესია. . . უფულო ერი მისი საძოვარია, მისი საცხოვრებელია, მაშასადამე ჩვენი უღონობით არის იგი ძლიერი. ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ძალი მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავის საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება”. აქვე ილია სადღეისოდ მეტად მეტად აქტუალურ დაკვირვებასა და დასკვნას გვაძლევს: “ჩვენთა მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ედება ბრალად იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯეული, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია”. მისი მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ ხალხსა და ქვეყანაში მთავარი და ძირითადი საქმე შრომის სწორი ორგანიზაციაა, ეკონომიკის განვითარების სწორი

გზა-კვალის მიცემაა. “ყველგან ამ გზით დაუხსნიათ თავი ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან, როგორშიც დღეს ჩვენ ვართ ჩავარდნილნი”.

ასე, რომ ილია ჭავჭავაძისთვის კაპიტალი და კაპიტალიზმი, ისე როგორც საბაზრო ეკონომიკაც, პანაცეა არ არის. იგი მაშინ შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური საშუალება, როცა ის ჰუმანიტარულ ხასიათს შეიძენს და მთელი ერის ინტერესებს, ხალხის კეთილდღეობას, შრომისა და მშრომელი ხალხის მატერიალური მდგომარეობის პერმანენტულ გაუმჯობესებას მოემსახურება და არა ერთი მუჭა რანტიათა პარაზიტულ კლანებს.

ილიას დასკვნა არანაკლებ ესეა ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას: “რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან მოვა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სუღელი,- ამას აღარ დავდევთ და პირღია შევეყურებთ – ჭკუის მასწავლებელი აბა, ეს არისო. . ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაუკეთებია რა, ჩვენკენ გამოვბის, თან ორიოდუ მზად გააკეთებული და მოგონებული რეცეპტიც თან მოაქვს და მტკერს გვიყენებს თვალწინ – საზღვარგარეთ ესეა და თქვენც ესე უნდა მოიქცეთო... რაც კი რამ ჩვენს სამშობლოშია, ყველას გვიქოლავენ – თქვენ რა იცით, ბრიყვები

ხართ, აბა, კარგი რა გექნებათო. ჩვენც ვიძახით – მართალი ბრძანდებითო”.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოს მომავალი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება სწორედ ქვეყნის ძველი ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ზოგად პრინციპებს უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური განვითარების გლობალური გაგებითაც და მისი დარგობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ეს კი, ქვეყნის წინსვლისა და აღორძინების ჭეშმარიტი გარანტიაა სამომავლოდ.

მერაბ გველესიანი

ბანკვითარების ეკონომიკური პოლიტიკა და მუნიციპალური რეფორმის ძირითადი პრობლემა

1. გლობალიზაცია ერთ მუშტად კრავს მსოფლიო ეკონომიკას და საერთო ნიშნებს უყალიბებს მის ნაწილებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად არიან განსხვავებული დონითა და ხასიათით. ამ პროცესის დაჩქარებას ითხოვს ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარების ამო-

ცანა, ოღონდ მისი დაჩქარება ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაირღვეს ინდივიდუალურობა, პირიქით, გზა მიეცეს საერთო ნიშნების მრავალფეროვან გამოვლენას.

თითქოს ამას არავინ უარყოფს, რეალური ეკონომიკური პოლიტიკა კი სხვაგვარად გამოიყურება და ამით აბრკოლებს წინსვლას. ასე ხდება საქართველოშიც, რომელიც მთლიანადაა ორიენტირებული ეკონომიკის დასავლურ სტრუქტურებსა და განვითარების იქაურ გზებზე. მუნიციპალური რეფორმის პრობლემები ამის მაგალითია.

2. ამ ორი ათეული წლის წინ საქართველოში საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა საბოლოოდ შეაქციეს ზურგი კომუნისტურ იდეალს და იდეალად მიიჩნიეს დასავლური საზოგადოებრივი სტრუქტურები. გაბატონდა მიდგომა – “რისთვის გამოვიგონოთ ველოსიპედი“... ამ ფონზე ძველი სტრუქტურების ნგრევა და ახლის შექმნის მცდელობა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაემორჩილა უცხოელი ექსპერტების რჩევებს, რომელთა მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება თვით ამ ექსპერტებს უფრო ხშირად უჩნდებათ, ვიდრე ჩვენ. მათ გავლენას განამტკიცებს დასავლური სასწავლო ლიტერატურა, რომლითაც ჩვენი კადრები იზრდებიან.

საზოგადოებას სადღეისოდ არ გააჩნია დასაბუთებული სტრატეგიული ეკონომიკური მოდელი. მისი აგება ეკო-

ნომიკური პოლიტიკის თეორიის მოვალეობაა და ეს უნდა ჩანდეს ამ მეცნიერების სტრუქტურაში. ამ დროს მის ქვედარგს – განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკას – ისეთი სტრუქტურა აქვს, თითქოს ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობდეს და განვითარების სტრატეგია თავად აღარ სჭირდებოდეს დაწინაურებულ დასავლეთს – დანარჩენმა მსოფლიომ შეუქურად უნდა მიიჩნიოს მისი ეკონომიკური მიღწევები და იაროს მის მიერ გაკვაღული გზებით. სწორი კი იქნებოდა მეცნიერებას სხვადასხვა დონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციებიდან გამოეყვანა მათთვის საერთო სტრატეგიული მოდელი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა თანამედროვე შერეული ეკონომიკის ნაკლოვანებებისგან. იგი იქნებოდა იმის ორიენტირიც, რა ცოდნა და რომელი გამოცდილების გაზიარება გვესაჭიროება დასავლეთისგან და როგორ შევიმუშაოთ მომავლისაკენ სავალი გზები, რომელიც აღბეჭდილი იქნება ეროვნული სპეციფიკით.

3. მუნიციპალური რეფორმის ფუძემდებლური საკითხია მასების მოზიდვა თვითმმართველობაში. უამისოდ თვითმმართველობა ვერ გამოავლენს შინაგან პოტენციალს, მისი განვითარება ფორმალურ ხასიათს მიიღებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუროკრატის ინტერესთა გაბატონებას. რეფორმის ამ მიმართულებით ჯერჯერობით არც დასავლეთში მომხდარა გარდატეხა (შესაძლოა ამიტომ მიწყ-

ნარდა 80-იანი წლების მუნიციპალური რეფორმების ექო), მაგრამ იქ მაინც არის წინსვლა, ჩვენი რეფორმა კი არსებითად დასავლური კონსტრუქციების გადმოღებით შემოიფარგლა.

ამას აქვს თავისი ობიექტური თუ „ნახევრადობიექტური“ მიზეზები. ტერიტორიული თვითმმართველობა დღეს ყველგან სახელმწიფოს მიერაა ინიცირებული, სახელმწიფოსვე ჩრდილში იზრდება და მის გაგრძელებად ანუ პოლიტიკური სტრუქტურების ნაწილად აღიქმება, ამიტომ ქვეყნისათვის, რომელსაც სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის გაფართოება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. მაგრამ ეს პრობლემა არაა გადაუჭრელი. თვითმმართველობა დღეს უწინარესად იმისთვისაა საჭირო, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ დამოუკიდებლად მოაგვაროს ადგილობრივი მეურნეობის საკითხები. მათი მოგვარება თავის ფორმით უთუოდ არის პოლიტიკური პროცესი, ოღონდ იგი ეკონომიკური შინაარსის მატარებელი პროცესია და შეიძლება მისი გარიდება პოლიტიკური ბატალიებისაგან, თუ თვითმმართველობის კომპეტენციები მკაცრად შეიზღუდა სამეურნეო ფუნქციებით.

მეორე მიზეზი უფრო არსებითია. დასავლეთში ადამიანთა ნაწილი მივიდა თვითმმართველობაში, მათი ინიციატი-

ვით შეიქმნა მრავალი ერთეული, დაწყებული სამეზობლოთი და დამთავრებული მოზრდილი ტერიტორიული ერთეულით, რომელიც მუნიციპალიტეტის (city-ს) სტატუსს იღებს. ამისთვის აშშ ტეხასის შტატში 60 კაცის ინიციატივაა საკმარისი. ევროპაში თვითმმართველ სოციუმებს უფრო მეტად მცხოვრებთა პროცენტული ნაწილის (ერთი მეათედის) ინიციატივით ქმნიან. ახლო პერსპექტივაში ჩვენ ამ გზით წასვლის შანსი არა გვაქვს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების დონით ჩამოვრჩებით. თვითმმართველობამ საერთოსაზოგადოებრივი საქმეები უნდა აკეთოს, ხოლო კაცს რომ შვილები ყავს დასაპურებელი, საერთო საქმისკენ არ გაიხედავს.

ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ჭეშმარიტად თვითმმართველი ერთეულების შექმნის შანსი. პირიქით – თუ საკუთარი გზა ვიპოვეთ, ჩვენ შევძლებთ ავამოქმედოთ ჩვენი პოტენციალი, გამოვიყენოთ თვითმმართველობის დიდი ტრადიცია, რომელიც თანდათან დავიწყებას ეძლევა.

გიორგი შიხაშვილი

**პიტერ ღრაკერი მენეჯმენტის ახალი პარადიგმების
შესახებ**

თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს (Peter Ferdinand Drucker) უკავია. პროფესიული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო 50 წელი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად“. მართვის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო პ. დრაკერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად“ (The Father of Modern Management). სწორედ ამიტომ განუზომელია ის დიდი დანაკარგი, რომელიც განიცადა მართვის მეცნიერებამ 2005 წლის 11 ნოემბერს პ. დრაკერის გარდაცვალების გამო.

პ. დრაკერი თავის ნაშრომებში მენეჯმენტს განიხილავს როგორც თავისებურ ახალ ფილოსოფიას. იგი აქცენტს აკეთებს წარმოების საბოლოო შედეგზე, რის საფუძველზეც აყალიბებს „მიზნების მიხედვით მართვის“ კონცეფციას. პ. დრაკერისათვის უმნიშვნელოვანესია მომავლის ხედვა და ინოვაციური საქმიანობა.

პ. დრაკერის ფილოსოფიის მიხედვით, საწარმოს საბოლოო მიზანი არის საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნა. ორგანიზაცია არსებობს იმისათვის, რომ კონკრეტულ პროდუქციად გარდაქმნას ადამიანის ძალისხმევა – „პირადი ძალისხმევა ქმნის საზოგადოებრივ სარგებლიანობას“. ასეთი

პარადიგმა წარმოადგენს მენეჯმენტის ფილოსოფიის დრაკერისეული გააზრების ძირეულ არსს.

პ. დრაკერის მიხედვით მენეჯერებისათვის აუცილებელია გაითვალისწინონ ის სოციალური ზეგავლენა, რასაც მათი ორგანიზაცია ახდენს გარემოზე. მენეჯერები არ უნდა აზროვნებდნენ მხოლოდ ტექნოკრატიულად, ისინი ვალდებული არიან ესმოდეთ საკუთარი მოღვაწეობის სოციალური მნიშვნელობა.

უმთავრესი ახალი მმართველობითი პარადიგმები ასახულია პ. დრაკერის წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში“ (Management Challenges for the 21 st Century. N. Y. Harper Business, 1999 და რუსული თარგმანი П. Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке. Пер. с англ. М. «Вильямс», 2002.), რომელშიც შესწავლილ-გაანალიზებულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანები; მენეჯმენტის ახალი პარადიგმა; დღევანდელი მმართველობითი კონცეფციების ანალიზი სამომავლო ტენდენციების ფონზე; ორგანიზაციული სტრუქტურების, პერსონალის მართვის, ტექნოლოგიების, იურიდიული გარემოსა და სხვა სფეროების განვითარების პერსპექტივები; ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიები და ორგანიზაციის სტრატეგია; ცვლილებების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები; ცვლილებები და სტაბილურობა; მომავლის

შენება; გონებრივი შრომის მწარმოებლურობა; მენეჯერის როლი კარიერაში და ცხოვრებაში.

პ. დრაკერი ანალიზებს რა დღეისათვის გაბატონებულ უმთავრეს მმართველობით პარადიგმებსა და კონცეფციებს ასკვნის, რომ მათ დღეისათვის სრულიად ამოწურეს საკუთარი თავი და უფრო დაცინვას იმსახურებენ, ვიდრე პატივისცემას. დღეს ისინი იმდენად დაშორდნენ რეალობას, რომ ამუხრუჭებენ მენეჯმენტის თეორიის განვითარებას. რაც უფრო უარესია, ისინი ხელს უშლიან პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, დადგა დრო მათი გადასინჯვისა, რათა ფორმულირებულ იქნეს ახალი შეხედულებები, რომლებიც გამოაცოცხლებენ მენეჯმენტს, როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

მაგალითად, დღეისათვის თითქმის საყოველთაოდ, განსაკუთრებით ჩვენში – საქართველოში, გაგრძელებულია აზრი, რომ მენეჯმენტი – ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია. პ. დრაკერი სათანადო მსჯელობის საფუძველზე ასკვნის, რომ ასეთი შეხედულება მცდარია და გვთავაზობს ახალ პარადიგმას: „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ფრიად აქტუალურია ჩვენი სამეცნიერო წრეებისათვის, ვინაიდან ჩვენში აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკაა მენეჯმენტის ადგილთან, ტე-

რმინოლოგიასა და დეფინიციებთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ აუცილებელია მკვეთრად გაიმიჯნოს დეფინიციები და მენეჯმენტი ეწოდებოდეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტს, ხოლო პოლიტიკური, სამთავრობო-აღმასრულებელი, სამართალდამცავი, გარემოსდაცვითი, რელიგიური, არაკომერციული და სხვა სფეროებისათვის გამოიყენებოდეს სხვა მმართველობითი ტერმინოლოგია და არავითარ შემთხვევაში (!? – გ.შ.) – ტერმინი „მენეჯმენტი“. ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ შეხედულებას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენში უკვე ინტენსიურად მკვიდრდება ისეთი თეორიული კონცეფციები, პარადიგმები, სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინები, პრაქტიკული მმართველობითი საქმიანობის სახეობები და სტრუქტურები, როგორცაა: „სოციალური სისტემების მენეჯმენტი“, „ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი“, „პოლიტიკური მენეჯმენტი“, „პარტიული ორგანიზაციების მენეჯმენტი“, „სასამართლოების მენეჯმენტი“, „სამინისტროს მენეჯმენტი“, „საგარეო ურთიერთობათა მენეჯმენტი“, „საერთაშორისო ორგანიზაციების მენეჯმენტი“, „განათლების (უნივერსიტეტების, სკოლების და საბავშვო ბაღების) მენეჯმენტი“, „ბუნებრივი სისტემების, ბიოგეოცენოზებისა და მათი ცალკეული ელემენტების მენეჯმენტი“, „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“, „ტელეკომუნიკაციური სისტემების მენეჯმენტი“.

„ჯანდაცვის მენეჯმენტი“, „პროექტების მენეჯმენტი“, „არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტი“, „რელიგიური ორგანიზაციების (ეკლესიის, მონასტრის, სამრევლოს, სამოს) მენეჯმენტი“ და სხვ.

იგივეს დასტურს ვხვდებით ცნობილ ინგლისურენოვან ენციკლოპედიებსა და განმარტებით ლექსიკონებში, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ: უზოგადესი გაგებით, მენეჯმენტი (Management) არის ადამიანთა ჯგუფის ან რაიმე რეალურად არსებულის (Entity): ნებისმიერი ორგანიზაციის, ყოველგვარი არსების, ორგანიზმის, ნივთის, ობიექტის, ყოფის, არსებობის და არსის ხელმძღვანელობა, მართვა, წარმართვა მიზნის მისაღწევად. ხოლო ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით მენეჯმენტი ეს არის წარმოების, სოციალური და კულტურული პროცესების მართვის ზოგადი პრინციპებისა და მეთოდების ერთიანობა. სხვაგვარად, მენეჯმენტი ეს არის მართვის, ხელმძღვანელობის, კონტროლის და ა. შ. აქტი, ხელოვნება ან ხერხი.

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეომმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება.

**ინსტიტუციონალური ცვლილებების აუცილებლობა
ნიპროპონომიკური პრობლემების დაკლემის პროცესში**

საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამხმარე ინსტიტუტების რთულ სისტემას, რომლის ფორმირება ხდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ევოლუციური განვითარების პირობებში, საბაზრო გარემოს გართულებასთან ერთად რთულდებოდა ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორისაც, რაც განაპირობებდა ახალი ინსტიტუტების გაჩენას და ხელს უწყობდა მათ შორის ურთიერთკავშირის შეცვლას.

სავსებით ბუნებრივია, რომ რიგი გადამწყვეტი მნიშვნელობის ინსტიტუტის უქონლობის პირობებში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შექმნილი სისტემა, თავისი მახასიათებლებით და ფუნქციონირებით არ ჰგავდა, და არც შეიძლებოდა დამსგავსებოდა განვითარებულ ქვეყნებში წარმატებით მოქმედ საბაზრო სისტემას. უფრო მეტიც, ტრანსფორმაციული სტრატეგიის შექმნაში სახელმწიფოს მხოლოდ უმნიშვნელო როლი გააჩნდა.

სავსებით ნათელია, რომ სახელმწიფო ვერ განსახდევრავს ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტების ქცევის წესებსა

და მათი ფუნქციონირების პირობებს. ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში სახელმწიფომ იზრუნოს, თავისი სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ქცევის წესების შემუშავებითა და შესრულებით, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფით. იმავედროულად, კორუფციასთან აქტიური ბრძოლით და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევათ, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკრეტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება, რომელიც ბუნებრივად გადაჭრის ნეკრო საწარმოების პრობლემას ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში. როგორც ვხედავთ, ბაზარს შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება მხოლოდ ქმედითუნარიანი ინსტიტუტების არსებობისას, რომლებიც საკუთრების უფლების, კონტრაქტების შესრულების და კრედიტების დაბრუნების გარანტიას იძლევა, ასევე, უზრუნველყოფს ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებას და ხელს შეუწყობს წარმოების ფაქტორთა ბაზრის ეფექტიანობის გაზრდას. ეკონომიკურ აგენტებს მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლიათ შექმნან წინაპირობები მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის.

ჩვენი რეფორმისათვის დამახასიათებელი, დროში გაწვდილი ინტერვალები, უარყოფითად მოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, ნებისმიერ შემთხვევაში დროითი ფაქტორის გათვალისწინება, რეფორმების ტემპი და სიჩქარე აუცილებელია.

ბელი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რაც უპირველესად ნეკრო საწარმოების გამოაშკარავებითა და მათი შემდგომი რესტრუქტურით იქნება შესაძლებელი. ამ ეტაპზე ნეკრო საწარმოების არსებობა, მათი აღმოფხვრისათვის არახელსაყრელი პირობები აფერხებენ მათ გამოაშკარავებას და ხელს უშლიან ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას. კონკურენტული გარემო თავისთავად შთანთქავს ნეკრო საწარმოებს, მაგრამ იმისათვის, რათა შეიქმნას კონკურენტული გარემო, სახელმწიფოს კეთილი ნება უნდა იყოს მიმართული მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გვერდით ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი ინსტიტუტების შექმნასა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფისაკენ.

ჩვენი აზრით, თუკი საქართველოში დროულად არ შეიქმნა რეფორმების მხარდამჭერი ინსტიტუტები, ეს გამოიწვევს რეფორმების საპირისპირო გზებით სვლას და რეალური ინტერესების შენიღბვას. ამიტომაც, ძალზედ მნიშვნელოვანია დროულად, მყარი სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ეკონომიკურ სუბიექტებს თავისუფლად ფუნქციონირებისა და არსებობის საშუალებას მისცემს.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში მოთხოვნილება ძლიერ სახელმწიფოზე გამომდინარეობს საზოგადოებაში საჭირო ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობიდან, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. პრივატიზაციის პროცესის წარმატებით უზრუნველყოფა შესაბამისი ინსტიტუტების შექმნის საფუძველზე საწარმოთა რესტრუქტურის პროცესის განხორციელების ერთადერთი საშუალებაა. რესტრუქტურის გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე, საბაზრო ტიპის საწარმოთა ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება მოგებაზე და თავისი პოზიცია ექნება ბაზარზე. რესტრუქტურის პროცესის არასწორი ჩატარება კი, ჩვენი აზრით, ნეკრო საწარმოების არსებობის საფუძველია, მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ბუნებრივი საშუალებაა.

ღია თოთლაძე

სავალუტო რისკების დაზღვევის საკითხისათვის

სავალუტო ბაზრებზე მოქმედების განხორციელების დროს ადგილი აქვს სავალუტო რისკებს, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს სავალუტო დანაკარგების საშიშ-

როებას, რომელიც წარმოიქმნება სავალუტო კურსის არასასურველი ცვლილების შედეგად.

სავალუტო რისკები დამახასიათებელია აბსოლუტურად ყველა ვალუტისათვის, ვინაიდან პერიოდული მერყეობა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნის ფულის ერთეულისათვის (მათ განეკუთვნება პირველ რიგში ქვეყნის განვითარების განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ სავალუტო კურსის დინამიკას, ასევე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორები). განვითარებადი ქვეყნებისათვის რისკები უმთავრესად დაკავშირებულია ვალუტის დევალვაციასთან. ამიტომ, წარმოიქმნება აუცილებლობა შემუშავებულ იქნას სავალუტო რისკებისაგან დაცვის სპეციალური მექანიზმები. რისკების მართვა თანამედროვე ეტაპზე, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოადგენს დინამიურად განვითარებად პროფესიული მოღვაწეობის სფეროს. განასხვავებენ ოპერაციულ, საბუღალტრო და ეკონომიკურ სავალუტო რისკებს.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეს რისკები ან მოხდეს მინიმიზაცია სავალუტო რისკებით გამოწვეული დანაკარგებისა, მიმართავენ სავალუტო რისკების დაზღვევას. ეს კი პირველ რიგში ითვალისწინებს სავალუ-

ტო რისკების დაზღვევის არსებული შესაძლებლობების განხილვას. მნიშვნელოვან ეტაპს სავალუტო რისკების დაზღვევის საქმეში წარმოადგენს სავალუტო რისკების შეფასება, რომლისთვისაც დღეისათვის წარმატებით გამოიყენება ტექნოლოგია “VaR”. იგი ეფუძნება სავალუტო კურსის ცვილილებით გამოწვეული მაქსიმალური დანაკარგების ოდენობის დაანგარიშებას. თავად სავალუტო რისკის დაზღვევის კონკრეტული მეთოდის შერჩევა კი დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე, რისკის დაფარვის ვადასა და სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების პერსპექტივაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო რისკების დაზღვევის პრაქტიკამ გავრცელება ჰპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. თავდაპირველად იგი უმთავრესად წარმოადგენდა სავალუტო “შეთანხმებას”, ეს იყო კონტრაქტის შეთანხმებული პირობა, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის ღირებულება გადახდის მომენტისათვის გადაიანგარიშებოდა მასში ოქროს შემცველობის მიხედვით.

დღეისათვის ფართოდ გამოიყენება სავალუტო რისკების დაზღვევის თანამედროვე მეთოდები, რომელთაც პირველ რიგში განეკუთვნება სავალუტო ოპციონი. სავალუტო ოპციონი წარმოადგენს ოპციონის მყიდველსა და ვალუტის გამყიდველს შორის დადებულ გარიგებას, რომელიც მყიდ-

ველს აძლევს უფლებას იყიდოს ან გაყიდოს განსაზღვრული კურსით ვალუტის განსაზღვრული რაოდენობა დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ფორვარდული სავალუტო გარიგებები. იგი წარმოადგენს განსაზღვრული რაოდენობის ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის ოპერაციას გარიგების დადებიდან განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ გარიგების მომენტში არსებული კურსით.

სავალუტო რისკის დაზღვევის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ასევე “სვოპ” ოპერაციები. იგი წარმოადგენს ერთდროულად ყიდვა-გაყიდვის გარიგებისა და კონტრგარიგების დადების ოპერაციას დროის განსაზღვრულ პერიოდზე.

ამ მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება საშუალებას იძლევა საგარეო ეკონომიკურ სფეროში მოღვაწე სუბიექტები დაცულ იქნენ სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგების საშიშროებისაგან.

მარინე ცუცქირიძე

ეკონომიკური ბანკოთმარების პროცესების მართვის

მეთოდოლოგიური საკითხისათვის

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა საქართველოში ძირითადად უკავშირდება წარმოების მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირებას პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

პოსტკომუნისტური გარდაქმნების პირობებში, საქართველოს ეკონომიკაში წარმოქმნილმა წარმოების განვითარების ტენდენციამ განაპირობა საბაზრო ურთიერთობების დამყარების მართვის სისტემის აგების, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირების აუცილებლობა. ამით განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მიმართულებათა სისტემა. იგი ძირითადად დაკავშირებულია: ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენასთან, მართვის პროცესებისა და მეთოდების შეცვლასა და გარდაქმნასთან, დარგობრივი საბაზრო სისტემების ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების პროცესთან, სოციალური მიზნების მისაღწევად საჭირო წარმოების განვითარების შესაძლებლობასთან.

რეფორმის პერიოდში ჩამოყალიბებულ ეკონომიკური განვითარების ძირითად ტენდენციათა შორის მნიშვნელოვანია დარგებისა და საწარმოების განვითარება საბაზრო ურთიერთობათა საფუძველზე. ეს საკითხი განუხრელად უკავშირდება მათი სტრატეგიის შემუშავებას, რაც წარმოების

მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფასაც მოითხოვს.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესი საწარმოთა კონკურენტუნარიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას უკავშირდება. იგი მოიცავს ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და საშუალებების, სამეურნეო, საწარმოო და საბაზრო მოქმედებათა გაუმჯობესების, კონკურენციული ბრძოლის მეთოდების გამოყენებას საწარმოთა მიერ.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესში, კონკურენტული სტრატეგიის გამოყენება წარმოადგენს საგარეო საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების, საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მათი მომგებიანობის ზრდის და წარმოებაზე დანახარჯების შემცირების აუცილებელ საფუძველს. იგი ეკონომიკური განვითარების პროცესთა მართვის ეფექტიანობასაც განაპირობებს.

აღნიშნული მიმართულებით, მართვის მეთოდოლოგიური საკითხებიდან ძირითადია: პირველი – საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესთა სტრატეგიული მართვის სრულყოფა, რომლის ელემენტებია დანახარჯებით ლიდერობა და მომგებიანობა, წარმოშობათა დიფერენცირება და რისკის პირობები; მეორე – პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესთა მართვის ეფექტიანობის მიღწევა. მისი ელემენტებია

საბაზრო მოთხოვნასა და მიწოდებაზე, პროდუქციის ხარისხზე მომქმედო ფაქტორები და მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა.

დავლაშერიძე ნათა

ГОСУДАРСТВЕННАЯ ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА НА ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ

1. В настоящее время все большее внимание уделяется национальному инновационному развитию и методам стимулирования инновационной активности. Особенно эта тенденция проявляется в развитых странах, где до 90% экономического роста обеспечивается развитием производств, связанных с достижениями научно-технического прогресса и инноваций, что позволяет им вырваться в лидеры мировой экономики, отстаивать и выигрывать конкурентную борьбу на международных рынках. Например, страны ЕС подписали стратегию развития науки до 2010 года в Лиссабоне для создания так называемой "Экономики, основанной на знаниях", согласно которой общие затраты на научно-исследовательские и опытно-конструкторские работы в среднем должны достигнуть уровня 3% от ВВП, что в будущем должно обеспечить стабильный и долгосрочный экономический рост.

Инновация – коммерциализация научных знаний, получивших воплощение в виде новой или усовершенствованной продукции (услуги), техники, технологии, организации производства, управления и приносящих различные виды эффекта. На начальном этапе именно государственная политика в области инноваций и науки должна играть стимулирующую и иницирующую роли, так как расходы на инновационную деятельность связаны с высоким уровнем риска для частного сектора. Таким образом, государственная поддержка является ключевым фактором развития инновационной активности. После прохождения определенного этапа и организации систематической и эффективной работы в инновационной сфере, государство может постепенно снижать свое участие путем передачи инновационных фондов частным инвесторам или концернам крупных предприятий.

Предпосылками для развития и повышения инновационной активности экономики, являются конкурентная среда, хорошие условия ведения бизнеса, а также благоприятный инвестиционный климат.

2. Систематизация и изучение новейших данных (прежде всего публикуемых в периодической и специальной литературе, а также накопленной в информационных ресурсах Интернета) по формированию и реализации государственной инновационной политики в таких странах, как Грузия, Латвия, Украина, Ка-

захстан, Узбекистан, Армения и т.д., показали, насколько развито законодательное и организационное оформление государственной инновационной политики в этих странах, какое огромное значение имеет международное сотрудничество в этой области. Так, правительства стран-участниц ГУАМ поручили соответствующим органам изучить положительный опыт Грузии в области улучшения инвестиционного климата, совершенствования таможенного и налогового законодательств для возможного последующего распространения в этих странах, в свою очередь, лучшие образцы мирового опыта и механизмы их адаптации к региональной специфике с большой эффективностью могут быть использованы для Грузии.

3. В настоящее время как правительства стран, так и бизнес и специализированные организации, организуют разнообразие и многочисленные инновационные мероприятия. Венчурное финансирование является наименее развитым элементом инновационной политики во всех странах, перешедших к рыночной экономике, бизнес не спешит финансировать инновационные разработки. До сих пор в исследуемых странах для улучшения инновационной среды, как правило, предпочитали предоставлять «льготные долгосрочные целевые кредиты и удешевлять кредиты коммерческих банков за счет средств государственного и местных бюджетов». Мировая практика показывает, что необходимо

перейти от льготного кредитования инновационных проектов к работе с венчурным капиталом. Кредит нужно возвращать, и для новых фирм это слишком рискованное мероприятие, ведь по статистике лишь каждая восьмая фирма приносит прибыль, остальные умирают. А венчурный капитал может войти в абсолютно новое предприятие, созданное для реализации инновации. Однако работа в этом направлении только началась. Наиболее слабым общим звеном для всех рассматриваемых стран является отсутствие необходимых кадров для инноваций.

4. Созданию технопарков и особых экономических зон придается огромное значение в инновационной политике государств на постсоветском пространстве. Свободной экономической зоной (СЭЗ) считается специально выделенная часть территории страны с льготным таможенным, валютным, налоговым, визовым и трудовым режимами. Идея же территорий приоритетного развития (ТПР) – промпарков, которые широко распространены в западных странах, заключается в подготовке инфраструктуры для начала разнопрофильных производств, которые будут компактно располагаться в единой зоне. Земельные участки на льготных условиях выделяет государство. Совместно с частными девелоперами оно создает на этой территории всю инфраструктуру. На Украине существует 11 специальных (свободных) экономических зон и 9 территорий приоритетного развития; на территории Узбекистана

действует сеть из 33 бизнес-инкубаторов; в Казахстане в 2006 году в поселке Алатау была создана свободная экономическая зона «Парк информационных технологий», представляющая собой специальную экономическую зону с льготным налоговым и таможенным режимом для всех информационных и телекоммуникационных компаний, работающих на ее территории, в Караганде открылся технопарк "UniScienTech", планируется презентация актюбинского технопарка и т.д. Наиболее активно работу по созданию технопарков ведет Азербайджан. Создание свободной индустриальной зоны в Поти поможет решению проблемы экспорта грузинской продукции и будет способствовать сохранению транзитных функций страны.

ბესიკ ბაუჩაძე

**ეკონომიკის რესტრუქტურისა და მდგრადი
თვისობების განვითარების სამსახური
გარდამავალ პერიოდში**

გარდამავალი ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების გან-

ხორციელება და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი სამეურნეო წესრიგის დამყარება. აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას საბაზრო ეკონომიკის “კარკასი” ანუ სათანადო ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც მაკრო და მიკრო დონეზე უზრუნველყოფენ ახლად ფორმირებადი სისტემის მდგრადობას. ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოიცავს ეკონომიკის ყველა შემადგენელი ელემენტის – მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური ზედნაშენის გარდაქმნას რეგოლაციური და ევოლუციური გზით. იგი პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებას, გარდაქმნებს გულისხმობს, რომლის საბოლოო შედეგია ეკონომიკურ საქმიანობაზე ბიუროკრატიული კონტროლის მინიმიზაცია, კონკრეტული საბაზრო ურთიერთობების, ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების, ქცევის ახალი მოტივების დამკვიდრება, წარმოების ტექნოლოგიების, მენეჯმენტის სრულყოფა, კონკურენტუნარიანი ეროვნული მეურნეობის ჩამოყალიბება.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის რესტრუქტურისაცია, რომელიც გულისხმობს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, ანუ იგი მოიცავს მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინსტიტუციური მოწყობის გარდაქმნასა და სტრუქტურულ სრულყოფას. ე.ი

ეკონომიკის რესტრუქტურისაციის არსი მდგომარეობს არა-ეფექტიანი და არარაციონალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ხარისხობრივ და თვისობრივ გარდაქმნაში (ეკოლუციური და რეკოლუციური მეთოდებით) და ახალი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში.

საქართველოში ეკონომიკის რესტრუქტურისაციის ძირითადი წინამძღვრების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს ძირითადად განსაზღვრავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის განვითარების ტენდენციები, ჩვენმა ქვეყანამ თავის თავზე გამოცადა გემურ-ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი. შესაბამისად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის რესტრუქტურისაციის ძირითადი მიზნებია: 1) სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და მაღალგანვითარებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირება, ანუ ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, სადაც რესურსებისა და პროდუქციის განაწილება განხორციელდება საბაზრო მექანიზმის მოთხოვნისა და მიწოდების ძალებით; 2). სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც უზუნველყოფენ ეროვნუ-

ლი მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას; 3). კვლავწარმოების ისეთი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებულ საწარმოებსა და რეგიონებს, რაც შეარბილებს გარეშე ფაქტორების უარყოფით ზემოქმედებას; 4). ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება; 5). უმუშევრობის შემცირება; 6). მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის კეთილსასურველ გარემოს შექმნა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის წახალისება; 7). ინვესტიციური აქტიობის ამაღლება; 8). ინოვაციური სფეროს განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების წარმოების პროცესში დანერგვა, 9). სოციალური სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება; 10). მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ეკონომიკის ეფექტიანი რესტრუქტურისა და ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისა და ნორმალურად ფუნქციონირებადი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებელ პირობას, ეკონომიკის რესტრუქტურისა და ნებისმიერი ძირითადი, პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კულტურულ მემკვიდრეობაზე და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე. მიუხედავად ამისა,

პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკები-სათვის დამახასიათებელი ტენდენციების გათვალისწინებით შესაძლებელია გამოვეყნოთ ეკონომიკის რესტრუქტურისაციის შემდეგი უმთავრესი მიმართულებები: 1. ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება; 2. საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა; 3. სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელება; 4. სოციალური სფეროს გარდაქმნა და გარდამავალი ეკონომიკის მოთხოვნილებებთან ადაპტირება; 5. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია; 6. საფინანსო-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნა; 7. საწარმოთა რესტრუქტურისაცია. ჩვენის აზრით ეკონომიკის რესტრუქტურისაციის წარმატებას განაპირობებს არა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ამა თუ იმ მოდელის შერჩევა, არამედ რეფორმების თანმიმდევრული და სისტემატური განხორციელება.

**მაკროეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკის
სექცია**

ეკონომიკის განვითარებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემები საქართველოში

1. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების ანალიზისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საბაზრო ურთიერთობებს, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს მიღწევას და ფენომენს, გააჩნია ზოგადი კანონზომიერებები და ამავე დროს მას ახასიათებს თავისი გავლენის სპეციფიკური ფორმებიც თითოეული კონკრეტული ქვეყნის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ამ მდგომარეობის გათვალისწინება და არ იქნებოდა მართებული, რომ საქართველოში მექანიკურად გადმოგვეტანა უცხოეთის რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის შემოქმედებითი მიდგომა, – მსოფლიოს განვითარებული ცივილიზებული ქვეყნის არსებული საბაზრო ეკონომიკის მოდელების კრიტიკული განხილვა და ანალიზი და ყველა იმ დადებითი მხარისა და თავისებურებების გათვალისწინება, რაც მოდელებს გააჩნია. შესაბამისად, იმავე დროულად საქართველოსთვის დამახასიათებელია რეგიონალური თავისებურებათა გათვალისწინება.

2. ჩვენი აზრით, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებათა ანალიზისას გათვალისწინე-

ბული უნდა იქნეს, აგრეთვე, შიდა რესპუბლიკური რეგიონების მიხედვით საბაზრო სტრუქტურების სექტორის თავისებურებები. საქართველოს მთელ ქონებაში სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წონა შესაბამისად უნდა დადგინდეს რესპუბლიკის სპეციფიკიდან, მისი რეგიონალური თავისებურებებიდან და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

3. არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის განვითარებული სისტემის შემდგომი სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნათა განხორციელებას და საბოლოოდ, მეწარმეთა ცივილიზებული ფენის შემდგომ განვითარებას.

4. მაკროეკონომიკას საქმე აქვს ერთიან მთლიან ეკონომიკასთან, ეკონომიკურ ცხოვრებასთან ფართო პლანით და იგი წარმოადგენს მოძღვრებას წარმოების, დასაქმების, უმუშევრობისა და ფასების ეროვნული დონის შესახებ. აქვე გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაზღვრულ, პერსპექტივაში მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორ ძირითად მიზანს ასახავს: 1. სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და 2. შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევას. ეკონომიკური

ზრდა ნიშნავს მოცემულ ქვეყანაში წარმოების საერთო მოცულობის გადიდებას, ხოლო შრომის ნაყოფიერება გვიჩვენებს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას დახარჯული რესურსების ყოველ ერთეულზე.

5. როგორც მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, 80-იან წლებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ამ ქვეყნებმა კურსი აიღეს ეკონომიკურ ზრდაზე და შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რაც მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, წარმოების სტიმულირებისაკენ. საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობამ საგრძნობლად შეამცირეს გადასახადები და შეზუდეს საბიუჯეტო ხარჯები, მეტი ყურადღება მიაქციეს საბიუჯეტო დანახოების მეოხებით სიახლეების დანერგვას. ეს ქვეყნები სეეცადნენ შეემცირებინათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რათა გაზრდილიყო ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი. ამ დროს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გააქტიურდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რათა მომხდარიყო წარმოების, უმუშევრობისა და ინფლაციის არასასურველი რხევების დაძლევა. ჩვენი აზრით ანალოგიური გამოცდილება მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს საქართველოს სინამდვილეში.

6. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების კომპლექსური პროგრამის ძირითადი სტრატეგიული და მთავარი მიმართულება უნდა იქნას წარმოების აღორძინებისა და მეწარმეთა ფენის შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის ნორმალური განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფა. საქართველოს პირობებში მცირე ბიზნესი არის ის სისტემა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი და პროგრესული როლი შეასრულოს აუცილებელი საბაზრო სტრუქტურების განვითარებაში და უმუშევრობის შემცირების მიღწევაში.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში

1. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ეკონომიკური განვითარების ისეთი პროცესია, როდესაც ხდება ძირეული პროგრესული სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებები ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში: საკუთრების ფორმებში, ეკონომიკური რესურსების გამოყენებაში, შემოსავლების განაწილებაში, წარმოების ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებში, სიმძლავრეების განლაგებაში, პროდუქციის გამომუშავების სტრუქტურაში, პროდუქციის

ხარისხში, ტექნოლოგიებში, ადამიანისეულ კაპიტალში, ინსტიტუციებში და ა.შ. ამ დროს ადგილი აქვს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის სრულ დემონტაჟს და ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

2. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია მსოფლიოში მეტნაკლები წარმატებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით მოწინავენი აღმოჩნდნენ ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები: ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი. ასევე წარმატებული გამოდგა რეფორმები რუმინეთსა და ბულგარეთში. ამ ქვეყნებმა შეძლეს ჩამოყალიბებინათ ახალი საკმაოდ მდგრადი საბაზრო ურთიერთობები, განესორციელებინათ პროგრესული სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებები, მიედწიათ ეკონომიკური ზრდისა და ცოციალური განვითარების მაღალი დონისათვის. პოსტკომუნისტური ქვეყნების საკმაოდ დიდმა ნაწილმა კი, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ შეძლო ანალოგიური გარდაქმნების განხორციელება. რის გამოც ამ ქვეყნებში სუსტია საბაზრო ინსტიტუციები, მაღალია უმუშევრობის დონე, დიდია საგარეო ვალების მოცულობა, დაბალია სოციალური უზრუნველყოფის დონე და ა.შ. სამწუხაროდ, მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური დაქვეითების პირობებში მიმდინარეობდა. მაგალითად, საქართველოში 1994 წელს 1990 წელთან შედარებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა – 27,5, სამრეწველო წარმოების მოცულობამ კი მხოლოდ 16 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში განახევრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე, კატასტროფულად შემცირდა მშენებლობის მასშტაბები, არაგადახდისუნარიანობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება და ა.შ. ყოველივე ამის გამო კატასტროფულად გაუარესდა მოსახლეობის სოციალური პირობები.

4. საქართველოში გარდაქმნების განხორციელების პირველ ეტაპზე დაშვებული იქნა სტრატეგიული ხასიათის შეცდომები. ეკონომიკური რეფორმები ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხორციელდა, მათ არ ჰქონდათ კომპლექსური, თანამიმდევრული ხასიათი. 1994 წლის პირველ ნახევრამდე იმის განსაზღვრა ცალსახად თუ რა მოდელის მიხედვით მიმდინარეობდა რეფორმები, შეუძლებელია. შესაძლებელია მას ნახევრად ქაოსური ვუწოდოთ, რაც იმდროინდელი მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით იყო განპირობებული.

5. 1994 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო რეფორმების ახალი პოლიტიკის გატარება, რომელიც როგორც ქართველ რეფორმატორთა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ თვისებრივად ახალ პროგრამას ემყარებოდა. ამ პროგრამის განხორციელებას მოჰყვა არა ერთი დადებითი შედეგი: მიღებულ იქნა მრავალი კანონი, რომლებმაც ძირითადად შეავსეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზა; შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა მთლიანად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი; გაძლიერდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ნაწილობრივ გაუმჯობესდა საკრედიტო სისტემა; გათავისუფლდა ლარის საცვლელი კურსი და მისი რეგულირება ხდება მხოლოდ საბაზრო კანონით. 1996-1997 წლებში აღინიშნა საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდა – წელიწადში საშუალოდ 11%-ით, ეროვნული ვალუტის სიმყარისა და ინფლაციის დაბალი ტემპების პირობებში.

6. 1998 წლიდან იწყება მიღწეული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შემცირება, რასაც ვალუტის კურსის დაცემა, ინფლაციის დონის გაზრდა და საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი მოჰყვა. 1999 წელს მოხერხდა სავალუტო კრიზისის შეჩერება და ინფლაციის ზომიერი ტემპების მიღება, მაგრამ საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი ისევ გაგ-

რძეულა, რისი დაძლევაც მხოლოდ 2004 წლიდან მოხერხდა.

7. ეკონომიკური კრიზისი ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი საქართველოში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რომელთაგანაც აღსანიშნავია: საკუთრების პლურალიზაცია; ფასების ლიბერალიზაცია; საკუთრების ტრანსფორმაცია; ეროვნული ვალუტის შემოდება; საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება; მეწარმეთა ფენის წარმოშობა; საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩასახვა; საბანკო და საგადასახადო სისტემის ფორმირება; საბაზრო ქცევების თანდათან დამკვიდრება; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და სხვა.

8. ჯერჯერობით კი მაინც არსებობს მრავალი ნაკლოვანება ეკონომიკური რეფორმების თითქმის ყველა სფეროში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მკაცრად განსაზღვრული და შესაბამისი მიზნებითა და მოქმედებებით განმტკიცებული სტრატეგიული მიზნის არარსებობას. აუცილებელია საქართველოში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მექანიზმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების ყველა დადებით შედეგს და შეაერთებს მას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან. ასეთი ეკონომიკა უნდა ეყრდნობოდეს უახ-

ლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს, იყოს კონკურენტუნარიანი და მაქსიმალურად იყენებდეს ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების უპირატესობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რეფორმები ნაკლებად ეხება წარმოების სფეროს. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სტაგნაციის მდგომარეობაშია, სამრეწველო საწარმოთა თითქმის ნახევარი უმოქმედოდაა, დანარჩენი კი უმნიშვნელო დატვირთვით მუშაობს. ასევე აუცილებელია საგადასახადო სისტემის სრულყოფა. საწარმოთა ამოქმედებისა და მათი სრული დატვირთვის მიზნით საჭიროა განხორციელდეს ეროვნული წარმოების ხელისშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. ყველაზე მთავარია მეწარმოების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რისთვისაც უნდა დაიხვეწოს საგადასახადო და სალიცენზიო სისტემა; გამარტივდეს საწარმოების დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი; აღმოიფხვრას კორუფცია; დაიხვეწოს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს ქვეყნის რეალური სექტორის ზრდას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო გარემოს შექმნას, რისთვისაც აუცილებელია როგორც საბანკო სისტემის სრულყოფა, ისე

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების დაჩქარება, სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეობა პრიორიტეტული სამეწარმეო პროექტების დაფინანსებაში.

ნოდარ ხადური

**მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების
თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში**

XXI საუკუნის დასაწყისი მსოფლიოში ეკონომიკის გლობალიზაციის დაჩქარების ხანაა. რასაც ხელს უწყობს როგორც საკუთრივ ეკონომიკური, ისე განსაკუთრებით პოლიტიკური, საერთაშორისო, ტექნიკური და საზოგადოებრივი ფაქტორები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც ეფუძნება ლიბერალიზმს, საქონლისა და მომსახურების, მათ შორის, რესურსების, განსაკუთრებით კი შრომის ბაზრის დარეგულირებას.

გლობალური პროცესების დაჩქარების ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური ბაზრების გლობალიზაციაა. თუ ტექნი-

კური მიზეზებით რამდენიმე ათწლეულის წინ ფინანსური ბაზრები ეკონომიკის რეალურ სექტორს მხოლოდ შესაბამის არეალში ემსახურებოდა, დღეისათვის ტერიტორიული ფაქტორი პრინციპში აღარ არსებობს. ფინანსური ტრანსაქციების განხორციელება პრინციპში მყისიერადაა შესაძლებელი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამდენად, ფინანსური ნაკადები აბსოლუტურად თავისუფალია.

გლობალიზაციის პარალელურად, მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს ე.წ. რეგიონალიზაციის პროცესი, რომელიც შესაძლოა განვიხილოთ როგორც "რეგიონული გლობალიზაცია".

ეს პროცესები სახელმწიფოსაგან ადეკვატური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებს ზღუდავს.

სახელმწიფოთა ნაწილი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით ცდილობს გლობალური პროცესების თავიდან აცილებას, ან მისი ზეგავლენის შესუსტებას.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელებისას ბარიერების 40% არასატარიფო შეზღუდვებზე მოდის. ამასთან ხშირ შემთხვევაში მაღალია სატარიფო განაკვეთები (საშუალოდ 40%). ზოგიერთ საქონელზე ცხადდება სახელმწიფო მონო-

პოლია. ზოგიერთი სახელმწიფო, არეგულირებს რა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს, ხელოვნურად იწვევს ოფიციალურ და არაოფიციალურ კურსებს შორის სხვაობას, რაც სპეკულაციურ პროცესებს ახალისებს.

ყოველივე ეს ხელს უშლის რესურსების სწორად და ოპტიმალურად გამოყენებას, აფერხებს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, რაც გამოიხატება შეფარდებითი უპირატესობის გამოყენების შეზღუდვაში.

საქართველო, როგორც მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი, ოფიციალურად ამბობს უარს პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელებაზე. ქვეყანა პრაქტიკულად აღარ იყენებს არც სატარიფო და არც არასატარიფო ბარიერებს. ამდენად პროტექციონიზმის საფრთხე ნაკლებად დგება.

მიუხედავად ამისა, ქვეყნის შემდგომი განვითარება, ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ადეკვატური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე. შესაბამისი ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების გარეშე დასახული მიზნების მიღწევა, მით უფრო გლობალიზაციის პროცესში, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერი ეკონომიკური მოვლენა სრულად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, როგორც მცირე ღია ეკონომიკაზე.

**სტატისტიკური იმპუტაცია – ეკონომიკური ბანკითა-
რების ტენდენციების ანალიზის თანამედროვე მეთოდი**

ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა სფეროს პროცესების განვითარების ანალიზი შეუძლებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის გარეშე. თუ ასეთი ინფორმაცია მოცემულია დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, მაშინ მის საფუძველზე აიგება დროითი მწკრივები, რომლებიც ახასიათებენ განვითარების ზოგად ტენდენციებს.

ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ამსახველი დროითი მწკრივები შედგება 4 ძირითადი კომპონენტისაგან. ესენია: ტრენდი, ციკლური, სეზონური და შემთხვევითი კომპონენტები. სტატისტიკური ანალიზისას ხორციელდება ყოველი მათგანის კვლევა. მაგრამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ზომით დამოკიდებულია შესაბამისი მწკრივების სწორად აგებაზე. ანალიზისათვის ვარგისი მწკრივების აგება არ არის მარტივი პროცესი და იგი მრავალ ტექნოლოგიურ ციკლს მოიცავს.

ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის ანალიზისას მკვლევარის წინაშე ჩნდება საჭირო მოცულობისა და სტრუქ-

ტურის მონაცემთა უკმარისობის პრობლემა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებაა სტატისტიკური იმპუტაცია, რაც პრაქტიკული შინაარსით წარმოადგენს რაიმე შესასწავლი პროცესის შესახებ არსებული მონაცემების შევსებას, მათი სისრულის დონის ამაღლებას. რეალურ სინამდვილეში ეს ხორციელდება პირობითი (თეორიული) მონაცემების შეტანით არსებული მონაცემების მთლიან მასაში. აქ იგულისხმება, რომ ანალიზისათვის საჭირო მონაცემთა ერთობლიობას აკლია კონკრეტული მონაცემები ან მათი რაღაც ნაწილი. სწორედ ამ ნაწილის შევსების თეორიული და პრაქტიკული პროცესია იმპუტაცია.

იმპუტაციას არა აქვს დიდი ხნის ისტორია და იგი ეკონომიკური სტატისტიკის „ახალგაზრდა“ მეთოდია. სტატისტიკური იმპუტაციის შესახებ პირველად 1976 წელს ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის ჟურნალში გამოქვეყნდა ი. პ. ფელეჯის და დ. ჰოლტის ერთობლივი სტატია. შემდგომ წლებში ასევე აშშ-ში გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე სტატია ამ პრობლემაზე, მაგრამ სტატისტიკური იმპუტაციის პრობლემის კვლევაში ჯერ კიდევ არსებობს კონკრეტული შეუსწავლელი საკითხები, როგორცაა, მაგალითად: ყველა ცალკეულ შემთხვევაში იმპუტაციის რაოდენობრივი საზღვრები; ინფორმაციის არარსებული (ან მიუღებელი) ნაწილის ხვედრიწილი, რაც უნდა წარმოადგენდეს იმპუტაციის პრაქ-

ტიკულ საფუძველს; იმპუტაციის კონკრეტული ხერხები; იმპუტაციის კომპიუტერული პროგრამები და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის ერთ სტატიაში განხილვა და გადაჭრა შეუძლებელია. ამიტომ იგი საჭიროებს შემდგომ დამატებით კვლევას.

სტატისტიკური იმპუტაცია მოიცავს შემდეგ კონკრეტულ მეთოდებს:

- იმპუტაცია სტატისტიკური საშუალო სიდიდეების გამოყენებით;
- სტრატეგიული იმპუტაცია;
- რეგრესიული იმპუტაცია;
- იმპუტაცია “უახლოესი მეზობლის” პრინციპით;
- იმპუტაცია ისტორიული ანალოგიით;
- მრავალჯერადი იმპუტაცია;
- პროგნოზული იმპუტაცია;
- იმპუტაცია ექსპერტული შეფასების მეთოდით.

ეკონომიკური პროცესების განვითარების ტენდენციების ანალიზის დროს სტატისტიკური იმპუტაციის რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია კვლევის ობიექტის თავისებურებებზე, მის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობლიობაზე, ასევე კვლევის ძირითად მიზანსა და ამოცანებზე. ამასთან ერთად, იმპუტაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მიკრო-, ისე მაკრო-

დონეზე. ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი: როგორი მაჩვენებლები ესაჭიროება მკვლევარს? კრესითი (ჯამობრივი) და საშუალო სიდიდეები თუ პირველადი ცალკეული მონაცემები? ამ კითხვებზე ობიექტური პასუხი, ჩვენი აზრით, ასეთია: თუ მკვლევარის მიზანს წარმოადგენს უფრო მეტად პირველადი ცალკეული მაჩვენებლების განსაზღვრა, ვიდრე განზოგადებული და საშუალო სიდიდეების გაანგარიშება, მაშინ სტატისტიკური იმპუტაციის განხორციელება აუცილებელია და მას ალტერნატივა არა აქვს. მაშასადამე, აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც არსებული ინფორმაციული მასივი არასრულია და მას აკლია ერთი ან რამდენიმე მაჩვენებელი ან მისი კონკრეტული მნიშვნელობა.

ვლადიმერ ახალაია

**საერთაშორისო ტურიზმი და მისი ბანკითარების
პერსპექტივები საქართველოში**

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთი ფორმაა ტურიზმი, რომელიც ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების განვითარება-გაფართოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ტურიზმი ადამიანთა აქტიური დასვენების, ჯანმრთელობის გაუმჯობესების, სულიერი, კულტურული და სოციალური გან-

ვითარების საშუალებას წარმოადგენს. ამასთან, იგი ქვეყანაში უცხოური ვალუტისა და უდიდესი შემოსავლების შემომტანი დარგია.

საერთაშორისო ტურიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, XIX საუკუნეში წარმოიშვა. მაგრამ საქართველოში მისი ფართოდ განვითარება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონამდე საბჭოთა და 200 ათასამდე უცხოელი ტურისტი ჩამოდიოდა. მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცის დაშლის შემდეგ ტურიზმის ინდუსტრია მთლიანად მოიშალა, სასტუმროები და ტურბაზები გაიძარცვა. ამასთან, ისინი ლტოლვილთა თავშესაფარი გახდა. ამას დაემატა შეირადებული კონფლიქტები და პოლიტიკური არეულობები, რის შედეგადაც უცხოელი ტურისტების შემოსვლა შეწყდა. იგი მხოლოდ ქვეყანაში გარკვეული სტაბილურობის მიღწევის შედეგად განახლდა. 1995 წელს ქვეყანაში 50 ათასამდე ტურისტი ჩამოვიდა, ძირითადად დსთ-ს ქვეყნებიდან და თურქეთიდან. ტურისტების ჩამოსვლა მომდევნო წლებში გაიზარდა. მან 2000 წელს 300 ათასს გადააჭარბა, ხოლო 2006 წელს დაახლოებით 800 ათასს მიაღწია. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში შემოსული ტურისტების ზუსტი აღრიცხვა არ ხდება. მართალია, სასაზღვრო დეპარტამენტში აღრიცხება საზღვრის გადაკვეთა:

შემოსვლა-გასვლა, მაგრამ ყველა შემოსული ტურისტი არაა. მაგალითად ტურისტებად არ ჩაითვლებიან მიგრანტები, ლტოლვილები, დიპლომატები, საელჩოს მუშაკები, სამხედროები, ტრანზიტული წესით მოგზაურები, მოსწავლეები, სტუდენტები, სამუშაოს ძიებნელები.

ტურიზმი მომსახურების მაღალი რენტაბელური დარგია. ტურიზმისაგან აშშ 70 მილიარდ დოლარზე მეტ შემოსავალს ღებულობს, იტალია – 36 მილიარდს, საფრანგეთი – 30 მილიარდს, რუსეთი – 10 მილიარდს. ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნებია: საფრანგეთი, აშშ, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველო ტურისტებისათვის საინტერესო და მიმზიდველ ქვეყნად გადაიქცეს. ტურიზმმა ჩვენს ქვაყანას წელიწადში შეიძლება 1 მილიარდი დოლარის შემოსავალი მისცეს.

საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის უდიდესი შესაძლებლობები გააჩნია: რბილი ჰავა და შესანიშნავი რესურსები, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, უძველესი არქიტექტურული ძეგლები, ასევე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. უცხოელებს განსაკუთრებით იზიდავს საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება, უნიკალური გემოს მქონე ქართული კერძები, სახალხო ზეიმები.

საერთაშორისო ექსპერტთა აზრით ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რეალური საექსპორტო მომსახურებაა და ყველა პირობა უნდა შეიქმნას ამ დარგის განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობამ ტურიზმი და საკურორტო მომსახურება ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა. მალე ქვეყანა შეძლებს 1 მილიონი და მეტი ტურისტის მიღებას. მაგრამ, ამისათვის საჭიროა ახალი ტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული პროდუქტის შექმნა, ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების ინფორმირება, ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ტურისტული კომპანიებისათვის ხელისშეწყობა, კვების პროდუქტებისა და საკურორტო ტურისტული საქონლის წარმოების გაზრდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი სტაბილური, მცირერისკიან და მოწესრიგებულ ქვეყნად გადაქცევა.

გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ცალკეული ისტორიული ადგილებისა და ტურისტული მარშრუტების პროპაგანდა და რეკლამა. უნდა გაიზარდოს უცხოურ ენებზე ტურისტული რუქებისა და ბუკლეტების გამოცემა, უცხო ენების მცოდნე ტურიზმის მომსახურე კადრების მომზადება, რომლისთვისაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა პირობა არსებობს.

**ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის ძირითადი
მიმართულებები და გზები საქართველოში**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტკომუნისტურ სივრცეში დარჩენილი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახდა ქვეყნის თვითმყოფადობის აღდგენა. რაც პირველ ყოვლისა მოითხოვდა ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ეკონომიკის ეფექტიანად განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კი საფინანსო და ფულად-საკრედიტო რეგულირების მკაფიო მექანიზმის ფორმირებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკს ზემოქმედება მოახდინოს საქმიან აქტივობაზე, აკონტროლოს კომერციული ბენკების საქმიანობა, მოიპოვოს ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაცია და სხვა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საკმაოდ ძლიერი და საშიში ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით შესაძლებელია კრიზისიდან გამოსვლა, მაგრამ არაა გამორიცხული მან გამოიწვიოს ეკონომიკაში შექმნილი ნეგატიური ტენდენციების გაღრმავება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დანიშნულებას წარმოადგენს ფასების სტაბილურობის, სრული დასაქმების და

წარმოების რეალური მოცულობის ზრდის უზრუნველყოფა. თუმცადა, მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებულია უფრო მეტად კონკრეტულ და მიღწევად მიზნებზე, ვიდრე ეს გლობალური ამოცანა. ეს კონკრეტული მიზნები მოიცავენ ტაქტიკურ მიზნებს, რომლებიც მიიღწევა ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ყოველდღიური თანმიმდევრული ოპერაციების გატარების გზით და შუალედური მიზნები, რომლებიც არეგულირებენ საკვანძო ცვლადების მნიშვნელებას ეკონომიკურ სისტემაში წლიურ დროებით ინტერვალებში.

საკრედიტო სისტემის შემადგენელს წარმოადგენს საკრედიტო-საანგარიშო ურთიერთობების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების სისტემა.

საკრედიტო სისტემა, როგორც საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების ერთობლიობა თავს უყრის თავისუფალ ფულად კაპიტალს, სხვადასხვა ფენის მოსახლეობის შემოსავლებსა და დანაზოგებს და წარუდგენს მათ სესხის სახით ფირმებს, მთავრობას და კერძო პირებს.

ფულად-საკრედიტო სფეროს სახელმწიფო რეგულირება შეიძლება განხორციელდეს საკმაოდ წარმატებულად იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოს, ცენტრალური ბანკის გზით შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს კერძო ინსტიტუ-

ტების ხასიათსა და მასშტაბებზე, რადგანაც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში უკანასკნელნი წარმოადგენენ ფულად-საკრედიტო სისტემის ბაზას. აღნიშნული რეგულირება ხორციელდება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით. ამისათვის საჭიროა:

– მთელი სისრულით იქნეს ამოქმედებული ისეთი მონეტარული ინსტრუმენტი, როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკის ღია ბაზრის ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით და სადეპოზიტო სერთიფიკატები, რომლებიც წინა წელს იქნა ამოქმედებული და სრულყოფას მოითხოვს;

– აქტიურად უნდა იქნეს გატარებული საქართველოს ეროვნული ბანკის ისეთი ინსტრუმენტები როგორცაა: საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები და ღია ბაზრის ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით;

– საჭიროა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარის ფორმირება და სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

– ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა უნდა იქნეს ინფლაციის ერთნიშნა რიცხვამდე დაყვანა, თუმცა არა იმ დონემდე, რომ მან წარმოების ზრდის სტიმულირებას შეუშალოს ხელი;

კონკრეტული მიზნების მიღწევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მეტ-ნაკლები წარმატებით გამოირჩეოდა, ხოლო რაც შეეხება მის ისეთ გლობალურ ამოცანებს, რომელიც უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დაბალი დონისა და საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგების მიღწევა, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. და მხოლოდ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის სერიოზული ანალიზის შედეგად მიღებული ძალიან აწონილი და შეჯერებული გადაწყვეტილებებით გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების ალტერნატიული გზების განხილვა მოგვცემს დადებით შედეგებს.

ნახული არევაძე

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

1. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად მიმართულებას კრიზისამდელ პერიოდში წარმოადგენდა საგარეო ვაჭრობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო:

- უპირატესი სავაჭრო კავშირები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან და განსაკუთრებით რუსეთთან;
- გატანილი პროდუქციის ძირითადად მონოკულტურული ხასიათი;
- შემოტანილი პროდუქციის სამომხმარებლო ხასიათი;
- ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შედარებით დაბალი კონკურენტუნარიანობა;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის დადებითი საღღღ.

2. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები საგარეო ვაჭრობასთან ერთად გახდა სამუშაო ძალის მიგრაცია და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა.

3. თანამედროვე პირობებში საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია:

- იმპორტის 5,2-ჯერადი და ექსპორტის 3,1-ჯერადი ზრდა 2000-2006 წწ.;
- ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა დსთ-ს ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნებთან (1987 წლის – 7%-დან 2006 წ. 60%-მდე);
- საქართველოში თავისი პროდუქციის გამსაღებელი ქვეყნების რაოდენობრივი ზრდა;

➤ საქართველოს ყოფნა ახალი ბაზრების ძიების პროცესში;

➤ სავაჭრო ბალანსის მკვეთრად უარყოფითი სალდო.

4. ამჟამად საქართველოსათვის ძირითად მიზნად რჩება იმ გზების მოძიება, რომელიც გააფართოებს ექსპორტს და სრულყოფს მის სტრუქტურას. ამისათვის კი აუცილებლად მიგვაჩნია ადგილობრივი კონკურენტუნარიანი წარმოების, განსაკუთრებით მეცნიერებატევადი დარგების განვითარება, რაშიც არსებითი წვლილი მეცნიერებამ უნდა შეიტანოს. აქედან მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობა.

5. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილად ვთვლით სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარება. ასევე, როგორც შიდა ბაზრისა და შიდა საქონელბრუნვის ზრდა, ისე ექსპორტის ხელშემწყობი პირობების მაქსიმალური განვითარება და შეზღუდული საექსპორტო რესურსების სრული გამოყენება;

6. 2004-2006 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა დაახლოებით 500 ათასი კაცი, მათ შორის რუსეთში 39%, მაშინ როცა ამავე პერიოდში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან რუსეთში ჩავიდა ემიგრირებულთა საერთო

რაოდენობის 90,17 და 80,07%, რაც შეიძლება აიხსნას არსებული საეიზო რეჟიმით. რუსეთში სამუშაო ადგილების ძეგნის მოტივაციაც ბევრად უფრო სუსტია ქართველ მიგრანტებში, ვიდრე აზერბაიჯანელებსა და სომხებში.

7. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 2003 წელს იყო, როცა მან წინა წლის მიმართ 105% შეადგინა, მომდევნო წელს ზრდა მხოლოდ 45,6% იყო. ჩვენი მოქალაქეების მიერ უცხოეთში აქტივების შექმნაზე გაწეული დანახარჯები ჯერ-ჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია (115 მილიონი დოლარი) უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2006 წლის 1,02 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სავარაუდოა პირდაპირი ინვესტიციების შემდგომი ზრდა ქვეყნის იმიჯისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პირობებში.

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები

1. საქართველო სადღეისოდ იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საქონლისა და მომსახურების ექსპორტი საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტს. ქვეყნის საგარეო ბრუნვის ზრდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელ-

დება. მხოლოდ ბოლო 2000–2006 წწ ექსპორტის წილი მთლიან ბრუნვაში 31,3-დან 21,2%-მდე, ექსპორტით იმპორტის გადაფარვა კი 45,5-დან 24,6%-მდე შემცირდა, რის გამოც საგარეო ვაჭრობის უარყოფითი საღლო 7-ჯერ გაიზარდა და 2,6 მლრდ დოლარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში მოხდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია, მისი არეალის საგრძნობი გაფართოება. 1995-2007 წწ ქვეყნის სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი 68-დან 117-მდე გაიზარდა.

2. სავაჭრო კავშირების გაფართოებასთან ერთად, შეიცვალა მისი გეოგრაფიაც. 2006 წლამდე საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო რუსეთი, რომლის წილად მოდიოდა ქვეყნის ექსპორტის 17,8%. 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთის მიერ ცალმხრივად გამოცხადებული სავაჭრო ემბარგოს შედეგად აიკრძალა რუსეთის ბაზრებზე ქართული ღვინოების, მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქტების რეალიზაცია, რის გამოც მკვეთრად შემცირდა (4,3%-მდე, ანუ 4-ჯერ და მეტად) რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი და აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით რუსეთმა მე-6 ადგილზე გადაინაცვლა.

3. ახალი ბაზრების მოძიების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქართული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფი-

კაცია წარმატებით ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე. ამ მხრივ, თურქეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, სადაც იყიდება ქართული საექსპორტო პროდუქციის 27%, წინა პლანზე გამოვიდნენ აშშ, ბულგარეთი, გერმანია, თურქმენეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სხვ. ქართული ექსპორტის 39% მოდის დსთ-ს, ხოლო თითქმის 20% ევროკავშირის ქვეყნებზე. ბოლო პერიოდში ქვეყანამ კურსი აიღო დასავლეთის (პირველ რიგში ევროკავშირის) ქვეყნებზე. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს დსთ-ს (მ. შ. რუსეთის) ბაზარზე უარის თქმას.

4. საქართველომ, ექსპორტის დივერსიფიკაციასთან ერთად, უნდა იზრუნოს მისი სასაქონლო სტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ქვეყნის ექსპორტში ჭარბობს ნედლეული, სურსათი და ნახევარფაბრიკატები. ამასთან, ექსპორტი ორიენტირებულია სულ რამოდენიმე სახის პროდუქციაზე, რომელთაგან ზოგიერთს სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია (მაგალითად, ჯართი) და მას შეიძლება “გაჭირვების” ექსპორტი ეწოდოს. იგი მომავალში თანდათანობით შემცირდება. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გადიდების მიზნით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული აგრო-სამრეწველო სექტორის ფუნქციონირების მდიდარი ტრადიციები, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მათი გადამუშავების დიდი შესაძლებლობები.

საჭიროა ამ საქმეში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, სათანადო ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების ამოქმედება, ქართული პროდუქციის ღირსების, მისი ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფა და პროპაგანდა.

5. საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია, დსთ-ს (მათ შორის ცენტრალური კავკასიის) ქვეყნებთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო კონტაქტების გააქტიურება, ევროპის ბაზარზე ქართული საქსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის ბაზარი (განსაკუთრებით სასურსათო) საკმაოდ მკაცრი, მომთხოვნი და მაღალკონკურენტუნარიანი ბაზარია. აქ მოსახვედრად, სატარიფო ბარიერებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რაშიც იგულისხმება სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემების, აგრეთვე, ვეტერინალური და ფიტოსანიტარული უვნებლობის სტანდარტების დაცვა. მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება რეალური გახდეს ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ შეღწევისა და დამკვიდრების პერსპექტივა. ეკონომიკის გაძლიერებისა და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გადიდების კვალობაზე ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს ყოფილი საბჭოთა ბაზრიდან ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაღალკონკურენტ-

უნარიან ბაზრებზე რეორიენტაციის პროცესი. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საგარეო-საგაჭრო კავშირების გაფართოებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებასა და შექმნის სათანადო პირობებს ევროკავშირში მისი გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისათვის.

მარინა მუჩიაშვილი, ელზა კუსრაშვილი
**საქართველოს ეკონომიკური ზრდა და საქართველოს
სახელმწიფო ბიუჯეტის უმოსავლებისა და ხარჯების
სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები**

1. 2005–2007 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოწლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 9,2%-ს შეადგენს. ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის ტემპებით საქართველო მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ისეთ სახელმწიფოებს, როგორცაა – სომხეთი (13.4%), აზერბაიჯანი (34.5%), ლატვია (11.9 პროცენტი), ესტონეთი (11.4), ყაზახეთი (10.6) და ბელარუსი (9.9).

2. 2005 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საბიუჯეტო შემოსავლე-

ბის ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა. 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით შემოსავლების სტრუქტურაში გადასახადები 72,0%-ს, 2008 წლის პროექტით კი – 87,4%-ს შეადგენს. ამასთან, 2007 წელს გადასახადების წილი მშპ-ში 21,7%-ის ტოლია. 2008 წლის პროექტით კი გათვალისწინებულია მისი 23,3%-მდე ზრდა. მიუხედავად ამისა, საქართველო, ამ მაჩვენებლით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, სადაც იგი საშუალოდ 27-51 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

აღნიშნულ პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ძირითადად განხორციელდა საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხარჯზე, თუმცა მასზე ზეგავლენა მოახდინა ასევე, არასაგადასახადო შემოსავლების, კაპიტალური შემოსავლებისა და გრანტების ზრდამაც. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში საბაჟოს ხაზით მიღებული შემოსავლების წილის ზრდა მიუთითებს, რომ ქვეყანაში საწარმოო და სამომხმარებლო პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება, ამასთან, იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოება ჯერ კიდევ არ თამაშობს წამყვან როლს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების

ფორმირების საქმეში. პრობლემის დაძლევის გზად გვესახება მოქმედ საგადასახადი და საბაჟო კოდექსებში იმ ცვლილებების შეტანა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის დონის დაძლევა, რაც დღეისათვის საქართველოში მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად (ინფლაციის მაღალ მაჩვენებელთან ერთად) გვევლინება.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში (მაგალითად, აშშ, იაპონია, კანადა, ინგლისი) პირდაპირი გადასახადების წილი მნიშვნელოვნად აღემატება არაპირდაპირს, თუმცა ზოგიერთ მათგანში (მაგალითად, გერმანიასა და იტალიაში) მათ შორის თანაფარდობა თითქმის დაბალანსებულია. საქართველოში ამ გადასახადებს შორის თანაფარდობა საპირისპიროა. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში არაპირდაპირ გადასახადებს უკანასკნელ წლებში დაახლოებით 70–75% უკავია. ასეთი თანაფარდობა დამახასიათებელია ეკონომიკურად დაბალგანვითარებადი ქვეყნებისათვის და მაშასადამე, ამგვარი მდგომარეობა საქართველოს ეკო-

ნომიკური განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი გადასახადი სოციალურად არასამართლიანია და ბიუჯეტში მისი აკუმულირება ხდება მოსახლეობის კეთილდღეობის დაცემის ხარჯზე, მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადები ხელს უწყობს საგადასახადო ტვირთის სამართლიან გადანაწილებას. ამასთან, ამ ტიპის გადასახადების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურ პირთა და საწარმოთა რეალური შემოსავლების, მაშასადამე რეალური ეკონომიკის ზრდის ხარჯზე.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური სტრუქტურის სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან შედარებიდან ირკვევა, რომ ამ ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანაში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული ხარჯები აღემატება სხვა დანარჩენ სფეროებზე გაწეული ხარჯების მოცულობას, მაშინ როდესაც საქართველოში ამ სფეროების დაფინანსებაზე მოსული ხარჯები სახელმწიფო სხვა ხარჯების მოცულობას დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით 2,3-ჯერ ჩამორჩება.

აღნიშნული მიზეზის გამო საქართველოში ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, რაც გამოიხატება დაბალშემოსავლიანი ოჯახების შემოსავლების ზრდისა და სოცია-

ლურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერაში, სათანადოდ ვერ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურა, სადაც საჭიროა სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების დონეების მნიშვნელოვანი ზრდა.

თინათინ ქურდაძე

**საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები
კოსტომუნისტური ტრანსფორმაციის თანამედროვე
ეტაპზე საქართველოში**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომელიც ასევე შეიძლება რეფორმების პირველ ეტაპად ჩაითვალოს. წინამორბედი საგადასახადო კოდექსისაგან განსხვავებით, გადასახადების რაოდენობა შემცირდა, რაც პროგრესული ნაბიჯია, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მისი თვისებრივი მხარეების გათვალისწინება. მასში კიდევ უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები. იგი გადაჭრით ვერ პასუხობს გადამხდელთა ინტერესებს და საჭიროებს დახვეწას და ასევე გადასახადების გარკვეული სახეების ლიბერალიზაციას.

2008 წლიდან მოხლოდნელია საგადასახადო კანონმდებლობაში მეორე მნიშვნელოვანი რეფორმის დაწყება.

კერძოდ, უნდა გაერთიანდეს სოციალური და სა-შემოსავლო გადასახადი, რომლის ერთიანი განაკვეთი იქნება 25% და დაერქმევა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი. ამჟამად მოქმედებს 12%-იანი საშემოსავლო და 20%-იანი განაკვეთის მქონე სოციალური გადასახადი. პრობლემა მდომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლება აერთიანებს ამ გადასახადებს და აცხადებს რომ ერთობლიობაში ისინი შეადგენენ 32%-ს. უნდა ითქვას, რომ ასეთი ცვლილებების თეორიული საფუძველიც კი არ არსებობს, ამ ორი გადასახადების ბუნებრივი განსხვავებულობის გამო, რადგანაც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, სოციალურისა კი – იურიდიული. ამიტომ ისინი ცალცალკე უნდა იხდიდნენ ამ გადასახადებს. დავუშვათ, რომ გავაერთიანეთ ისინი და გვაქვს 32%-იანი ერთობლივი განაკვეთი. ეს უკანასკნელი უნდა წარმოდგენილ იყოს, როგორც ერთიანი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შემცირდება 25%-მდე. ეს ნიშნავს შემდეგს: გაუქმდება იურიდიული პირის სოციალური გადასახადი და მთელი დატვირთვა გადავა ფიზიკურ პირებზე. ერთადერთი მნიშვნელოვანი შედეგატი იქნება ბიზნესის სფეროსათვის. მაგრამ უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების დიდი ნაწილის მძიმე სოციალური მდგომარეობა და მივმართოთ ვექტორი სოციალურად ორიენტირებული საგადასახადო კანონმდებლობი-

საკენ, რითაც შესაძლებელია მაღალი ფისკალური ეფექტის მიღწევა.

როდესაც საუბარია სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე ყურადსადება ბოლო წლებში უკრაინის ხელისუფლების მიერ დანერგილი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ახალი მეთოდები და მექანიზმები. 2002 წელს სახელმწიფო ბიუჯეტირების დონეზე პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის ცალკეული ელემენტები დაინერგა და პირველად გამოყენებულ იქნა კლასიფიკაციის ორი სახე – ფუნქციონალური და პროგრამული. სწორედ ეს უკანასკნელი შეესაბამება სახელმწიფო ფინანსების მსოფლიო სტანდარტებს. რაც თავისი ეკონომიკური არსით ჩვენთვისაც სრულიად მისაღებია, ოღონდ ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

სრულყოფილი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება გულისხმობს ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და, აქედან გამომდინარე, პროგრამის შემუშავების მკაფიოდ მითითებული მიზნით და კონტროლის მექანიზმით, ვადებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრით. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს:

1. სრულიად განესაზღვროთ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების მეშვეობით ეკონომიკის მართვა ქვეყნის შიდა რესურსების გამოვლენისა და ამოქმედების საფუძველზე;

2. ავამადლოთ ადმინისტრაციული სტრუქტურების ყველა რგოლის პასუხისმგებლობა მოსალოდნელი უარყოფითი ეკონომიკური შედეგების თავიდან ასაცილებლად;

3. მაქსიმალურად შემცირდეს გადასახადის გადამხდელთა მხრიდან გადასახადებისაგან თავის არიდების ფაქტები და ამასთან ერთად შეიქმნას პირობები მეწარმეობის განვითარებისათვის;

4. განისაზღვროს პირობები ჩრდილოვანი (დაუკვირვებადი) ეკონომიკის ლეგალიზაციის დაჩქარებისათვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, გამოიკეთოს გადასახადების სამართლებრივი რეგულირების მიმართულებანი და მისი მნიშვნელობა.

ბესიკ ბოლქვაძე

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში

1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ნებისმიერი ქვეყნისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იყოს იგი, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, ვინაიდან მისი გადაწყვეტის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერს-

პექტივები როგორც მიკრო, ისე განსაკუთრებით, მაკროეკონომიკურ დონეზე.

2. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში სახელმწიფომ უნდა იტვირთოს არა მარტო ეკონომიკის რეგულირების ტრადიციული ფუნქცია, არამედ ამასთან ერთად უნდა შეასრულოს სისტემაშემქმნელი ფაქტორის როლიც, ამასთან, სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს აქვს თავისი საზღვრები, როდესაც იგი იძლევა მაქსიმალურ ეფექტს, კერძოდ, მან არ უნდა შეზღუდოს კონკურენცია, მეწარმეთა დამოუკიდებლობა, არ დაარღვიოს დარგობრივი და რეგიონთაშორისი პროპორციები.

3. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება გამომდინარეობს ბაზრის ნაკლოვანებებიდან, ამდენად, გარდამავალი ეკონომიკის თანმდევი დეფექტების აღმოფხვრა და განეიტრალება სახელმწიფოს მხრიდან ამართლებს თეზას იმის შესახებ, რომ ბაზარი არის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა.

4. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოს, ფირმების, საფინანსო სისტემის სუბიექტების და ინდივიდების ინტერესთა რეალიზაციას, ვინაი-

დან თითოეულ ეკონომიკურ სუბიექტს შეუძლია სხვადასხვა ხარისხით და მასშტაბით იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

5. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება არსებითად და პრინციპულად განსხვავდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისაგან, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფორმირებადი ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი თავისებურებების გათვალისწინება:

- ა) გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მცირდება ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის მასშტაბები პრივატიზაციის, ლიბერალიზაციის და სხვა ფაქტორების გააქტიურების გამო, თუმცა ამის საპირისპიროდ ერთდროულად იზრდება სახელმწიფოს “შზრუნველობა” სოციალური სექტორისადმი და ეკონომიკის იმ დარგებისადმი, რომლებიც ბაზრისადმი ხანგრძლივი ადაპტაციით ხასიათდებიან;
- ბ) ვინაიდან გარდამავალი ეკონომიკა გულისხმობს ფორმირებად ბაზარს, ე.ი. სუსტად განვითარებულ საბაზრო ინფრასტრუქტურას, ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ეკონომიკური, საკანონმდებლო და სხვა პირობების შექმნა;
- გ) იცვლება თანაფარდობა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ

ბერკეტებს შორის უკანასკნელი მათგანის სასარგებლოდ; დ) სახელმწიფო ერთდროულად ახორციელებს საბაზრო მექანიზმების ფორმირების და მათი “გენეტიკური” ნაკლოვანებების აღმოფხვრის ფუნქციებს.

6. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საზღვრები გარდამავალ პერიოდში უნდა ამოდიოდეს ბაზრის, როგორც განსაკუთრებული და ეფექტიანი სამეურნეო მექანიზმის, უპირატესობათა მაქსიმალური რეალიზაციის მოთხოვნიდან, ხოლო სახელმწიფომ მთავარი აქცენტი უნდა აიღოს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების ადეკვატურ და პირდაპირ მეთოდებთან შედარებით უპირატეს გამოყენებაზე.

7. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე მსჯელობა არ იქნებოდა სრულყოფილი გლობალიზაციის ფაქტორისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის ინტენსიურად მიმდინარე პროცესების გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის სახელმწიფო როლზე და იწვევს ეკონომიკის რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების შეცვლას.

დავით ქათამაძე

**საქართველოს საბარეო ეკონომიკური პოლიტიკის
მიზნები და ამოცანები**

1. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრაციის გზით, ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ, სამამულო მეწარმეთა ინტერესების დაცვა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის მზარდ აუცილებლობას; საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიან მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოებისა და თვითმყოფადობის უზრუნველყოფა, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა: ქვეყნის ენერგეტიკული, ფინანსური დამოუკიდებლობისა და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ჩვენი ქვეყნის, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ოპტიმალურ ინტეგრირებას ხელს უშლის მისი პოლიტიკური დაქსაქსულობა, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური არამდგრადობა, საერთაშორისო ორ-

განიზაციაში ღარიბი ქვეყნებისათვის გადამწყვეტი ხმის უფლების უქონლობა;

3. კორპორაციულ საწყისებზე აგებული ურთიერთობებით სამამულო ინტერესების დაცვის შანსი საქართველოსათვის ძალიან მცირეა. ამიტომ, საქართველომ ორიენტაცია უნდა აიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებში, ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობათა დამყარების მეშვეობით ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა შექმნას საზღვარგარეთის ქვეყნებთან მდგრადი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების მყარი გარანტიები, რამაც, თავის მხრივ, უნდა გააღრმავოს სამამულო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პროცესი;

4. რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართვამ ხელი უნდა შეუწყოს გლობალიზაციის პროცესის ჩვენი ქვეყნისათვის ნეგატიური შედეგების შესუსტება-აღმოფხვრას, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში მის აქტიურ და უმტკივნეულო ჩართვას. რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის ერთმანეთთან შეთანხმების პროცესი აამაღლებს ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა დივერსიფიკაციის ხარისხს. საქართველოს აქტიური ჩართვა თანამედროვე რეგიონალიზაციის პროცესში განხილული უნდა იქნეს, როგორც გლობალიზაციის შემდგომ

საფეხურზე მისი უმტკივნეულო ინტეგრირების მიმართულე-
ბით წინგადადგმული და გარდუვალი ნაბიჯი, რადგანაც
რეგიონალიზაცია გლობალიზაციის წინა ეტაპს წარმოად-
გენს;

5. 2000-2006 წლებში საქართველოს საგარეო ეკონო-
მიკურ საქმიანობაში შექმნილი ვითარება არასახარბიელოა.
სასაქონლო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ტემპი აშკარად
ჩამოუვარდება იმპორტის ზრდის ტემპს, შესაბამისად ყო-
ველწლიურად ღრმავდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტი,
ხოლო ინფლაციის ხელოვნურად შექმნილი დაბალი ტემპი
ხელს უწყობს იმპორტის შემდგომ სტიმულირებასა და
ექსპორტის იძულებით შეზღუდვას. შესაბამისად, კიდევ უფ-
რო გაუარესდა იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიცი-
ენტი (2000 წელს ამ მაჩვენებელმა 47% შეადგინა, 2006
წელს კი 35 %-მდე დაეცა).

6. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად იმატა
უცხოეთიდან საქართველოში შემოსულმა პირდაპირი უცხო-
ური ინვესტიციების მოცულობამ, ეს სულაც არ ნიშნავს
იმას რომ, ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატი ცალსახად
გაუმჯობესდა. საქართველოს აქტივებით უცხოელ ინვეს-
ტორთა მზარდი დაინტერესება ჩვენი ქვეყნის მიერ მასობ-
რივი საპრივატიზაციო ბუმიით არის განპირობებული. იმაყ-
დროულად საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური განლაგე-

ბიდან გამომდინარე, განეკუთვნება მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვს. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორებზე აქტივების მიყიდვიდან მიღებული უცხოური სავალუტო შემოსავლები კვლავ მიემართება მსოფლიო სამომხმარებლო დანიშნულების მქონე საქონელთა მზარდი იმპორტის დასაფინანსებლად;

7. ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მთავარ ამოცანად დასახული იქნეს მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ხოლო ამ ამოცანის მიღწევის ძირითად მიზნებს კი უნდა წარმოადგენდეს: ა). ქვეყნებს შორის კაპიტალის მიგრაციის სფეროში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის ხარისხის ამაღლება, ბ) ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება; გ) ერთობლივი საწარმოების ფორმირება დ) საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში კოლექტიური ხმის უფლების გამოყენება;

ედუარდ მიქელაძე, გელა მამულაძე

სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობა

საქართველოში საგარეო ეკონომიკის პირობებში

სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობა საქართველოში მოსახრების დონეზეა. ჯერ კიდევ ცნობილი მოვლე-

ნების პერიოდში – 1991-წლიდან 1996 წლამდე რაიმე სტრატეგიულ დაგეგმვაზე საუბარს აზრი არ ჰქონდა. 1996 წლიდან 2003 წლამდე ამ თემის ირგვლივ გამოქვეყნდა უამრავი ნაშრომი და გამოითქვა მოსაზრებები, რომ საქართველოში, ნებისმიერ სტრუქტურაში საჭიროა განხორციელდეს სტრატეგიული დაგეგმვა, რათა უკეთ წარმართულიყო მათი საქმიანობა. 2003 წლიდან დღემდე სტრატეგიულ დაგეგმვას იყენებენ ისეთი კომპანიები, რომლებიც კარგად იცნობენ საზღვარგარეთის გამოცდილებას და რეკომენდაციებს, რომ დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია საერთოდ ეკონომიკის და ქვეყნის განვითარება. იაპონიამ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის უკან დაგეგმა ის რომ, უნდა გამხდარიყო ლიდერი მსოფლიოში ტექნოლოგიებისა და ელექტრონიკის სფეროში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი – ის, რომ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ზესახელმწიფო და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი, აგრეთვე აქცენტი გააკეთა ძლიერ შეიარაღებაზე და ჯარზე. ყოველივე ამას, ამ ქვეყნებმა სწორედ სტრატეგიული დაგეგმვის გზით მიაღწიეს. თუ გვინდა რომ განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო გაგხდეთ, ასევე მივალწიოთ წარმატებას საკუთარ ბიზნესსა და საქმიანობაში, უნდა გამოვიყენოთ სტრატეგიული დაგეგმვა.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ქართველი მეფეები დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე იყენებდნენ სტრატეგიას მტერთან საბრძოლველად. მათი სტრატეგია ის გახლდათ, რომ დაემარცხებინათ მტერი ცოცხალი ძალის (ჯარისკაცი) მინიმალური დანაკარგებით. ისინი ამას აკეთებდნენ მომავლის წინასწარ განჭვრეტის გზით. მათი წინასწარ განჭვრეტა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი წინასწარ ადგენდნენ გეგმებს და ანალიზს უკეთებდნენ ყოველ გეგმას, თუ რომელი გეგმა იქნებოდა ეფექტური მტერთან ომის მოსაგებად. ჩვენთვის გაუგებარია თუ რატომ არ ხდება საქართველოში სტრატეგიული დაგეგმვის გამოყენება, რის მაგალითსაც ჩვენი წინაპრები იძლეოდნენ.

სტრატეგიული დაგეგმვა, უპირველეს ყოვლისა, ზრდის ორგანიზაციის შესაძლებლობას, წარმატებით შეასრულოს თავისი მისია. ის გვაძლევს საშუალებას, წინასწარ განვჭვრიტოთ როგორც პრობლემები, ისე სამომავლო შესაძლებლობები. თუ მოხერხდა როგორც პრობლემების, ისე შესაძლებლობების წინასწარ გამოაშკარაება, მაშინ შესაძლებელი გახდება პროცესის ეფექტური დაგეგმვა. თუ მათი გამოვლენა არ მოხერხდა, შესაძლებლობებს ხელიდან გავუშვებთ, ხოლო პრობლემები განუსაზღვრელად გაიზრდება.

სტრატეგიული დაგეგმვა ხელს უწყობს მიზნების დასახვას და განსაზღვრავს კონსენსუსის მიღწევას. ეს კი

ზრდის მიზნის მიღწევის ალბათობას. ჩვენი აზრით, კონსენსუსის მიღწევა მოითხოვს გარკვეულ დათმობებს მონაწილეთა მხრიდან. ეს პროცესები გულისხმობს კომპრომისებს მიზნებისა და პროგრამების თაობაზე. ყოველივე ამას სახელმწიფო მმართველობაში უფრო კრიტიკული სახე აქვს, ვიდრე ბიზნესში, რადგან ხელისუფლებას გაცილებით ფართო დიაპაზონისა და განსაკუთრებული ბუნების ფუნქციები აკისრია.

სტრატეგიული დაგეგმვა არის როგორც სახელმწიფოს ისე ნებისმიერი ფირმის საქმიანობის წარმატების მთავარი საშუალება მძაფრი კონკურენციის პირობებში. ვფიქრობთ, რომ მისი დანერგვა დროული და აუცილებელია ნებისმიერი დონის სტრუქტურისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი რისკები და მიეცეთ წარმატების დიდი შანსი თავიანთ საქმიანობაში. საქართველოში სტრატეგიული დაგეგმვა ხელს შეუწყობს შრომითი და კაპიტალური რესურსების განაწილებას.

ეკატერინე მეყანწიშვილი

**პოსტკომუნისტური ტრანსკორმაციის ტენდენციები და
საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ფინანსურ
სფეროში**

პოსტკომუნისტური ტრანსპორმაციის ტენდენციები გულისხმობს ერთის მხრივ კორუფციის მაშტაბების შემცირების ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შემცირების საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ტრანსპორმაციის ტენდენციების პირველი ნაწილიდან გამომდინარე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შემცირება არ ნიშნავს სამართლიანობის, როგორც ფასეულობის და ორიენტირის მნიშვნელობის შემცირებას. იგი უკავშირდება სამ ძირითად ინსტრუმენტს: სამართლებრივ სისტემას, საზოგადოებრივ ადმინისტრირებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება ქვეყნის უსაფრთხოების მიღწევა, შენარჩუნება და დაცვა. ეკონომიკური (ისევე, როგორც სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური და ა. შ.) უსაფრთხოება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურ და მდგრად განვითარებას, სხვადასხვა სახის საშიშროების თავიდან აცი-

ლების ან უკიდურეს შემთხვევაში, მათი მოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალური დანაკარგებით ლიკვიდაციას. მხოლოდ საბაზრო მექანიზმების მეშვეობით ასეთი მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია, აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, მის მიერ ისეთი ინსტრუმენტების შემუშავება და ამოქმედება, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ძნელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ძირუელად ცვლიან თავიანთ ეკონომიკურ სისტემას, ტრანსფორმაცია მეტად რთულია, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

დღევანდელი საქართველოს არსასურველი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ მმართველი ელიტა ვერ ათვისებინებენ სათანადო განვითარების ზოგადი ტენდენციების ზემოქმედებას ქვეყნის განვითარებაზე, ანუ ვერ იღებს სწორ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას და შედეგად არასახარბიელოა.

განვითარების ზოგადი ტენდენციების დახასიათება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო განვითარების სტრატეგიები. ძირითადი დასკვნები ასეთია: პირველი, საქართველო 21-ე საუკუნეს ხვდება როგორც დამოუკიდებელი სა-

ხელმწიფო, მაგრამ განუვითარებელი ეკონომიკით, მოსახლეობის უმეტესობის უკიდურესი სიღარიბით, სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის დაბალი დონით; მეორე, საქართველო დაბალგანვითარებულ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება ცხოვრების დონით, თუმცა მას გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ გახდეს მაღალგანვითარებული ქვეყანა; მესამე, საქართველოს მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი მიზეზია ის, რომ ხელისუფლებამ (ძველმა და ახალმა) ვერ შეძლო არ დაეშვა ის ნგრევითი პროცესები, რაც მოხდა 90-იან წლებში.

იმისათვის, რომ ხელისუფლებამ შეძლოს თანამედროვე მოთხოვნებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება, საჭიროა განახორციელოს ისეთი ალტერნატიული სტრატეგია, რომლის მთავარი ელემენტია, ჯერ ერთი, მდგრადი და უსაფრთხო სტრატეგიაზე გადასვლა და მეორე, ფინანსური უსაფრთხოების პრიორიტეტული უზრუნველყოფა.

ფინანსური უსაფრთხოების არსია ქვეყნისა და ცალკეული მოქალაქეების განვითარების უზრუნველყოფა, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ფინანსურ რესურსებზე მიმდინარე და გრძელვადიან პირობებში. ფართო გაგებით ფინანსური უსაფრთხოება მოიცავს საბიუჯეტო-საგდასახადო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო უსაფრთხოებას. მი-

სი განხორციელებისათვის აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ჩარჩოში საქართველოს ფინანსური უსაფრთხოების პროგრამის შემუშავება. ასეთი პროგრამის ძირითადი ამოცანებია: ფინანსური უსაფრთხოების სისტემის განსაზღვრა, შეფასება, პროფილაქტიკის ღონისძიებების შემუშავება, ფინანსური დანაკარგებისა და რისკების მონინიმიზაცია, ქვეყნისა და მოსახლეობის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ფინანსური გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზება, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე და შიდა ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა. პროგრამაში ასევე ასახული უნდა იყოს ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლები, ღონისძიებათა სისტემა საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო სფეროებში.

განვითარების ალტერნატიულ სტრატეგიას საფუძვლად უნდა დაედოს ის, რომ საქართველოში არის ფინანსური რესურსები და აქცენტი არ უნდა კეთდებოდეს საზღვარგარეთიდან ჭარბად რესურსების მოზიდვაზე.

სექტორული ეკონომიკის, მიკროეკონომიკის სექცია

ТЕОРИЯ ТРАНЗАКЦИОННЫХ ИЗДЕРЖЕК И ДОВЕРИЕ

Значительная часть исследований в сфере теории организации производства, осуществленных в последнее время, была посвящена изучению различных форм координации экономической деятельности. Теоретический базис, лежащий в основе этого направления экономических исследований, в свое время заложенный Коузом, а позднее развитый Уильямсоном, известен в экономической литературе, как теория транзакционных издержек (ТТИ). Согласно этой теоретической парадигме, рыночная сделка будет осуществляться с использованием наиболее эффективного механизма организации, минимизирующего транзакционные издержки координации экономической деятельности. Теория транзакционных издержек выделяет две формы организации транзакций – рынок и иерархии и фокусируется на трех переменных – специфичности капитала, неопределенности и частоты совершения сделок, определяющих эффективность конкретной формы организации экономической деятельности.

Целый ряд эмпирических исследований свидетельствует о действенности основной гипотезы ТТИ, сформулированной Уильямсоном: когда транзакция происходит в условиях высокого

уровня неопределенности и специфичности капитала, а также при большой частоте повторяющихся сделок, имеет место “провал” рынка и фирмы имеют тенденцию к вертикальной интеграции. Обзор литературы свидетельствует о большом эмпирическом интересе к влиянию основных переменных ТТИ на вертикальную интеграцию, продолжительность и полноту контрактов и т.д.

Эмпирические исследования, опирающиеся на теоретические предпосылки ТТИ, фокусируют свой интерес исключительно на рынках и иерархиях, в качестве взаимоисключающих форм координации экономической деятельности. Однако дихотомический подход теории транзакционных издержек к формам организации транзакций представляется несколько ограниченным, поскольку он оставляет вне поля зрения значительное число организационных форм сотрудничества, располагающихся между рынками и иерархиями. К примеру, Ричардсон расширяет существующий подход, выделяя три типа координации экономической деятельности: руководство, рыночные сделки и сотрудничество. Соглашения о сотрудничестве, такие как повторные сделки, долговременные соглашения, партнерства между продавцами и клиентами, стратегические альянсы, совместные предприятия, сетевые организации, представляют собой альтернативную рынкам и иерархиям форму организации транзакций. Выгоды от подобных форм сотрудничества заключаются в снижении издержек, связан-

ных с поиском информации, улучшении рабочих отношений, лучшем понимании нужд клиентов и т.д.

Неспособность теории транзакционных издержек дать адекватное объяснение этим формам координации экономической деятельности, берет начало в основных поведенческих предпосылках этой теории: “ограниченной рациональности” и “оппортунизме”. Эти предпосылки согласно теории ТТИ влияют на способ организации экономического обмена, посредством воздействия на транзакционные издержки написания и исполнения контрактов. Эти предпосылки создают давление в направлении вертикальной интеграции, когда транзакции характеризуются высоким уровнем специфичности капитала и неопределенности, а также высокой частотой сделок.

Однако помимо предпосылок, на которых базируется ТТИ, существует и другой механизм координации экономической деятельности - доверие. Бредах и Экелс утверждают, что транзакции между экономическими агентами могут быть организованы на основе трех механизмов контроля: цены, власти и доверия, которые отображаются соответственно на рынок, иерархию и контракты на базе отношений. Доверие, лежащее в основе реляционных контрактных форм, в свою очередь является результатом социальных норм и личных отношений. За счет уменьшения вероятности оппортунизма и сокращения уровня неопреде-

ленности, доверие смягчает давление в сторону вертикальной интеграции. Хотя теория транзакционных издержек, в целом, признает доверие в качестве релевантного фактора, его влияние на структуру отрасли и его роль в организации транзакций между экономическими агентами остаются в рамках данной теории не до конца исследованными. Для решения этой проблемы, основные переменные теории транзакционных издержек должны быть рассмотрены в социологическом контексте межфирменных отношений.

Проблема определения доверия и оценки его роли в контексте межфирменных отношений в последнее время получила пристальное внимание в таких сферах как социология, исследования бизнеса, менеджмент и экономика. Однако в силу многопланового характера исследований в этой области, на данный момент отсутствует единое мнение относительно понятия доверия. ТТИ рассматривает анализ издержек и выгод определенного поведения экономических агентов в качестве основы для возникновения доверия, тогда как социологи подчеркивают важность нравственных аспектов доверия и рассматривают его как результат общих норм и ценностей. Третий подход предусматривает в качестве исходной базы для доверия познание и ожидания. Несмотря на эти различия, большинство интерпретаций понятия доверия включают следующие общие элементы:

- доверие предполагает определенную взаимозависимость между двумя сторонами;
- доверие позволяет решить проблемы риска и неопределенности, присущих отношениям обмена;
- доверие позволяет избежать уязвимости, связанной с принятием риска.

Эти общие характерные признаки доверия позволяют рассматривать его в качестве альтернативного механизма координации экономической деятельности, способного уменьшить неопределенность, риск и транзакционные издержки, присущие межфирменным отношениям.

В зависимости от его источников, в литературе к настоящему моменту было сформулировано несколько типологий доверия. Так, исследуя эволюцию доверия, Цукер определила три его типа следующим образом: *процессуальное доверие* – являющееся результатом возобновляемых сделок и опыта, полученного рамках социально-экономического обмена; *характерное доверие* – основанное на социальном сходстве партнеров и независящее от опыта полученного в ходе предыдущих сделок; *институциональное доверие* – выходящее за рамки опыта приобретенного в результате социально-экономического обмена и личных отношений, создаваемое нормальным функционированием формальных институтов в обществе.

Все вышесказанное позволяет нам заключить, что в зависимости от источника, доверие может иметь различное влияние на степень и границы кооперации между экономическими агентами. Вместе с этим, вне зависимости от своей формы, доверие играет важную роль в понимании межфирменных транзакционных отношений. Это в свою очередь является обоснованием для интеграции доверия и переменных ТТИ при изучении структуры организации сделок.

რევაზ ლორთქიფანიძე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების შესახებ

აქტუალური და მისასაღმებელია, რომ საქართველოს როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამჟამად შემუშავებულია 2008-2010 წლებისათვის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გადაუდებელი, პირველადი ამოცანებისა და ღონისძიებების საპროექტო ვარიანტი, რომელიც ძალზე საინტერესო და საჭირო ბერკეტად მიგვაჩნია მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის.

არც თუ ისე შორეული კომუნისტური წარსულიდან გადმოყოლილი, მცირე მეწარმეობის ჯერ კიდევ სუსტი როლი მნიშვნელოვანწილად შესაბამის პრობლემებს განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკაში – საქალაქო დასახლებებში უმუშევრობის ოფიციალური დონე ჯერ კიდევ ძალზე მაღალია და 26 %-ს შეადგენს და ა.შ.

2005 წელს მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა 397,5 მლნ. ლარი, ანუ მთლიანად ბიზნეს სექტორის მხოლოდ 11,7%, საშუალო საწარმოებში კი აწარმოეს მთლიანი მაჩვენებლის მხოლოდ 10,6%. ეს მაშინ, როცა სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული და სტატისტიკურ გამოკვლევას დაქვემდებარებული მოქმედი საწარმოების მთლიან რაოდენობაში მსხვილი საწარმოების ხვედრითი წონა მხოლოდ – 3,4, საშუალო საწარმოების – 7,3, ხოლო მცირე საწარმოებისა – 89,3 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს კანონი “მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ” სრულად ვერ შეესაბამებოდა ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს. ახალ კანონში შესაბამისად, სასურველია, უფრო კონკრეტულად აღინიშნოს საგადასახადო ბერკეტების, საფინანსო რესურსებზე შესაძლო მზარდი მოთხოვნების, სახელმწიფო გარანტიების და ინტელექტუალური დახმარების სფეროების შესახებ. აუცილებელია, უფრო გასაგები გახდეს მცირე საწარმოს გაგება.

იგი უნდა განისაზღვროს არგუმენტირებულად შერჩეული ერთი და არა რამდენიმე მაჩვენებლით, რამაც, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, შეუსაბამობა გამოიწვიოს.

საქართველოს სინამდვილისათვის მისანიშნებელია ყოფილი სოციალისტური პოლონეთის გამოცდილება, რომელიც უკვე ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. პოლონეთის ეკონომიკის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ 2003-2006 წლების ცნობარის მიხედვით, აღნიშნულ სექტორში დასაქმებულია მომუშავეთა თითქმის 70 % და იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარი. აქ მიკროდ მოიაზრება საწარმოები 10 მომუშავემდე, მცირე საწარმოდ – 50 მომუშავემდე, ხოლო საშუალო საწარმოდ – 250 მომუშავემდე. შექმნილია საწარმოთა განვითარების სააგენტო, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის კრედიტებით ფინანსდება სპეციალური ფონდები, ბიზნესგეგმების გარანტირებულ საფუძველზე საწარმოებს ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები და შემდგომ თავის გამოჩენის შემთხვევაში – მნიშვნელოვანი გრანტებიც (ფინანსური ჯილდო) კი.

მცირე მეწარმეობის წახალისების მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლის მექანიზმები მრავალფეროვნად გამოიყენება აშშ-ში, დასავ-

ლეთ ევროპასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ასევე, გარკვეულწილად, პოსტკომუნისტურ და სხვა ე.წ. განვითარებად ქვეყნებშიც. საქართველოში, შესაძლოა, ძალზე ხელსაყრელად დაგნერგოთ “წერტილოვანი” თავისუფალი ზონების პრაქტიკა, რაც, ფაქტიურად, მცირე საწარმოებზე მისაღები საგადასახადო შეღავათების პრაქტიკის გავრცელებას ნიშნავს. თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე საგადასახადო განაკვეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ამძრავია, თუმცა ზედმიწევნითმა ლიბერალიზებამ, კაპიტალდაბანდებათა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რისკის, ეროვნული ეკონომიკის სუსტი კონკურენტუნარიანობისა და მწვავე სოციალური პრობლემების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეგვიშალოს სტრუქტურული რეფორმებისთვის საჭირო თანხების მობილიზებაში.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ჩვენს მიერ შემოთავაზებულია საგადასახადო განაკვეთების სამსაფეხურიანი მოდელი: პირველ ეტაპზე მთლიანი ამონაგების 0,5%, მეორეზე – 1,0-დან 1,5%-მდე და, საბოლოო ჯამში, 3-6%-მდე (მე-3 საფეხური), რაც კონკრეტულ გაანგარიშებებსა და ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნება.

რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის კონცენტრაციის ეფექტიანობას, ჩვენი გაანგარიშებით, უმაღლესი უკუგებით სწორედ ყველაზე მცირე საწარმოები გამოირჩევიან (100 ათ. აშშ დოლარამდე ძირითადი წარმოებრივი ფონდებითა და ფონდუკუგების რეკორდული ინდექსით 7,8-დან 8,2-მდე).

ზემოხსენებული "წერტილოვანი" ზონების ლიბერალურ სივრცეში მოსახლეობის თითქმის ნახევარი შეიძლება ჩაერთოს. მოსამზადებელ ეტაპზე, სასურველია, ხელი შევუწყოთ ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა გარეშეც წარმოდგენელია ადამიანის ფიზიკური არსებობა, მ.შ. მემარცვლეობა, მევენახეობა და რძის პროდუქტების წარმოება, მცირე ენერგეტიკა და სამშენებლო წარმოება; მეორე ეტაპზე – სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებასა და ეფექტიანობის ამაღლებას უნდა შევუწყოთ ხელი, კერძოდ, მცირე მეწარმეობის ისეთი დარგები წავახადისოთ, რომელთათვისაც საქართველოში ისტორიულად და გეოგრაფიულად საუკეთესო პირობებია შექმნილი: განათლება, კულტურა და სპორტი, ტურიზმი და ვაჭრობა, სუბტროპიკული და ზღვის პროდუქტების გადამამუშავება; დამამთავრებელ ეტაპზე, შესაძლებელი იქნება მსოფლიო დონის შესაბამისი მეცნიერებატევადი დარგების განვითარება (უპირველეს ყოვლისა მიკროელექტრონიკა და სასოფლოსამეურნეო მცირე მექანიზაცია).

**საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების
პრობლემები და მისი გადაჭრის ზოგიერთი
მიმართულება**

მცირე ბიზნესის მკვლევარები აწყდებიან ორ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას: პირველი – ეს არის მცირე ბიზნესის როგორც ტერმინის განსაზღვრა; ხოლო მეორე – მისი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების რაოდენობრივი სიდიდის დადგენა.

აღნიშნული პრობლემის შესწავლამ დაგვანახა, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმად უნდა ავიღოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების დროს მიგვაჩნია, დარგების მიხედვით გავიანგარიშოთ ერთ საწარმოზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმის საშუალო სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებელიც ნაკლები იქნება საშუალოზე, და პერსპექტივის გათვალისწინებით მონაცემები შევცვალოთ საშუალო სიდიდეების ზრდის ტემპების

შესაბამისად. მცირე საწარმოთა ზომების დადგენა არსებითია, რათა ხელისუფლებამ შეძლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის შეფასება უწინარესად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, იმპორტი, ექსპორტი, უმუშევრობა, ინფლაცია და ა.შ.) მისი გავლენის დადგენით უნდა ხდებოდეს.

მცირე ბიზნესი როგორც ტერმინი წარმოდგება არა იქიდან რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო, პირიქით, წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის მსხვილ აგრეგატს, ვინაიდან აქ იწარმოება ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქციის ნახევარზე მეტი.

მცირე ბიზნესის განვითარების დონე საქართველოში დაბალია, ამაზე მეტყველებს ის რომ მშპ-ში მისი ხვედრითი წილი მეტად უმნიშვნელოა, არაპროგრესულია მისი როგორც დარგობრივი ისე რეგიონული სტრუქტურა, დაბალია მწარმოებლურობის დონე და, მაშასადამე საშუალო ხელფასის დონე და ა.შ.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების არსებული მდგომარეობა საქართველოში მეტად არასახარბიელოა. მისი

სამართლებრივი რეგულირების ფუნქცია აკისრია მხოლოდ ზოგად კანონებს, რაც შეეხება მცირე ბიზნესის სამართლებრივ ბაზას იგი დღეისათვის არ არსებობს. ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკაში მცირე ბიზნესი თითქმის უგულებელყოფილია.

მცირე ბიზნესის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერი მარეგულირებელი ფართო მასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში ეკონომიკის საბაზრო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ჩატარებული მაგრამ ამ ღონისძიებებმა ვერ შეძლეს იმ პრობლემების მოგვარება რაც დღეისათვის გააჩნია მცირე ბიზნესს, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ განვითარებას და ეკონომიკაში მისთვის განკუთვნილი ადგილის დამკვიდრებას.

შეუძლებელია საბაზრო მექანიზმს მივანდოთ მცირე ბიზნესის განვითარება.

დღეს საქართველოში აუცილებელს წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმის ჩამოყალიბება, რაც პირველ რიგში ითხოვს, მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ – სამართლებრივი რეგულირების მიზნით კანონთა პაკეტის შემუშავებას, რომელმაც უნდა მოიცვას კანონები: “მცირე ბიზნესის შესახებ”, “მცირე

საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესახებ”, “მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ”, “მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის შესახებ”, “მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ”.

მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას “მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია” (მბა);

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციასთან შეიქმნას “მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი”, “მცირე ბიზნესის კრედიტორთა კავშირი”.

შეიქმნას ქვეყნის მასშტაბით მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა.

ერთმანეთისაგან უნდა განიმიჯნოს მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური და არასპეციფიკური ორგანოები, განისაზღვროს მათი ფუნქციები.

აქ განხილული მიმართულებებით (სამართლებრივი, ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და სხვა) შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს შეუქცევადი გახდეს საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პროცესი, გაუმჯობესდეს მისი დარგობრივი, ტერიტორიული, რაოდენობრივი თუ თვისებრივი სტრუქტურა რასაც მოყვება მშპ-ის ზრდა, უმუშევრობის დონის შემცირება.

რება, საშუალო ბიზნესის განვითარება, ქვეყანაში საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირება და საერთოდ მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ნუნუ ქისტაური

მსხვილ საწარმოთა სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები და საქართველო

1. მსხვილი საწარმოები ეკონომიკურ გარემოსთან ურთიერთობაში ყალიბდებიან და თავიანთი ქცევებით ერთმანეთს უქმნიან ეკონომიკურ გარემოს. ეს საწარმოები მოქმედებენ გარემოს მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ხშირად მსხვილ საწარმოებს შეუძლიათ მასშტაბური ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამით შეიტანონ თავიანთის სასარგებლო ცვლილებები. ამან შესაძლოა გამოიწვიოს გარემოში როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ცვლილებები.

2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსხვილ საწარმოთა ქცევების წარმართვა პოზიტიური მიმართულებით. მან უნდა გამორიცხოს სოციალური განუკითხაობა. მისი ვალია სოციალური სამართლიანობის დაცვა.

3. სახელმწიფომ უნდა განუსაზღვროს მსხვილ საწარმოებს ეროვნული მეურნეობის განვითარების პრიორიტეტე-

ბი. აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას. ამისათვის კი საჭიროა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების შეთანხმებული განვითარება.

4. მსხვილ საწარმოთა სახელმწიფოებრივი მართვა-რეგულირების მექანიზმი რთული სისტემაა, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

– მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების სამართლებრივი მართვა-რეგულირება (ესაა მსხვილი ბიზნესის საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მსხვილ საწარმოთათვის “ეკონომიკური თამაშის” წესების დადგენას, საკუთრების უფლების, მათი ფორმების, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, კონტრაქტების დადგენის პირობების და ა.შ განსაზღვრას);

– მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების მარეგულირებელი დარგობრივი (ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია) და არადარგობრივი (ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი) ორგანოები;

– სახელმწიფო მეწარმეობა და პრივატიზაცია-დეპრივატიზაცია (ეს უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დარგებია, რომლებიც ბუნებრივ ან აუცილებელ მონოპოლიებად გვევლინება: სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, აგრ. თავდაცვა, ძვირფასი ლითონებისა და ქვების მოპოვება, ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები და სხვა);

– მსხვილი ბიზნესის განვითარებისათვის უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მიზანმიმართული რეგულირება (კომპრადორიზმის ელემენტების გამორიცხვით);

– მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების ინდიკატორების სისტემა. ესაა იმ მაჩვენებელთა სიმრავლე, რომელთა ანალიზი მსხვილ ბიზნესში არსებული მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს;

– მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები. ესენია: ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტები, მსხვილი ბიზნესის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე;

– მსხვილი ბიზნესის რეგულირების ღონისძიებათა სისტემა. იგი მოიცავს მსხვილი ბიზნესის განვითარების მუშა სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც მოიცავს მიზანს და მისი განხორციელების ღონისძიებებს;

– მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

– მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების კონტროლი.

5. მსხვილი საწარმოები ხელს უნდა უწყობდნენ მცირე საწარმოთა ფუნქციონირებას. ისინი ქმნიან ამ უკანასკნელთა განვითარების საბაზრო შესაძლებლობებს, ვინაიდან მცირე საწარმოებს დიდი უნარი გააჩნიათ (თავიანთი მოქნილობით), ხოლო მსხვილ საწარმოებს აქვთ მასშტაბის ეფექტი. ამით იქმნება მცირე და მსხვილ საწარმოთა პარალელური განვითარების ნიადაგი, მათ საქმიანობათა საბაზრო კომბინაციის საფუძველზე.

პაატა აროშიძე, მათა თოიძე

სარეკლამო სტრატეგიის ფსიქოლოგიური ასპექტები

1. რეკლამა გასაღების სტიმულაციის მნიშვნელოვანი რგოლია. ის ფორმების მიერ ანაზღაურებადი სოციალური კომუნიკაციის ხერხია, რომელიც მიმართულია საქონლისა და მომსახურების წინსვლისკენ. უდიდესი ფორმების უმრავ-

ლესობა რეკლამის დარგში იკვლევს მომხმარებლის მოტივაციებს, სარეკლამო განცხადებების ეფექტურობას, რეკლამის ეფექტურ საშუალებებს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარეკლამო ტექსტებს. რეკლამის შემუშავებისას ვიზუალურ ეფექტებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, რადგან რეკლამამ ზემოქმედება უნდა მოახდინოს თითოეულ ობიექტზე, ვისთვისაც გამიზნულია სარეკლამო რგოლი.

2. რეკლამის ცენტრალურ სტრატეგიულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მომხმარებლები სამომხმარებლო საქონელს ყიდულობენ მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის. მომხმარებელთა ბაზარი წარმოიქმნება მრავალი სუბბაზრისაგან. ესენია: ახალგაზრდა, საშუალო ასაკისა და ხანშიშესული მომხმარებლები, სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ფენების სუბბაზრები და სხვა. მიუხედავად ამისა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით. მათ შორის ძირითადს წარმოადგენს სოციალურ-კულტურული და პიროვნულ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

3. ადამიანთა მსყიდველობითი მიდრეკილებები დამოკიდებულია მათ საცხოვრებელ ადგილზე, სოციალურ როლებსა და სტატუსზე, რეფერენტულ ჯგუფებსა და მოდურ უპირატესობებზე. საქონელი ყოველთვის გამოიყენება სოციალური სტატუსის სიმბოლოს სახით. მსყიდველობითი გა-

დაწვევტილება დამოკიდებულია მის დომინირებად მოტივზე, გარემოს აღქმის ტიპზე, მის შემეცნებით და ფასეულობით თავისებურებებზე. ადამიანი მუდმივად განიცდის მრავალგვარ საჭიროებას. ზოგი მათგანი ბიოგენურია, ზოგი-ფსიქოგენური (სოციალურად განპირობებული კულტურული და სულიერი მოთხოვნილებები). ადამიანის საჭიროებები იმდენად ძლიერი ხდება, რომ იგი აყენებს კონკრეტულ მიზნებს მის დასაკმაყოფილებლად, ეძებს მიზნის მიღწევის საშუალებებსა და ხერხებს, ყალიბდება მისი ქცევის მოტივები.

4. ზ. ფროიდისა და ა. მასლოუს თეორიები იძლევიან მოტივაციისა და მოტივის წარმოქმნის ორ ყველაზე გავრცელებულ ინტერპრეტაციას. ფროიდის მიხედვით, ადამიანი არ აცნობიერებს მასში წარმოქმნილ მოტივაციურ პროცესებს. მათი დეტერმინაცია ხდება ქვეცნობიერი სფეროთი, რომლის ძლიერი იმპულსები მუდმივ კონფლიქტში არიან მის ცნობიერებასთან და გავლენას ახდენენ ინდივიდის ქცევით რეაქციაზე. ყოველივე არაბიოლოგიური უარყოფილი იქნება ქვეცნობიერად. მასლოუ შეეცადა აეხსნა თუ რატომ ჩნდება სხვადასხვა მოთხოვნილება ადამიანებში სხვადასხვა დროს. მან მოთხოვნილებები დაჰყო მათი მნიშვნელობის დონის მიხედვით. ადამიანი დაიკმაყოფილებს რა ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საბაზო მოთხოვნილებას, ცდილობს სხვა იერარქიულად მომიჯნავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ფილებასაც. ზემდგომი მოთხოვნილება ადამიანს დააინტერესებს მას შემდეგ, როცა ის სისტემატურად დაიკმაყოფილებს ქვემდგომ საბაზო მოთხოვნებს.

5. პროდუქციის რეალიზაციის პროცესის განხილვის დროს, გარდა ხარისხისა და სხვა მახასიათებლებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გასაღების სტიმულაციისათვის გაწეულ სამუშაოს. გასაღების სტიმულაციის მნიშვნელოვან რგოლს სწორედ რეკლამა წარმოადგენს. სარეკლამო სტრატეგია ისე უნდა იყოს გათვლილი, რომ უშუალოდ ითვალისწინებდეს ინდივიდის მისწრაფებებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება რეკლამა წარმატებულად.

6. ერთი დღის მანძილზე ადამიანმა შეიძლება განიცადოს ათასზე მეტი სარეკლამო ზემოქმედება, თუმცა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იქნება დაკავშირებული მოტივაციურ მდგომარეობასთან. რეკლამა უნდა იყოს გათვლილი არა მხოლოდ პოტენციურ მოთხოვნილებებზე, არამედ მან უნდა ჩამოაყალიბოს ახალი მოთხოვნილებებიც, მოახდინოს ინდივიდის საჭიროებების აქტუალიზაცია-პროვოცირება. ის უნდა შეესაბამებოდეს მოლოდინების სისტემას, მის განწყობას. მხოლოდ ის რეკლამაა ეფექტური, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიას, მისი ყურადღების, აღქმის, აზროვნების, მეხსიერების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს.

7. მრავალ შემთხვევაში ინდივიდი რეკლამას არ აღიქვამს ისე, როგორც ეს სურს შემკვეთებსა და რეკლამისტებს. სარეკლამო ინფორმაცია ჯერ უნდა ჩაეწეროს ინდივიდის ფასეულობებისა და ორიენტაციის სისტემაში, მის ცნებით ველში. მხოლოდ პიროვნულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხდება დამახსოვრებული მათ მიერ. რეკლამის შენქმნელები იჭერენ იმას, თუ რა გრძნობას იწვევს რეკლამის ესა თუ ის ფორმა. რეკლამის ფორმის ძიებისას განისაზღვრება მისი სტილი, ტონი და გამომხატველობა. ხშირად საქონლის შექმნის აუცილებლობა შთაგონებულია ირიბად, ზოგჯერ აღქმის ზღურბლქვეშა დონეზე, რისთვისაც გამოიყენება მუსიკალური გაფორმება, მტკიცებულებები საქონლის სასარგებლოდ და სხვა.

თამილა არნანია-კეკელიძე

სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრის მეთოდობა

მასზე ბაზუული დანახარჯების თვალსაზრისით

ცნობილია, რომ სამუშაო ძალა არსებობს, როგორც ცოცხალი ადამიანის თვისება და განუყოფელია მისგან. ამის გამო სამუშაო ძალის ფორმირება და მასზე დანახარჯების გაწევა გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე ის წარმოების ფაქტორად ჩამოყალიბდება, წარსდგება ბაზარზე საქონლის სახით და ჩაებმება წარმოების პროცესში და ამ პროცესიდან გამოსვლით არ მთავრდება, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, უფრო გრძელია, ვიდრე მისი შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა. ამიტომ სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მისი მიმდინარე არსებობისათვის აუცილებელი დანახარჯები, არამედ სამუშაო ძალის სრული დანახარჯები.

- სამუშაო ძალა არსებობს, როგორც ცოცხალი ადამიანის შრომის უნარი და განუყოფელია მისი მატარებლისაგან – ადამიანისგან;

- შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, უფრო მოკლეა, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა;

- ადამიანმა თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე უნდა აანაზღაუროს არა მხოლოდ თავისი მიმდინარე ხარჯები, არამედ მის აღზრდაზე გაწეული დანახარჯები და უზრუნველყოს თავისი სიბერე პენსიის სახით;

- სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება გაანგარიშებული იქნება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის და შესაბამისი სქეს-ასაკობრივი კოეფიციენტების საფუძველზე;

- სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება იქნება მოცემული ერთ თვეზე გაანგარიშებით და გადასახადების გათვალისწინების გარეშე;

- მინიმალური ღირებულების ფორმულა მოცემულია ცალკე მამაკაცების (ფორმულა(1-1)) და ქალებისთვის (ფორმულა(1-2)).

ამ პოზიციიდან გამომდინარე, სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება მასზე გაწეული დანახარჯების მიხედვით გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$W_m = \frac{A_m (t_c k_c + t_j k_j + t_f + t_{pm} k_{pm})}{t} \quad (1-1)$$

$$W_f = \frac{A_m (t_c k_c + t_j k_j + t k_f + t_{pf} k_{pf})}{t} \quad (1-2)$$

W_m, W_f – შესაბამისად მამაკაცთა და ქალოთა სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება ერთ თვეზე გაანგარიშებით;

$A_m (t_c k_c + t_j k_j + t + t_{pm} k_{pm})$ და $A_m (t_c k_c + t_j k_j + t k_f + t_{pf} k_{pf})$ – შესაბამისად მამაკაცთა და ქალთა ცხოვრებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმი, რომელიც დიფერენცირებულია ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით და გამოანგარიშებულია შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის (A_m) საფუძველზე სქეს-ასაკობრივი კოეფიციენტების (k) გამოყენებით;

t - აქტიური შრომითი საქმიანობის პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის მანძილზე მომუშავემ, როგორც მინიმუმი, უნდა დაფაროს მასზე მოელი სიცოცხლის მანძილზე გაწეული ხარჯები;

$A_m t_c k_c$ ($A_m t_j k_j$; $A_m t$; $A_m t k_f$; $A_m t_{pm} k_{pm}$) - შესაბამისად: სკოლამდელი ასაკის ბავშვების (0-6 წლამდე), მოზრდილთა (6-16 წლამდე), შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცების (16-64 წლამდე), შრომისუნარიანი ასაკის ქალების (16-64 წლის), საპენსიო ასაკის მამაკაცთა და ქალთა მინიმალური ყოველთვიური მოხმარების ღირებულება, რომელიც შეფარდებულია შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმთან შესაბამისი კოეფიციენტებით $k_c=0,6$; $k_j= 1$; $k_f=0,84$; $k_{pm}=0,88$; $k_{pf}=0,76$. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს შესაბამისად: $t_c =6$ წელს; $t_j= 10$ წელს; $t= 48$ წელს; $t_{pm}=3$ წელს; $t_{pf}=11$ წელს.

მოყვანილი ფორმულა ასახავს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მინიმალურ ღირებულებას. სამუშაო ძალის მომზადების ფაქტორის შემოღებით მივიღებთ კვალიფიციური სამუშაო ძალის მინიმალურ ყოველთვიურ ღირებულებას (W_k). კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას სჭირდება: - გარკვეული ფულადი სახსრები (K), რაც ზრდის დანახარჯებს სამუშაო ძალაზე; - დრო (t_k), რაც ამცირებს შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ნიჭის მფლობელი უნდა მიიღოს ეკონომიკური რენტა (R). ამ პარამეტრების შეტანის შემდეგ ფორმულა (1) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$W_k = \frac{A_m (t_c k_c + t_k k_j + t_m k_m + t_p k_p) + K}{t - t_k} + R$$

მოცემული ფორმულა ასახავს ობიექტურ დამოკიდებულებას სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და მის ღირებულებას შორის, განხილულს სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების თვალსაზრისით.

Giorgi Berulava

THE IMPACT OF TRUST ON THE MODE OF TRANSACTION GOVERNANCE BETWEEN MANUFACTURER AND DISTRIBUTOR

This study explores the forces that have impact on manufacturers' choice of types of transactions with distributors. Our objective was to show that some other factors in addition to TCE variables can affect transaction costs and influence a company's choice of whether or not to integrate. More specifically, we tried to examine the role that trust plays in the contexts of manufacturers' choice of transaction governance mode and manufacturer-distributor relationships.

The results of empirical study suggest that manufacturers' choice of engaging distributors was determined by the following set of factors: *asset specificity* (the degree to which an asset is customized to the user's needs or the degree to which it can be redeployed to alternative uses), *uncertainty* (the level availability of information necessary for making key decisions and predicting consequences thereof) and *trust*. Trust in this study was treated as a product of certain informal and formal institutions, *e.g.* kinship norms and legal environment. We distinguished between *network trust* (trust arising from friendship or family relations, recommendation and information received from former or current colleagues, business associations and government agencies) and

extended trust (a product of sound functioning of formal institutions that establish business environment subject to the rule of law). During the study we found that the network trust, in turn, could be subdivided into *inner networks* (networks comprised of only friends and relatives) and *outer networks* (networks, which incorporate independent distributors recommended by business associations and government agencies).

We found that the rise in the levels of asset specificity and uncertainty increase the probability of in-house performance of distribution function by manufacturer. Both network trust variables increase producer firms' willingness to employ external distributors. These findings extend TCE theoretical paradigm by demonstrating that network trust along with TCE variables influences manufacturers' choice of transaction governance mode. Not only does network trust help to explain a manufacturer's vertical integration choice, but also explains variation in intensity of relationships between manufacturers and distributors. Higher level of trust existing between partners leads to less complete contracts and lower prepayment requirements, reducing thus transaction cost and facilitating economic exchange.

However, we failed to find any significant effect of such policy relevant factor as extended trust (of which main determinant is the reliability of

legal institutions). None of the variables used in this study as proxies for extended trust had any significant effect on manufacturers' choice of governance mode or on the intensity of relationship between partners. We presume that this is mainly due to the fact that our study was limited to one country. Objectively, degree of rule of law and quality of legal institutions that are determinants of extended trust could barely vary within the same country.

The importance of the study findings could be better seen in the context of economic advantages of trust-based governance modes. A higher level of in-house performance of distribution function by manufacturers means fewer opportunities to gain benefits from specialization and cooperation. Furthermore, increase in the complexity of contract arrangements between manufacturers and distributors in the form of required amount of prepayments and degree of completeness increases the costs of making transactions and lowers economic efficiency. All these factors could impede possibilities for a country's economic growth. A proper understanding of the role of trust could be important, especially to creating the adequate institutional environment in Georgia. Among the reasons that hampered the achievement of economic prosperity in Georgia, lack of formal as well as informal market institutions, which could lower transaction costs and promote specialization and cooperation between economic agents, does stand

out. Even in developed countries saturated with reliable enforcement institutions, trust-based norms are often cheap and effective substitute for law and other formal arrangements. In the poor institutional environment of transition economies, where nonpayment and deterioration of property rights become widespread, developing of trust-based norms can give rise to efficient property rights favorable for specialization and collective actions thereby facilitating economic growth in the country.

Thus the major policy recommendation of the study is the encouragement of trust between manufacturers and distributors through promotion of networks. However, one should realize that inner networks could potentially limit business relations between producers and distributors only to networks comprised of friends and relatives, while outer networks broaden such opportunities to a wider number of independent distributors recommended by business associations and government agencies. We found that outer networks substantially lower the probability of vertical integration as well as the amount of required prepayment and level of contract completeness, thus reducing transaction costs and enhancing efficiency of market mechanisms. Therefore, the government policy must be focused on the outer networks through promotion of business associations and widening of government agencies' involvement in supporting establishment of

relations between producers and distributors. This can reduce transaction cost, facilitate economic exchange and in the long run help economic growth.

We presume that further research must employ cross-national study and should be focused on the understanding of mechanisms that generate extended trust and on the study of its contribution to lowering transaction costs and facilitating economic exchange between companies. This problem is very important, particularly in the context of development of transition economies.

თამილა არნანია-კეპულაძე

**სამუშაო ძალის ბაზრის მოდელირების თეორიული
საფუძვლები და მისი თავისებურებანი საქართველოში**

სამუშაო ძალის ტერიტორიული და პროფესიული მობილურობის, მისი პროფესიულ-კვალიფიციური მომზადება-გადამზადების პროცესში ინვესტიციების ფორმების, მოცულობისა და ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება სამუშაო ძალის ბაზრის გარემოს მოდელირება და, მაშასადამე, სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირებისა და რეგულირების სხვადასხვა მოდელის განსაზღვრა.

სამუშაო ძალის *გარე ბაზარი* წარმოადგენს სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემას, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის ტერიტორიულ და პროფესიულ მოძრაობასთან. გარე ბაზრისთვის დამახასიათებელია ორიენტაცია სასწავლო დაწესებულებებში დასრულებული პროფესიული მომზადების მიღებაზე და ფირმაში მომუშავე პერსონალის მომზადება-გადამზადებისათვის საჭირო საწარმოო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანაზე. გარე ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი ეფუძნება სამუშაო ძალაზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას და მიმართულია პიროვნების ინდივიდუალური წარმატების მიღწევაზე.

გარე ბაზრის პოლიტიკა არ ითვალისწინებს კადრების ხანგრძლივ მიმაგრებას ერთ სამუშაო ადგილზე და ეფუძნება პერსონალს შორის ძლიერი კონკურენციის არსებობას და კადრების მაღალ დენადობას. იგი შესაძლებლობას იძლევა უპირატესად მოკლევადიანი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის.

სამუშაო ძალის *შეგა ბაზარი* არის სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მომუშავეთა პროფესიულ და თანამდებობრივ მობილურობასთან მოცემული საწარმოს (ფირმის) შიგნით და ეფუძნება საწარმოში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ადმინისტრაციულ წესებს. მომუშავეთა მოძრაობა ფირმის (საწარმოს)

ფარგლებში ხორციელდება როგორც კორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

სამუშაო ძალის შიგა ბაზრის ფუნქციონირება კადრების ფასეულობისა და მათი ადმინისტრაციული განაწილების საფუძველზე. სამსახურებრივი კიბის მხოლოდ დაბალ საფეხურზე მომუშავეთა დაქირავების დროს მისი ხელფასის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ბაზრის მიერ, ხოლო სამსახურებრივი კიბის მაღალ საფეხურებზე მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება ფირმის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

შიგა ბაზრისათვის დამახასიათებელია ადამიანურ კაპიტალში შიგასაფირმო ინვესტიციების მაღალი დონე, გააგრძელებულია კადრების პროფესიული მომზადების წესი უშუალოდ სამუშაო ადგილებზე და ახალმიღებული პერსონალისთვის საწარმოში არსებულ ტრადიციებისა და შიგასაწარმოო ეთიკის გაცნობა. სამუშაო ძალის შიგა ბაზრზე ხშირია ე.წ. “სამუდამო დაქირავების” სისტემის არსებობა.

ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირებისა და რეგულირების თავისი საკუთარი მოდელის არსებობა.

წლების განმავლობაში საქართველოში ფუნქციონირებდა სტაბილურობისა და შეუცვლელიობისაკენ მიმართუ-

ლი შრომით ურთიერთობათა სისტემა; ადმინისტრაციული ზეგავლენით და სოციალური შეღავათების მეშვეობით ხდებოდა მომუშავეთა სამუშაო ადგილებზე მიმაგრება, რამაც ადამიანებში ცვლილებებისადმი დაბალი ადაპტირების უნარი ჩამოაყალიბა და განაპირობა სამუშაო ძალის უპირატესად შიდა ბაზრის მოდელის ჩამოყალიბება.

გარდამავალი პერიოდის პირობებში საწარმოთა უმრავლესობის დახურვის შედეგად გამოთავისუფლდა დასაქმებულთა დიდი ნაწილი, რამაც იძულებული გახადა ისინი შრომითი მოწყობის მიზნით მიემართა დასაქმების ალტერნატიული ფორმებისათვის. ამან გამოიწვია მათი ტერიტორიული და პროფესიული მობილურობის ზრდა, რამაც შექმნა პირობები გარე ბაზრის ჩამოყალიბებისათვის. გარდა ამისა, სამუშაო ძალის გარე ბაზრის ფორმირებას ხელი შეუწყო ქვეყანაში განხორციელებულმა საწარმოთა პრივატიზაციისა და მათი მასშტაბების შემცირების პროცესმა, რომელმაც წარმოშვა ბევრი წვრილი საწარმო. სამუშაო ძალის გარე ბაზრის შექმნის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა დასაქმების სფეროს ოპტიმიზაციისა და დასაქმების სახელშეკრულებო სისტემაზე გადასვლის პირობებში. მთლიანად მოიშალა პერსონალის შიგასაწარმოო მომზადება-გადამზადების სისტემა.

დღეისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სამუშაო ძალის ბაზარი უფრო მიისწრაფვის ბაზრის გარე მოდელისაკენ.

მართალია, ქვეყანაში გამრავლებულ უცხო და შერეულ ფირმებში დიდ სახსრებს ხარჯავენ კონკურსის საფუძველზე მიღებული კადრების გადამზადებაზე, რაც ქმნის პირობებს შიგა ბაზრის განვითარებისთვის, მაგრამ აქაც არსებული მოკლევადიანი სახელშეკრულებო სისტემა დასაქმებას არამდგრადს ქმნის, ზრდის მომუშავეთა მობილურობას და ხელს უწყობს გარე ბაზრის გავრცელება-განვითარებას.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ვითარდება სამუშაო ძალის ღია ანუ გარე ბაზარი, ხოლო შიგა ბაზრის პოზიციები სულ უფრო სუსტდება და სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

რეგიონული ეკონომიკის, აგრარული ეკონომიკის სექცია

ეხტანგ ბურდული

**ტერიტორიული ერთეულების აგროსამრეწველო კომ-
ლექსში საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების
ინსტიტუციური საფუძვლები**

1. თანამედროვე პირობებში, როდესაც სწრაფად ვითარდება გლობალიზაციის პროცესი და ახლო მომავალში აუცილებელი გახდება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დებულებების დაცვა (რომელთა მიხედვით საჭირო იქნება საიმპორტო ბაჟების თანდათანობითი შემცირება). შიდა ბაზრებზე იმპორტული პროდუქციის ზეწოლის პირობებში საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს რეგიონების აგროსამრეწველო კომლექსში როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღ-

ჭურვილი ახალი სასოფლო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა ან არსებულების განვითარება და მათი მომგებიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2. არადა, ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მნიშვნელოვანი უარყოფითი საღდოს აღმოფხვრა, ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ბაზაზე უმუშევართა დასაქმების დონის ზრდის აუცილებლობა, შიდა ბაზრის სამამულო სასურსათო პროდუქციით უფრო მნიშვნელოვანი გაჯერების მიღწევა, მისი ექსპორტის მკვეთრი ზრდის აუცილებლობა და ჩამორჩენილი რეგიონების რთულ ეკონომიკურ მდგომარეობიდან გამოყვანა მოითხოვს რეგიონების დონეზე რიგი დონისძიებების ჩატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს რეგიონების აგროსამრეწველო კომპლექსებში როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში, უპირველეს ყოვლისა, რეგიონების მიზიდულობის ცენტრებში, მრავალი ახალი თანამედროვე მცირე და საშუალო საწარმოს შექმნას.

3. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს რეგიონების აგროსამრეწველო სექტორის საწარმოების შექმნის და განვითარების ხელშეწყობის მრავალი ინსტიტუციური ხერხი, ამასთან სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მექანიზმები ძალიან განსხვავდებიან ერთი მეორესაგან. ასეთ ხერხებში

შედის: სახელმწიფო, მათ შორის რეგიონული, მარეგულირებელი ბერკეტები; მეწარმეთა ასოციაციების მარეგულირებელი ქმედებანი; სახელმწიფო, რეგიონული, შერეული (სახელმწიფო და კერძო), კერძო საფინანსო ფონდების, დეპოზიტარიების, ინვესტიციური და კომერციული ბანკების საქმიანობა; სხვა დამხმარე ინსტიტუტები, მაგალითად, ინფორმაციული, საკონსულტაციო, ინჟინერინგული, ექსპორტის ხელშემწყობი და სხვა ფორმები.

4. სახელმწიფო და რეგიონული მარეგულირებელი ბერკეტების მეშვეობით ხორციელდება მიზანშეწონილი მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების წახალისება, კერძოდ, საგადასახადო შეღავათების მინიჭებით, საბიუჯეტო შესყიდვებით, იშვიათ შემთხვევებში რეგიონული ხელისუფლების მიერ საგადასახადო არდადეგების გამოცხადებით ან ცალკეული გადასახადების დროებითი მოხსნით კონკრეტული საწარმოების მიხედვით, რომელთაგანაც მოსალოდნელია რეკონსტრუქციის შემდეგ ექსპორტის გაზრდა ან სხვა დადებითი შედეგის გამოვლენა; სასურსათო და მსუბუქი მრეწველობის სფეროში (სადაც გამოიყენება სოფლის მეურნეობის ნედლეული – ტყავი, მატყლი და სხვა) ხშირად ხორციელდება საბიუჯეტო შესყიდვები, პერსპექტიული საწარმოს აშენებისას სახელმწიფომ უსასყიდლოდ შეიძლება დაფაროს განსახორციელებ

ბელი ინვესტიციების წილი. შეღავათიანი კრედიტები, დაჩქარებული ამორტიზაცია და სხვა ასევე შედიან მარეგულირებელი ბერკეტების რიცხვში.

5. სპეციალიზებული საფინანსო ფონდები ეხმარებიან საწარმოებს იაფი კრედიტების გამოყოფით. საქართველოში უკვე ტარდება ფერმერთა საგაზაფხულო დახმარება (საფინანსო და ზოგიერთი სახის საწარმოო მარაგით). ასეთი ტიპის დახმარებას უნდა ჰქონდეს ყოველწლიური ხასიათი უფრო ხშირად შესაბამისი რეგიონული ფონდებიდან მოკლევადიანი კრედიტის გამოყოფის სახით. სასურსათო ექსპორტის დახმარებისათვის განვითარებულ ქვეყნებში ხარჯავენ მნიშვნელოვან სახსრებს. რიგი სასურსათო პროდუქტის მიხედვით ფასობრივი კონკურენცია საგარეო ბაზრებზე შეუძლებელია სახელმწიფოს საფინანსო დახმარების გარეშე. ამიტომ საჭიროა ექსპორტის ხელშეწყობის რეგიონული ფონდების შექმნა, რომლებიც რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე აირჩევენ იმ პროდუქციის ნუსხას, რომელიც დახმარებას ექვემდებარება. სახელმწიფოები, რომლებიც ექსპორტის დახმარებაზე ხარჯავენ უამრავ სახსრებს წაგებაში არ რჩებიან, რადგანაც შექმნილი ვალუტით მისი მეწარმეები სხვადასხვა ქვეყანაში ყიდულობენ ისეთ პროდუქტს, რომლის წარმოება შედარებითი ან აბსოლუტური უპირატესობების გამო იაფია კონკრეტულ ქვეყანაში, რითაც

ამართლებენ თავისი სახელმწიფოს ან მისი რეგიონის მიერ გაწეულ ხარჯებს.

6. დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის არასაფინანსო ცენტრებს. მაგალითად, სპეციალიზებული საკონსულტაციო ცენტრები აწვდიან ფერმერებს ინფორმაციას სხვადასხვა პერიოდში პირუტყვის რაციონალური კვების, პირუტყვის კვების პროდუქტებისა და სასუქების ფასების შესახებ, ფერმერებსა და გადამამუშავებელი სექტორის მეწარმეებს – სხვადასხვა ბაზრის ფასების, პირობების (მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის შესაბამისად) და სხვ. შესახებ.

თენგიზ ქავთარაძე

სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები

თანამედროვე ეტაპზე

1. ქვეყნის სოფლის მეურნეობის არასათანადო განვითარების გაჭიანურების მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში უნდა ვეძიოთ. სოფლის მეურნეობა საბაზრო კანონებით უნდა ვითარდებოდეს და იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობისათვის აუცი-

ლებელ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ფასების პარიტეტის აღდგენა, რაც ტრადიციულად დარღვეულია პირველის საზიანოდ; 2. სოფლის მეურნეობის სავარგულეთათვის საბოლოოდ უნდა დამკვიდრდეს ერთი სახის გადასახადი მიწის გადასახადის სახით, რომლითაც სრულად იქნება გათვალისწინებული განსხვავება მიწის ნაყოფიერებასა და ადგილმდებარეობაში; 3. კერძო სექტორთან ჯანსაღი კონკურენციის შექმნის მიზნით, ახალ ნიადაგზე უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოები; 4. სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული დარგების რეფორმირების სრულყოფისათვის უნდა შემუშავდეს მეცნიერული, კომპლექსურ-მიზნობრივი, ეტაპობრივი კონცეფცია ადეკვატური სექტორული პროგრამებით, მიკრო და მაკრო ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით, რომელშიც გამოიკვეთება სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები. სამწუხაროდ ასეთი პროგრამები (ერთეული გამონაკლისის გარდა) ჩვენთან არ შემუშავებულა.

2. ბოლო წლებში, ქვეყანაში თითქმის მთლიანად შეწყდა ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების დაფინანსება, მაშინ, როდესაც სახელმწიფო სუბვენციები ჩრდილოეთის ან რთული გეოკლიმატური პირობების მქონე განვითარებულ ქვეყნებში (ნორვეგია, შვეიცარია) ჰექტარზე 2500 აშშ დოლლარს აღემატება, ხოლო

იაპონიაში 10000 დოლარსაც კი აღწევს; ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში (ეს ქვეყნები მოსაველიანობის მიხედვით მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზე იმყოფებიან) ეს დახმარება უახლოვდება ნულს.

3. საბაზრო ეკონომიკის პირობებში დოტაციის გარეშე საქართველოში განსაკუთრებით ქვეყნის მთიან ზონაში, მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება წამგებიანია. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე 1 კგ ხორბლის ფასი 10 ცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ამ კულტურის მოსაველიანობა საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში საშუალოდ 20 ცენტნერს არ აღემატება (ევროპის ქვეყნებს შორის უარესი მაჩვენებელი მხოლოდ რუსეთსა და პორტუგალიაშია, ხოლო ბენილუქსის ქვეყნებში, ბრიტანეთის კუნძულებსა და დანიაში საშუალო მოსაველიანობა 80 ცენტნერს აღემატება) ცხადი ხდება, რომ პატარა ფართობებზე საქართველოში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებშიც კი დოტაციის გარეშე ძნელია სამამულო კონკურენტუნარიანი ხორბლის მოვლამოყვანა.

4. ფერმერები საქართველოში თავისუფალი მეწარმეებია, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ხელისუფლებამ მათ საქმიანობაზე გარკვეული ზეგავლენა უნდა იქონიოს. ეს უწინარესად გამოიხატება სავარგულეთა ეფექტია-

ნად გამოყენების, კერძოდ, მიწის ნაყოფიერების ამაღლებაზე ზრუნვით, ხელისუფლება სხვადასხვა ეფექტიანი ღონისძიებებით უნდა ებრძოდეს შემოსავლების გადიდებას მიუღებელი ხერხებითა და მეთოდებით. ასეთი მეთოდები საბოლოო ანგარიშით იწვევს მიწების ნაყოფიერების დაცემას და ადამიანისათვის მავნე პროდუქციის მიღებას. ფერმერთა ასეთი ქმედება ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს ეკონომიკური თუ სამართლებრივი სანქციებით და პირიქით, მთავრობამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი მიწის ნაყოფიერების ცივილიზებული წესით ამაღლების ღონისძიებების განხორციელებას, ფერმერებისათვის სხვადასხვა კრედიტის მიღებას, მათთვის სემინარებისა და კონსულტაციების მოწოდებას ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესახებ და სხვ.

5. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მომავალი უნდა ეკუთვნოდეს არა წვრილ პრიმიტიულ მეურნეობებს, არამედ სხვადასხვა ზომის ეკონომიკურად ძლიერ კომპლექსურ და ამავე დროს მოქნილ სამეურნეო სისტემებს, რაც უნდა განხორციელდეს წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებით, სამეურნეო კავშირურთიერთობების გაფართოებით, კონცენტრაციის დონის თანდათანობითი ამაღლების გზით.

6. ბაზარზე გლეხურ-ფერმერული მეურნეობების პოზიციების განმტკიცებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავება-გასა-

ღების კოოპერატივებისა და აგრეთვე საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ ტიპის კოოპერატივებმა და აგროსერვისულმა სამსახურებმა უმდა გასწიონ ისეთი მომსახურება, როგორცაა მიწების მელიორაცია, ტექნიკის რემონტი, სანაშენე საქმე, პროდუქციის რეალიზაცია, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ორგანიზაცია და სხვ.

ლინა დათუნა შვილი

**სოფლის მეურნეობის საწარმოო უმსაქმელობების
ეფექტიანად გამოყენების ბზები რეპრონულ ჯრილში**

– საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყანაში, ისეთი როგორც საქართველოა, დღეისათვის აგრარული სფერო ჯერ კიდევ წარმოების ტრადიციულ ჩარჩოებშია მოქცეული, რომელიც თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. ქვეყანაში ძალზე დაბალია მექანიზაციის დონე (მაღალია ცოცხალი გამწვევი ძალის გამოყენების ხვედრი-წილი) და შესაბამისად შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი.

სოფლად გავრცელებულია ძირითადად შრომატევადი კულტურები, დაბალია წარმოების დონე, ჭარბობს ნატურალური სახის წვრილი ფერმერული-გლეხური მეურნეობები.

– უკანასკნელი წლების განმავლობაში (1990-2005 წწ.) გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში. (პროცენტობით). აღნიშნულ პერიოდში მარცვლოვანი კულტურების ხვედრიწილი 38,5%-დან 65,8%-მდე გაიზარდა. გაიზარდა ტექნიკური კულტურების (4,3%-დან 7,3%-მდე) კარტოფილისა და ბოსტნეულის ხვედრიწილი (9,9%-დან 17,5%-მდე). მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება საკვები კულტურების წარმოების მხრივ. თუ აღნიშნული კულტურის ხვედრიწილი 1990 წელს იყო 46,9%, ეს მაჩვენებელი 2005 წლისათვის 9,4%-მდე შემცირდა.

– სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში ასეთი სახის ცვლილებები მოსალოდნელი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო მარცვლეულით სრულად მარაგდებოდა საერთო საკავშირო ფონდიდან. ამის გამო მარცვლეულის წარმოების არსებული შესაძლებლობები ქვეყანაში ნაკლებად იყო გამოყენებული. დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე (მსოფლიოში მარცვლეულზე ფასების მკვეთრი ზრდა) ქვეყანაში სწრაფად უნდა გაიზარდოს მარცვლეული კულტურების

წარმოება, რათა გარკვეული ზომით დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე. მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად, აუცილებელია ფერმერებს გააჩნდეთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის მყარი გარანტიები.

– ტექნიკური კულტურებიდან საქართველოში გავრცელებული იყო შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების, მზესუმზირის, თამბაქოს წარმოება. 2000 წლიდან შეწყდა შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება. ამ პერიოდში გარკვეული ადგილი დაიკავა მზესუმზირისა და თამბაქოს წარმოებამ. მზესუმზირის წარმოება 1999-2005 წლებში 40,5 ათასი ტ-დან 22,3 ათას ტონამდე შემცირდა. ასევე შემცირდა თამბაქოს წარმოება 2,1 ათასი ტ-დან 1,1 ათას ტ-მდე. მზესუმზირის ძირითადი მწარმოებელია კახეთის და მცირე რაოდენობით ქვემო-ქართლის რეგიონები. 2007 წლის სექტემბრიდან საქართველოში იმპორტული ზეთის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოებულ მზესუმზირაზე დაბალი იყო მოთხოვნა და მისი რეალიზაცია ფერხდებოდა, შემცირდა მზესუმზირის წარმოება. დღეისათვის სურათი შეიცვალა. იმპორტულ ზეთზე ფასების მატება ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლებას. ჩვენი აზრით მზესუმზირის ზეთის გამოსახდე-

ლად კახეთის რეგიონში უნდა აშენდეს მცირე გაბარიტის მქონე, ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი საამქროები. ბიზნესმენები ამ პრობლემით უნდა დაინტერესდეს, რადგან კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მოყვანილი მზესუმზირა და მისგან დამზადებული ზეთი ეკოლოგიურად გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი აღნიშნული სახის პროდუქცია.

– საქართველოში წლების განმავლობაში მოყავდათ მაღალი ხარისხის თამბაქო, რომლის ნათესები ძირითადად გაადგილებული იყო აჭარის მაღალმთიან, კახეთის (ლაგოდეხის) და ქვემო ქართლის (მარნეულის) რეგიონებში. მეთამბაქოეობა მაღალშემოსავლიანი დარგია, ამიტომ ამ რეგიონებში თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესები დარგის განვითარებისადმი კვლავ დიდია. საქართველოში წარმოებული თამბაქო გამოირჩევა არომატით, უხვი მოსავლით, მაღალი ხარისხითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით. მეთამბაქოების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ამ დარგით დაინტერესებული ბიზნესმენებზე და მათ მიერ დარგში ჩასადებ ინვესტიციაზე.

– ნათესი ფართობის სტრუქტურაში ბოლო პერიოდში შემცირდა საკვები კულტურების (ერთწლიანი ბალახები და სალოსი სიმინდის) ფართობი. თუ 1990 წელს ქვეყანაში ირიცხებოდა აღნიშნული სახის კულტურების 199,6 ათასი

ჰა, 2005 წლისათვის მათი ფართობი მინიმუმამდე (1,1 ათასი ჰა) შემცირდა. სასილოსე სიმინდს საერთოდ აღარ აწარმოებენ. როგორც ჩანს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მინიმუმამდე შემცირებულია მინდვრად საკვებწარმოება და მხოლოდ ბუნებრივი სათიბ-საძოვრები ვერ შექმნის ამ რეგიონებში მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელ საკვებ ბაზას. თუ საბჭოთა პერიოდში ფართოდ იყენებდნენ რუსეთიდან შემოტანილ უხეშ და კომბინირებულ საკვებს, დღეისათვის ეს შესაძლებლობა დაკარგულია. ახლო მომავალში საკვები კულტურების წარმოება ჩვენი აზრით ისევ ადგილობრივი ფერმერების და ბიზნესის წარმომადგენელთა შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული.

– გასულ საუკუნეში საქართველოში მეციტრუსეობა მაღალრენტაბელურ დარგად ჩამოყალიბდა და ძირეულად შეცვალა სუბტროპიკული რეგიონების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც დადებითად აისახა მოსახლეობის მატერიალურ დონეზე. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, გასაღების ბაზრის დაკარგვამ და სხვა პრობლემებმა, მეციტრუსეობა დიდად დააზარალა და დარგის მნიშვნელოვანი დაქვეითება გამოიწვია. 1999-2005 წლებში ციტრუსის წარმოება ქვეყანაში 66,4 ათასი ტონით გაი-

ზარდა. სოციალიზმის პერიოდში ციტრუსის ნაყოფი ძირითადად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა, ხოლო მცირე ნაწილის რეალიზაცია ხდებოდა ქვეყნის შიგა ბაზარზე. დღეისათვის ციტრუსის ნაყოფის ექსპორტის გადიდება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის. ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებთან მოლაპარაკებების გზით ციტრუსის შესაძლო შესყიდვებზე, რაც წლის დასაწყისში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების სახით და არა წლის ბოლოს (რასაც ხშირად აქვს ადგილი), როდესაც მალფუჭადი ციტრუსის ნაყოფი უკვე მოკრეფილია.

– გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ ქვეყანაში აგროსამრეწველო კომპლექსი დრმა კრიზისმა მოიცვა, განსაკუთრებით დაზარალდა მეჩაიეობა. საქართველო ჩაის ექსპორტიორი ქვეყნიდან იმპორტიორად იქცა. მეურნეობრივი ფორმების შეცვლამ, ჩაის დარგისადმი უყურადღებო დამოკიდებულებამ მეჩაიეობა თითქმის განადგურებამდე მიიყვანა. ჩაის წარმოება 1990-2005 წლებში ქვეყანაში შემცირდა 501,7 ათასი ტონიდან 22,8 ათას ტონამდე. მეჩაიეობა ფრიად შრომატევადი დარგია, ჩაის ბუჩქი ადრინაი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. წლების განმავლობაში მიტოვებულმა ჩაის ბუჩქმა დაკარგა ფუნქციონირების უნარი, ვარ-

ჯი გადაიზარდა, დაიცოცხა, ფოთლები წვრილი გახდა, თვით მცენარეს ხავსი მოედო. მოუვლელობით ნიადაგმა განიცადა დეგრადაცია, გამოიფიტა, დაბლობ ადგილებში შეიმჩნევა ჩაის პლანტაციების რიგთა შორისებში წყლის ჩადგომა და დაჭაობება.

– დარგის რეაბილიტაციის მიზნით ვფიქრობთ სპეციალისტების მიერ შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ჩაის პლანტაციები, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს ნარგავების ასაკი, ჯიშური შემადგენლობა, მეჩხერიანობა, დასარეველიანობის ხარისხი. ნიადაგში საკვები ელემენტების რაოდენობა, მელიორაციული ფონი და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას სჭირდება ფინანსები. ახლო მომავალში სასურველია ჩამოყალიბდეს ფერმერთა გაერთიანებები, კოოპერატივები, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით დარგის გრძელვადიანი დაკრედიტებით შექმნიან ისეთ მეურნეობრივ სტრუქტურას, რომელიც ჩაის ფოთლის ხარისხის ამაღლებით, ეტაპობრივად, სახელმწიფოს ხელშეწყობით მიაღწევენ დარგის რეაბილიტაციის გარკვეულ დონეს.

– ამჟამად, როცა დაკარგულია ტრადიციული დარგების პროდუქციის რეალიზაციის ბაზრები საქართველოს მოსახლეობა მძიმე სოციალური პირობების გამო იძულებულია უპირატესობა მიანიჭოს სასურსათო პროდუქტების მწარმო-

ებელი დარგების (მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოებას, პირუტყვისა და ფრინველების მოშენებას და უკანა პლანზე გადასწიოს ტრადიციული დარგების, მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მევენახეობის განვითარება.

– დღეისათვის ფაქტობრივად ჩამყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა შენარ ჩუნებული იქნება მანამდე, სანამ პროდუქციის გასაღების ყოფილი ბაზრების დაბრუნებით და ახალ ბაზრებზე დამკვიდრებით არ აღდგება ამ დარგების განვითარების ის მაშტაბები, რომელიც ქვეყანას გააჩნდა.

ზურაბ რევიშვილი

აბრარული სექტორის განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში

1. აგრარული სექტორის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაზე მრავალმხრივია. ერთის მხრივ, ის აწვდის სურსათსა და ნედლეულს ეკონომიკის სხვა სექტორებს, მეორეს მხრივ, იგი, შრომითი და ფინანსური რესურსების გადანაწილებით, ეხმარება სხვა განვითარებად სექტორებს, მესამე მხრივ, სხვა სექტორების პროდუქციას რომ იძენს და სოფლის მეურნეობის მოთხოვნას რომ ზრდის მათზე, ამით ხელს უწყობს სხვა არასასოფ-

ლო-სამეურნეო სექტორების გაფართოვებას, მთლიანად საშინაო ბაზრის მაშტაბების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტით, იგი გამოიმუშავებს სავალუტო შემოსავალს, რითაც დადებით გავლენას ახდენს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზე. იმპორტის—ჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოები თ, ამცირებს იმორტის საჭიროებას და ხელს უწყობს დადებითი სავაჭრო-ბალანსის ფორმირებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, ლოგიკურად უნდა მცირდებოდეს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში და ამავე დროს იზრდებოდეს მრეწველობისა და სხვა სექტორების წილი.

საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები, კერძოდ, მცირე ზომის სასოფლო შინამეურნეობების (ძირითადად გლეხური მეურნეობები) მაღალი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან წარმოებაში, მათი სასაქონლო წარმოების დაბალი დონე, დაბალი ტექნიკური შეიარაღება, დაბალი პროდუქტიულობა, უპირატესად თვით-უზრუნველყოფაზე ორიენტირება და მათი განვითარების ხელშემწყობი პირობების არ არსებობა, განაპირობებენ აგრარული სექტორის ზემოთ აღნიშნული ფუნქციების არაეფექტურად განხორციელებას.

2. ქვეყნის მთლიან დასაქმებაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით საქართველო 2004 წელს(ოფიციალური მონაცემებით 54,3%, ხოლო ექსპერტული მონაცემებით 40%) ჩამორჩებოდა მხოლოდ ალბანეთს(57%). ამავე პერიოდში ალბანეთის სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში შეადგენდა 46%-ს; შედარებით მაღალი ხვედრითი წილი დასაქმებულებისა სოფლის მეურნეობაში და დაბალი წილი სოფლის მეურნეობის მთლიან ეროვნულ პროდუქტში აღნიშნება რუმინეთს(31,6% და 13,1%). საქართველოს აღნიშნული მონაცემები ყველაზე კონტრასტულია, თუ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულებში 2000-2005წწ. შედგენდა 52-54%-ს, ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეცირდა 20,2%-დან 14,8%-მდე. ამგვარი კლება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების აშკარა მატებასთან ერთად, მეტყველებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირების ტენდენციაზე.

3. მსოფლიო გამოცდილებაში არ მოიპოვება მზა რეცეპტები მიწების დენაციონალიზაციის (განსახელმწიფოებრიობის) ეფექტური მოდელის შერჩევისათვის. საქართველოში აგრარული რეფორმა მოითხოვდა ღრმა, კომპლექსურ გააზრებას, მსგავსი მცირემიწიანი ქვეყნების გამოცდილე-

ბების მაქსიმალურად გათვალისწინებას, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების ეფექტური, პერსპექტიული მოდელის შერჩევას და სათანადო აგრარული პოლიტიკის განხორციელებას. ისეთი მცირემიწიანი ქვეენისათვის როგორც საქართველოა, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების სწორი პოლიტიკის შემუშავებას აქვს და ექნება სასიცოცხლო მნიშვნელობა.

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით 18,5%-ს სასოფლო შინამეურნეობებისა გააჩნდათ 0,2 ჰა-ზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწა, 24,7%-ს – 0,5 ჰა-ზე ნაკლები, 32% – სარგებლობდა 0,5-0,99 ჰა ფართობით, 18,3% – სარგებლობდა 1-1,99 ჰა ფართობით დამხოლოდ 3% სარგებლობდა 2-2,99 ჰა სავარგულით. მხოლოდ 3,5%-ს მეურნეობებისა სარგებლობდა 3 ჰა-ზე მეტი მიწით (სარგებლობაში არსებული სავარგული მოიცავს საკუთრებაში არსებულ და იჯარით აღებულ მიწებს). საქართველოში აუცილებელია მიწების განაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ოპტიმალური ზომის შინამეურნეობების ჩამოყალიბებისათვის უნდა განისაზღვროს შინამეურნეობების სარგებლობაში მინიმალური და მაქსიმალური მიწის ფართობების ნორმები, განხორციელდეს მიწის ბაზრის ისეთი რეგულირება, რომელიც

შეაჩერებს ნაკვეთების გადაჭარბებულ დაქუცმაცებულობისა და ფრაგმენტაციის გადიდებას; მიწების ყიდვისას, უპირატესობის უნდა მიენიჭოს მეზობელ მეურნეობებს და მათ ხელი უნდა შეეწეოს ნაკვეთების გამთლიანებასა და ოპტიმალურად გადიდებაში; უნდა დაინერგოს მიწების დაბეგვრის სათანადო დიფერენცირებული სისტემა. სპეციალიზაციისა და არსებული მიწის რესურსების გათვალისწინებით, მეურნეობების ოპტიმალური ზომები საქართველოს რიგ რეგიონებსა თუ რაიონებში იქნება განსხვავებული.

მარინე აჩელაშვილი, კლიმენტი აჩელაშვილი
ეკონომიკური ზრდის რეგიონულ-სტრუქტურული
მოდელი

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს. ამიტომ ეკონომიკური ზრდის რეგულირების პრობლემა ცენტრალურია მაკროეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ეკონომიკური ზრდის რეგულირება წარმოადგენს საკმაოდ რთულ პროცესს და მუდამ შედეგიანი არ არის. ამიტომ წარმოიქმნება ამ პრობლემის გადაწყვეტის ახალი მიმართულებების ძიების აუცილებლობა. კერძოდ, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება. ეკონომიკური

ზრდა, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის ცალკეული ნაწილების – მისი რეგიონების, განვითარების ეფექტიანობით.

ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების პრობლემის გამოკვლევა გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობაზე რეგიონული ფაქტორების გავლენის გათვალისწინებას. ამ გავლენის ხასიათის შესახებ ობიექტური რაოდენობრივი ინფორმაციის გარეშე ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება შეიძლება აღმოჩნდეს არაეფექტიანი და შეუძლებელიც კი. ეკონომიკურ ზრდაზე რეგიონული ფაქტორების გავლენის შესახებ აუცილებელი რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნას რეგიონულ-სტრუქტურული მონაცემების საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს რეალურ ურთიერთკავშირებს და ადაპტირებულია ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირებისადმი.

ზოგადი სახით რეგიონულ-სტრუქტურული მონაცემები წარმოადგენს იერარქიულ ორდონიან რეგრესიულ განტოლებათა სისტემას შესაბამისი სტატისტიკური შეფასებებით. ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენილია რეგიონების ერთობლიობით: $A_1, A_2, \dots, A_i, \dots, A_n$, რომელთაგან თითოეული ხასიათდება მთლიანი რეგიონული პროდუქტით (ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკისათვის მთლიანი

შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ანალოგს) და მისი შესაბამისი წარმოებრივი ფაქტორებით: კაპიტალის რეგიონული დანახარჯებით და შრომის რეგიონული დანახარჯებით.

მოდელის ზედა დონეზე აიგება აგრეგირებული ერთიანი რეგრესიული განტოლება (წარმოებრივი ფუნქცია), რომელიც აღწერს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებას რეგიონულ ჭრილში. მოდელის ქვედა დონეზე ყოველი რეგიონისათვის აიგება თავისი რეგრესიული განტოლება (წარმოებრივი ფუნქცია). ამის შედეგად ეროვნული ეკონომიკა წარმოდგენილი იქნება რეგრესიის განტოლებების სისტემით, რომელთაგან თითოეული შეესაბამება გარკვეულ რეგიონს.

ეკონომიკური ზრდის რეგიონულ-სტრუქტურულ მოდელს საფუძვლად უდევს ეკონომიკის ეროვნული და რეგიონული დონეების ურთიერთკავშირი. იგი იძლევა რეგიონულ ჭრილში ეროვნული ეკონომიკური განვითარებისა და ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების თავისებურებების ერთდროულად გათვალისწინების საშუალებას. შემოთავაზებული მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტის დროს: სიტუაციურ ანალიზში, რეგიონული ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებაში, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებაში, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე მისი შედეგების იმიტა-

ციაში, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ფორმირებაში.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების ფორმირების პროცედურა მთლიანი რეგიონული პროდუქტების, მთლიანი შიდა პროდუქტისა და შესაბამისი ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზირების დროს შეიძლება განხორციელდებულ იქნეს წარმოებრივი ფუნქციების საშუალებით. ყოველ ვარიანტს შეესაბამება ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციებს და უზრუნველყოფს რეგიონების მიხედვით წარმოების ფაქტორების გარკვეულ დონეს და მთლიანი რეგიონული პროდუქტები. მათი შეჯამების გზით განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტი. მთლიანი რეგიონული პროდუქტებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები ახასიათებენ მოცემული ვარიანტის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგს. ამასთან რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ეფექტიანობის ინტეგრალური შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ უნდა იქნეს აბსოლუტურ გამოხატულებაში ეკონომიკური ზრდის შედეგებისა და პოლიტიკის რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების შედარება.

ეკონომიკური ზრდის რეგიონულ-სტრუქტურულიზებული მოდელი აგებულ იქნა საქართველოს რეგიონებისათვის და

გამოყენებულ იქნა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ფორმირების დროს. ექსპერიმენტული წესით მის საფუძველზე ფორმირებულ იქნა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სამი ვარიანტი. ეკონომიკური ზრდა პირველი ვარიანტის მიხედვით შეადგენს 102,8%, ხოლო მეორეს მიხედვით – 103,8%, მესამეს მიხედვით კი – 104,4%. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი დონე მიიღწევა მესამე ვარიანტში. მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური ზრდის დონეზე ორიენტაციით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რომელი ვარიანტი წარმოადგენს ყველაზე მისაღებს, შეუძლებელია. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ყოველი ვარიანტი დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან. ამიტომ საჭიროა მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური ნაზრდის შედარება დანახარჯებთან, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკის მოცემული ვარიანტის რეალიზაციასთან. ამის შედეგად მიიღება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ეფექტიანობის ინტეგრალური შეფასებები. ინტეგრალური შეფასებებიდან გამომდინარე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე ეფექტიან ვარიანტს წარმოადგენს მეორე. ამ ვარიანტის დროს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მიღებულია საუკეთესო შედეგი უმცირესი დანახარჯების დროს: რეგიონული ეკონომიკური

პოლიტიკის გატარებისათვის დანახარჯის ერთ ლარზე მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტის 4,1 ლარი.

კახაბერ ციმინტია

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობა

რეგიონული კონკურენტუნარიანობა: არსებული მიდგომების მიმოხილვა. რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ეკონომიკური სუბიექტის კონკურენტუნარიანობის შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობები, განსაზღვრულ იქნეს რეგიონის უნარი გამოაგლინოს, შექმნას, გამოიყენოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობანი.

კონკურენტუნარიანობის შეფასების ამჟამად არსებულ მეთოდიათა უმრავლესობა გათვალისწინებულია მთლიანად ქვეყნისათვის. რეგიონის კონკურენტუნარიანობის კვლევისადმი კი ორი ძირითადი მიდგომა დომინირებს: პირველი, რეგიონს განიხილავენ, როგორც ფორმის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედ გარემოს და მეორე, განიხილება თვით რეგიონის, როგორც კონკურენტის სუბიექტის კონკურენტუნარიანობა.

კონკურენტუნარიანობის მეთოდის ჩამოყალიბებისას აქცენტი მისთვის პროგნოზირებადი ხასიათის მინიჭებაზეა

გაკეთებული. ამასთანავე, ყველაზე გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვა საზოგადოების პროგრესის უზრუნველყოფის მიმართულებით (*Amstrong M., Teylor J. (2000) Regional Economic and Policy. Third Edition. Blacwell Publishers, Great Britain: MPG Books, Bodmin, Cormwoll. Sachs J.D., Warner A. M. (2000) The World Competitiveness Report. Davos*). რაც შეეხება რეგიონს, იგი განხილულია როგორც ფირმათა კონკურენციის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი გარემო. მაგალითად, პორტერის “რომში” რეგიონი წარმოდგენილია ადგილობრივი პირობების ერთობლიობით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, რესურსების ძლიერი მიმწოდებლები და მძლავრი დამხმარე დარგების კომპლექსი („სამრეწველო კლასტერი“) (*Портер М. (1993) Международная конкуренция.*)

საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ავტორები ერთიან მიდგომას გამოხატავენ და მისი კვლევისას გლობალიზაციის პროცესის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზს, ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრას, რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერებას, კლასტერების კონცენტრაციის

თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრას ეყრდნობიან. ამასთანავე, ცდილობენ რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე შეაფასონ რეგიონების კონკურენტუნარიანობა (*ქარქაშაძე ნ., თოდუა ნ., მუშკულიანი ა. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006, №4.*)

რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდოლოგია გულისხმობს მაჩვენებლების შერჩევას, მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა შკალირების და კომპლექსური ინდექსის საფუძველზე რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეტაპებს. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის ჩვენს მიერ შემდეგი მაჩვენებლები იქნა წარმოდგენილი: **1) რეგიონის კონკურენტული უპირატესობის მაჩვენებლები.**

- ❖ რეგიონის ფაქტორული (რესურსული) უპირატესობა;
- ❖ რეგიონის ინვესტიციური უპირატესობა;
- ❖ რეგიონის ინფრასტრუქტურული უპირატესობა;
- ❖ რეგიონის ინოვაციური უპირატესობა;
- ❖ რეგიონის ინფორმაციული უპირატესობა;
- ❖ რეგიონის ინსტიტუციური უპირატესობა;
- ❖ რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესულობა.

2) რეგიონის კონკურენტუნარიანობის საშედეგო მაჩვენებლები.

- ❖ მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე;
- ❖ მთლიან რეგიონულ პროდუქტში ექსპორტის წილი;
- ❖ მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდის ტემპი.

აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით თითოეული რეგიონისთვის გაითვლება კონკურენტუნარიანობის კომპლექსური ინდექსები (ბარათაშვილი ე., ციმიწტია კ., ზარანდია ჯ. რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა). ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006, №11-12.).

წარმოდგენილი მეთოდიკით განხორციელებულმა გათვლებმა 2005 წლისთვის კონკურენტუნარიანობის ინდექსების მიხედვით საქართველოს რეგიონების შემდეგი რანჟირება მოგვცა: ქ. თბილისი – 0,78; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 0,39; კახეთის მხარე – 0,37; ქვემო ქართლის მხარე – 0,36; სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე – 0,33; გურიის მხარე – 0,32; მცხეთა- მთიანეთის მხარე – 0,31; შიდა ქართლის მხარე – 0,26; იმერეთის მხარე – 0,25; სამცხე-ჯავახეთის მხარე – 0,20; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე – 0,14.

**ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების
პერსპექტივები სოფლის მეურნეობის სფეროში**

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის, საკუთარ ტრადიციებთან ერთად, აუცილებელია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სათანადო კონცეპტუალური საფუძვლებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-გამოყენება სამეურნეო-მმართველობით პროცესში. ამ თვალსაზრისით მეტად სამაგალითოა ისრაელის ეკონომიკური განვითარება, რომლის ბიბლიურ, ისტორიულ, სოციალურ და ეთიკურ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია.

საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს შორის 1995-1998 წლებში გაფორმებულია ეკონომიკური ხასიათის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება, რის საფუძველზეც 1990-ანი წლების შუა პერიოდიდან ორ ქვეყანას შორის გაიშალა შესაბამისი მუშაობა, რომელიც ძირითადად აისახა ვაჭრობის, ინვესტიციების და ტრანსპორტის სფეროებში, აგრეთვე ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრ – მაშავის საქმიანობაში.

1990-ანი წლების აღმავლობამ ისრაელი მსოფლიოში მოწინავე ქვეყნების რიგში ჩააყენა. მსოფლიო საგაღუტო

ფონდის მიერ ისრაელს მრეწველურად განვითარებული ქვეყნის სტატუსი მიენიჭა. ისრაელს უდიდესი წარმატებები გააჩნია სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში.

ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში მოქმედებს კოოპერატივის ძირითადად ორი ტიპი – უნიკალური კოლექტიური ფორმაციები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნენ: კიბუცები („კომუნალური მეურნეობა“) და მოშავები („მუშათა დასახლებები“).

დღეისათვის კიბუცები და მოშავები დომინირებენ ისრაელის სოფლის მეურნეობაში, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

- მათ წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის 80%;
- ისინი ამუშავებენ სახნავი მიწების 70%-ს;
- ფლობენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ფონდების 75%-ს.

კიბუცები კოოპერატიულ ფორმას წარმოადგენენ, სადაც წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება ვრცელდება, ადგილი აქვს ასევე ცენტრალიზებულ განაწილებას. კიბუცის წევრები არ ღებულობენ გასამრჯელოს, მაგრამ უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო ნივთით. აქ მოქ-

მედებს ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კვება (საერთო სამზარეულო, საერთო სასადილო), საერთო სამრეცხაო და ა.შ., სადაც ადამიანები სამუშაოს მორიგეობით ასრულებენ. კიბუცებში ცხოვრობს ისრაელის მოსახლეობის 3%. მთლიანად კიბუცების რაოდენობა სამასს აღწევს. კიბუცები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გარდა აგრეთვე ეწევიან სამრეწველო საქმიანობას და ემსახურებიან ტურისტებს, რაც მათ მოქნილობას ადასტურებს.

მოშავეები კიბუცებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქ თითოეულ ოჯახს თვითონ მიჰყავს მეურნეობა, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია კოლექტიურ საწყისებზე ხორციელდება. ყოველ ცალკეულ მოშავეში გაერთიანებულია 60-მდე ოჯახი, რომლებსაც საკუთარი სახლი და მიწის ნაკვეთი გააჩნია. ისრაელის მოსახლეობის 3,5% ცხოვრობს მოშავეებში, რომელთა რიცხვი ქვეყანაში 450-მდეა.

ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი – „მაშავი“ აქტიურად ეხმარება განვითარებად ქვეყნებს და უზიარებს მათ ისრაელის გამოცდილებას მთელ რიგ დარგებში. „მაშავი“ საქართველოში ისრაელის საელჩოს დაარსებიდან ფუნქციონირებს. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, შესაძლებლობა მისცეს ქართველ სპეციალისტებს კვალიფიკაცია აიმაღლონ ისრაელის წამყვან სასწავლო და-

წესებულებებში. მაშავის პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის: ეკონომიკური და სოციალური განვითარება; სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები; განათლება და სხვ.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ისრაელ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სახელდობრ აუცილებელია:

- არსებული შეთანხმებების შესრულების კოორდინაციისა და კონტროლის გაძლიერება. ახალი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადება;
- საქართველოში ბიზნეს-გარემოს სრულყოფა და ისრაელ ინვესტორთა მოზიდვის მოწესრიგება;
- ქართველ ბიზნესმენტთა გააქტიურება, კონკრეტული პროექტების შემუშავება და ისრაელ ინვესტორთათვის წარდგენა;
- სათანადო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება;
- ისრაელის ორგანიზაცია „მაშავთან“ კავშირურთიერთობების გაღრმავება.

კონკრეტულად, საჭირო და შესაძლებელია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში სპეციალი-

ზებული ცენტრის შექმნა, რომელიც იმუშავებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა:

- ისრაელის სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოდელი და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი პრაქტიკა;
- ებრაული სასოფლო-სამეურნეო ფენომენის – კიბუცების და მოშავების ფუნქციონირება, ეკონომიკა და მართვა;
- ისრაელის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები;
- ისრაელის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-გამოყენება საქართველოში;

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოსა და ისრაელის ზოგადეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო კავშირების განმტკიცებასა და შემდგომ პროგრესულ განვითარებას.

**ბუნებათსარგებლობისა და ბარემოს დაცვის ეკონომიკის
სემცია**

თინა ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, ქეთინო ქველაძე
**ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების
ზოგიერთი ასპექტი საქართველოში**

ეკონომიკურ-ეკოლოგიურ პოლიტიკის შემუშავების, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გადაწყვეტილებების მიღების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების ადეკვატური ღირებულებითი შეფასება, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება ასრულებს ორ ფუნქციას: სააღრიცხვოსა (იძლევა პასუხს – რა გვაქვს) და მასტიმულირებელს. ეს რესურსების რაციონალური გამოყენების, მათი კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნის, ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის დადგენის, გარემო ბუნების გაჭუჭყიანებისათვის გადასახა-

დების კორექტირებისა და ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

სამწუხაროდ, საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს, პრაქტიკულად, გარემო ბუნების დაცვითი ფაქტორების გათვალისწინებისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ადექვატური ღირებულებებითი შეფასების გარეშე.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული სიტუაცია, ეკონომიკაში ბუნებრივი სიმდიდრის უფასოდ ან არასაბაზრო ფასებში გამოყენებისა, გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ბუნებრივი რესურსების არარაციონალური სარგებლობისა და გარემოს ბუნების დაბინძურებისა, რამაც შექმნა რთული ეკოლოგიური მდგომარეობა, ხოლო ზოგიერთ რაიონში და ქალაქში კატასტროფულიც კი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის რეალური ფასების დადგენა შეიძლება გახდეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანი ინსტრუმენტი. მათი გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს უფრო დასაბუთებულად განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ალტერნატიული ვარიანტების ეკონომიკური ეფექტიანობა. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, აქტიურად განიხილება ჰესების, როგორც ყველაზე

იაფი ენერჯის წყაროს, მშენებლობის საკითხი. თუმცა, ადვილად შესაძლებელია, რომ მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩეს იმ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ზარალს, რომელიც მიღებულ იქნება ჰესების მშენებლობის შედეგად ნაყოფიერი მიწების დატბორვით. ამიტომ უნდა ჩატარდეს გაანგარიშებები და მოხდეს პროგნოზული ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების შედარება.

ბუნებრივი რესურსების არაადექვატური შეფასება იწვევს ეკონომიკის ეკოლოგიზაციის ეფექტიანობის შემცირებას, აფერხებს მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროცესს, წარმოშობს წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და გარემოს ბუნების დაცვის ინტერესებს შორის.

აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რეალური საბაზრო ღირებულებით ჩართვა ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში, რაც ჯერ-ჯერობით არ ხდება და კიდევ ერთხელ მოწმობს მაკროეკონომიკურ დონეზე ეკოლოგიური ფაქტორის გაუთვალისწინებლობას. მაშინ როცა სწორედ ამ დონეზე წარმოებს ეკონომიკური განვითარების ვარიანტთა არჩევა, რომლის დროსაც დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიოს ეკონომიკის ზრდის ტემპებზე.

ბუნებრივი რესურსების არასწორი ეკონომიკური შეფასება განაპირობებს, როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე სოციალური პროგრესის მაჩვენებლების დამახინჯებას. ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში არსებული ტრადიციული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მშპ, მეპ, ე.შ. და სხვა) არ ითვალისწინებენ და არ ასახავენ ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიურ შედეგებს – ბუნებრივი რესურსების ამოწურვას და გაქრობას, მათი ხარისხის გაუარესებას და სხვ.

მაშასადამე, საქართველოს ორიენტაციამ არაეკოლოგიზებულ ტრადიციულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, შეიძლება გააღრმავოს არამდგრადი განვითარების პროცესები, ამიტომ აუცილებელია მათი კორექტირება ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

ზურაბ ნოზაძე

საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების ბაზმჯობისების ზორბიერთი საკითხი

საქართველოს ეკოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული სიმწვავეით დგას წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხი, რომლის გადაჭრა ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გთავაზობთ ზოგიერთ მოსაზრებას საქართველოს წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიმართულებით.

1. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ერთ-ერთი ფაქტორია წყლის დანაკარგების მაქსიმალური შემცირება, წყლის ხარჯვაზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

2. წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური მოხმარების საქმეს ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური პროცესების წყალტევადობის შემცირება, წყლის გაწმენდის პროგრესული მეთოდების სწრაფი დანერგვა, წყლის ადებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ზღვრულად დასაშვები მოცულობის ნორმატივების შემოღება.

3. უნდა დაწესდეს გადასახადები გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის, რომელიც დიფერენცირებული იქნება ჩაშვებული წყლის ინგრედიენტული შემადგენლობის მიხედვით.

4. ბუნებით სარგებლობის კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების ჩაშვებაზე გადასახადების განსაზღვრის მეთოდოლოგიურ პრინციპებს და წინადადებებს.

5. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სამსახური, რომელიც განახორციელებს პროექტის შედგენას გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე გამწმენდი ნაგებობების ტიპების შერჩევის საქმეს. ასეთი მიდგომა აამაღლებს გამწმენდი ნაგებობების ეფექტიანობას.

6. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების დანერგვა ბუნებათსარგებლობის არსებული პრინციპების გათვალისწინებით შესაბამისი სამსახურების მიერ.

7. ბუნებადაცვითი საქმიანობის დაფინანსების ახალი სახელმწიფო მექანიზმის ფორმირება, ეკოლოგიური დანიშნულების არასაბიუჯეტო ფონდების სისტემისა და მათი წარმოქმნის მიზნობრივი წყაროების ჩათვლით, ბუნებადაცვითი საქმიანობის ეკონომიკური სტიმულირების ეფექტიანი სისტემის შექმნა.

8. წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასების სიზუსტის ასამაღლებად მიზანშეწონილია პირველადი ანგარიშგების ფორმების სრულყოფა ჩამდინარე წყლების ქიმიური შემადგენლობის ნაწილში.

9. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საწარმოებს დაუწესდეთ ნორმატიული გადასახადი წყლის რესურსებით

სარგებლობისა და გარემოში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გამოყოფისათვის. გადასახადის სიდიდის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იქნას ბუნებრივი რესურსების გაგრძელების, ათვისებისა და კვლავწარმოების შესაძლებლობის პირობები, პროდუქტიულობა, კომპლექსურობა, ადგილსამყოფელი, სტრატეგიული მნიშვნელობა და სხვა ფაქტორები.

10. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაზრდის საწარმოების პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში. ყველა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და აღდგენა, მომჭირნედ მოიხმაროს ისინი წარმოების პროცესში, დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისგან.

რამაზი შაინიძე

**აჭარის ტყეებში არსებული პრობლემები და მისი
ბამოსწორების ბზები**

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია ადამიანთა საზოგადოების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გარემოზე, რამაც გამოიწვია ეკოლოგიური კანონზომიერების დარღვევა.

აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

ტყის ეკოსისტემები ხელს უწყობენ გარემოს მდგრადობას და მის რეგულირებას, ის განსაზღვრავს ეკოსისტემის სოციალურ-ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას. ისინი ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან (ნიადაგდაცვით კლიმატ-მარეგულირებელ, რეკრიაციულ-სანიტარულ წყალმომაწვსრიგებელ და სხვა) ფუნქციებს.

საქართველოს ტყის ფონდის მიწები წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, მისი საერთო ფართობი 2 მლნ. 988 ათასი ჰექტარია, აქედან ტყით დაფარულია 2 მლნ. 767,3 კვ.კმ., რაც შეადგენს საქართველოს მთელი ტერიტორიის 40%-ს. აქედან აჭარაში 191 ათასი ჰექტარი სატყეო ფართობია, აქედან ტყით დაფარულია 182 658 ჰა. ტყის ფართობების 95% მთის ფერდობზეა განლაგებული. ფერდობთა 60%-ზე მეტი 36 გრადუსზე მეტი დაქანებისაა.

აჭარა რთული რელიეფის მქონე რეგიონია, რასაც მდინარეთა ღრმა ხეობები იწვევს. შავი ზღვაც ასევე დიდ გავლენას ახდენს მცენარეთა გავრცელებაზე. აჭარის ტერიტორიაზე 1900-ზე მეტი სახეობის მცენარე იზრდება, რომელთაგანაც 150 სახეობაზე მეტი მერქნიანი მცენარეებია. მერქნიან მცენარეთა დიდი ნაწილი მესამეული პერიოდის რელიქტია, რომლებიც წარმოადგენენ ტყის შემქნელ ძირი-

თად სახეობებს, ამიტომაც მათი დაცვა-აღდგენა სავალდებულოა. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების მიმდინარე და საშუალო ნამატი, ტყეებში მიმდინარე ყველა სახეობების ჭრებით ხე-ტყის დამზადება.

ხე-ტყის შემქმნელი მიმდინარე ნამატი შევისწავლეთ ფორმულით:

$$Z_s = S - S_1$$

სადაც, Z_s – არის მიმდინარე ნამატი,

S – რომელიმე სატაქსაციო ნიშნის რომელიმე ნამატი,

S_1 – იმავე სატაქსაციო ნიშნის ერთი წლის წინანდელი სიდიდე.

ხოლო საშუალო ნამატი გამოვიანგარიშეთ ფორმულით:

$$V_s = \frac{S}{A}$$

სადაც, V_s – არის საშუალო ნამატი,

S – ხის ან კორომის რომელიმე სატაქსაციო ნიშანი,

A – ხნოვანება.

მიმდინარე და საშუალო ნამატის ყოველწლიურ ჭრებთან შედარებით აღმოჩნდა რომ აჭარის ტყეებში უფრო მეტი

რაოდენობით ხე-ტყე იჭრება, ვიდრე ტყის საშუალო ნამატია.

სატყეო ფართობების შემცირებას იწვევს აგრეთვე ბუნების დესტრუქციული მოვლენები, დაავადებები, ცხოველთა გადაჭარბებული ძოვება, ცხოველებისათვის საზამთროდ საკვების დამზადება და სხვა. თავისთავად ეს იწვევს ტყით დაფარული ფართობების შემცირებას, მთებში ტყის საზღვრების დაბლა დაწევას, ეროზირებული და მეწყერული პროცესების ზრდას და მოსახლეობის მიგრაციას მეწყერული ზონებიდან.

ზემოთ აღნიშნული მოვლენების თავიდან დაღწევის მიზნით საჭიროა სატყეო მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება და მკაცრი კონტროლი მისი სწორად განხორციელებისათვის. რა თქმა უნდა ამისათვის საჭიროა სატყეო მეურნეობის დაფინანსება.

მამუკა ხუსკივაძე, თინა ჩხეიძე,

ქეთინო ქველაძე, ეკა არონია

მდგარად განვითარებაზე გადასვლის ზოგიერთი

აქტუალური საკითხი

მე-20 საუკუნეში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ, ორიენტირებულმა ეკონომიკური ზრდის სწრაფ ტემპებზე, უდიდესი ზიანი მიაყენა გარემო ბუნებას და საფუძველი ჩაუყარა ლოკალური ეკოლოგიური კრიზისების გლობალურში გადაზრდის საშიშროებას. თუმცადა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ბიო-გეო სამყაროზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვან გაძლიერებასთან დაკავშირებით ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელი ცვლილებებს განიცდის. იმართება დისკუსიები შემდგომი ეკონომიკური ზრდის მიზანშეწონილობისა და გარემო ბუნების მდგომარეობაზე მკაცრი კონტროლის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. დისკუსიებისა და მსოფლიო სამეცნიერო წრეების აქტიური მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა „მდგრადი განვითარების“ მოდელი, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მიმდინარე მოთხოვნილებების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომ ხელი არ შეეშალოს მომავალში კოევოლუციის ანუ საზოგადოებისა და გარემო ბუნების ჰარმონიული განვითარების ამოცანის გადაწყვეტას.

პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის დასაწყისში, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მიმართ საქართველოს ეკონომიკა აღმოჩნდა სტრუქტურულად და ინსტიტუციონალურად დეფორმირებული და არაეფექტური.

მისი ნეგატიური ზემოქმედება გარემო ბუნების მდგომარეობაზე საგრძნობლად მაღალია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ძირითადი საწარმოო ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ პასუხობს თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ხოლო ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 80-85% წარმოადგენს ეკოლოგიურად არახელსაყრელს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოსათვის, სადაც პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს, პრაქტიკულად როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის საკითხის აქტუალიზაცია წარმოადგენს დროის ობიექტურ მოთხოვნას. მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

– მდგრად განვითარებაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რამაც უნდა განსაზღვროს ამგვარი განვითარების სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტრუმენტები;

– ქვეყნისა და მისი რეგიონული (ტერიტორიული) ერთეულების სამეურნეო ტევადობის შეფასება და იქ არსებულ ლოკალურ ეკოსისტემებზე დასაშვები ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა;

– ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და მისი რეალიზაციის ეკოლოგიურ შედეგებზე პასუხისმგებლობის საზღვრების დადგენა, რომლის დროსაც ბიოსფერო წარმოიდგინება არა მხოლოდ როგორც ბუნებრივი რესურსების მომწოდებელი, არამედ როგორც სიცოცხლის წყარო, რომლის შენარჩუნებაც უნდა გახდეს აუცილებელი პირობა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისთვის;

– ქვეყანაში არსებული ინსტიტუციების მდგრადი განვითარების მოთხოვნებზე ადეკვატური ორიენტაცია და მათი მარეგულირებელი როლის გაძლიერება.

მაია სოსელია

**ეკონომიკური განვითარებისა და მაკროეკონომიკურ
მოდელში რესურსთა დანიშნულების კავშირურთი-
ერთობის საკითხები**

ბუნებათსარგებლობა მაკროეკონომიკურ სისტემაში ექვემდებარება ფაქტორების ერთობლიობას. ესენია:

- რესურსული (აბსოლუტური და შეფარდებითი რესურსები და ისტორიული რეტროსპექტივაში მათი ცვალებადობა);
- მოთხოვნისა და მოწოდების შეთანაწყობა რესურსებზე სხვადასხვა ფასების პირობებში;
- ეკონომიკური ზრდა „ძველი“ რესურსების ამოწურვისა და „ახალი“ რესურსების შემოტანის პირობებში;

მაკროეკონომიკურ მოდელში რესურსები აბსოლუტური (სასარგებლო წიაღისეულის არსებობა) და შეფარდებითი (მათ სივრცეში განფენილობის კანონზომიერება) სახით წარმოგვიდგება. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად რესურსული ფაქტორის როლი მაკროეკონომიკურ მოდელში მუდმივ ცვალებადობას განიცდის.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე გადამწყვეტ როლს აგროკლიმატური რესურსები თამაშობდნენ. სასარგებლო წიაღისეულის არსებობამ, მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკური განვითარებისათვის, შუა საუკუნეებში შეიძინა.

ბუნებათსარგებლობის სისტემაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს „გადახდის მზადყოფნის“ პრინციპი წარმოადგენს.

ბუნებათსარგებლობის პროცესების მოდელირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სივრცის ეკონომიკური ფუნქ-

ციონირების თეორიას, იგი ხსნის საბაზრო ცენტრებიდან დაშორებასთან დაკავშირებული ბუნებათსარგებლობის ინტენსიურობის შემცირებას; აგრეთვე მნიშვნელოვანია საქალაქო მულტიპლიკატორის მოდელი, რომელიც ახასიათებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში ახალი საბადოების ექსპულატაციაში შემოტანის როლს.

ბუნებათსარგებლობის მაკროეკონომიკური პრობლემები დაკავშირებულია რესურსების ფასების დინამიკასთან, საზოგადოებრივი მოდელების მათთან დამოკიდებულების და გამოყენების ცვლასთან. გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსების როლის ცვლა ეკონომიკური განვითარების ისტორიასა და სახელმწიფოთაშორის რესურსულ კონფლიქტში. ამ დროს მთავარ კრიტერიუმად გვევლინება რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკური ზრდის მდგრადობა.

ბუნებათსარგებლობის სფეროში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ რესურსებსა და ტერიტორიებზე საერთაშორისო შეთანხმებებით მიღწეულ ეროვნულ იურიდიქციებს.

არსებული საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ბუნებათსარგებლობა შეიძლება განხორციელდებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებში, რომლის დარღვევას რესურსულ დავასთან და საერთაშორისო კონ-

ფლიქტებთან მიყვებართ. როგორც წესი, საერთაშორისო კონფლიქტებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი ძალზე დიდია.

მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრების დადგენა, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერიტორიების გამოყენების შესახებ შეთანხმების მიღწევა.

ბუნებათსარგებლობის თავისებურებები გავლენას ახდენს არამარტო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებზეც. რესურსთა ამოწურვასთან და სამეურნეო ბრუნვაში ახალი საბადოების შემოტანასთან დაკავშირებული რესურსული დაკვირვებები ხშირად ართულებენ საერთაშორისო კონფლიქტებს.

სახელმწიფოები პრეტენზიებს უყენებენ ერთმანეთს იმ ტერიტორიების გამო, რომელთაც გააჩნიათ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, დაურეგულირებელი სახელმწიფო საზღვრები.

მსოფლიოში არსებული და პოტენციური ბუნებათსარგებლობის დაკვირვებები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდისათვის. მათ ბუნებრივ და ტექნოლოგიურ კატასტროფამდე მიყვანა შეუძლიათ. ეკონომიკური ისტორიაში მრავალი თვალსაჩინო მაგალითი არსებობს რესურსთა გამოყენების გამო წარმოშობილი კონფლიქტებისა.

ბუნებათსარგებლობის მაკროეკონომიკა განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებათსარგებლობის მოდელებისა და პრინციპების შეცვლასთან, აგრეთვე ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო იურისდიქციის საკითხებთან.

ამ პრობლემების მნიშვნელობა სცილდება ბუნებათსარგებლობის ჩარჩოებს და უშუალოდ უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, იმდენად რამდენადაც სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტები დაკავშირებულია რესურსების ფლობასა და განკარგვაზე, რომელიც ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბუსაჰმ რამაზი** – ე.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

2. **არევაძე ნანული** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
3. **არნანია-კეკელიძე თამილა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
4. **არონია ეკა** – მაძიებელი
5. **აროშიძე პაატა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
6. **აჩელაშვილი მარინე** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
7. **აჩელაშვილი კლიმენტი** – ე.მ.დ., თსუ ასოცირებული პროფესორი
8. **ახალაია ვლადიმერი** – ე.მ.დ., პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. **ბაუჩაძე ბესიკი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
10. **ბერულავა ბიორბი** - ე.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11. **ბოლქვაძე ბესიკი** – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

12. **ბურღული ვახტანგი** – ე.მ.დ., პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
13. **ბელაშვილი სიმონი** – ე.მ.დ. პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი
14. **ბველესიანი მერაბი** – ე.მ.კ.
15. **დათუნაშვილი ლინა** – ე.მ.კ., დოცენტი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
16. **დავლაშვიტი ნატა** – ე.მ.კ. ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
17. **თეთრაული არჩილი** – ე.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
18. **თოიბე მარია** – ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მასწავლებელი
19. **თოთლაძე ლია** – ე.მ.კ. ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
20. **კაკულია ეთერი** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

21. **კაკულია ნაზირა** – ე.მ.კ. ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22. **კვარაცხელია მურმანი** – ე.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
23. **კურატაშვილი ალფრედი** – ე.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
24. **კუსრაშვილი ელზა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
25. **ლაზარაშვილი თეა** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
26. **ლორთქიფანიძე რევაზი** – ე.მ.დ.
27. **მამულაძე ბელა** – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი
28. **მეყანაშვილი ეკატერინე** – თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორი
29. **მიქელაძე ელზარდი** – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი
30. **მუხიაშვილი მარინა** – თსუ ასოცირებული პროფესორი

31. **ნოზაქმ ზურაბი** – ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
32. **პაპავა ბიორბი** – ე.მ.დ., პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტი
33. **რევიშვილი ზურაბი** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
34. **სოსელია მანია** – თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორი
35. **ქავთარაძე თენგიზი** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
36. **ქათამაძე ღავითი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
37. **ქისტაური ნუნუ** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
38. **ქველაძე ქეთინო** – ე.მ.კ.
39. **ქურღაძე თინათინი** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
40. **შანიძე რამაზი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
41. **შიხაშვილი ბიორბი** – ე.მ.დ. პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

42. **შიხაშვილი მამუკა** – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
43. **ჩხეიძე თინა** – ს.მ.მ.დ. პროფესორი, ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
44. **ციმინტია კახაბერი** – ე.მ.დ. სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
45. **ცუცქირიძე მარინე** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
46. **ხაღური ნოდარი** – ე.მ.კ. თსუ სრული პროფესორი
47. **ხუსკივაძე მამუკა** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
48. **ჯავახიშვილი რევაზი** – ე.მ.კ., ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

სარჩევნო

ეკონომიკური თეორიის სექცია

აღფრედ კურატა შვილი

სოციალური მიზნის ფილოსოფია – საბაზრო ეკონომიკის აღამიანის ინტერესებზე ორიენტაციის ამოსავალი თეორიული საფუძველი - - - - - 3

გიორგი პაპავა

პოსტკომუნისტური ეკონომიკა უნდა იყოს ნორმალიზებული შერეული საბაზრო ეკონომიკა - - - - - 6

მურმან კვარაცხელია

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური უხედილებები და თანამედროვეობა - - - - - 11

მერაბ გველეხიანი

ბანკოთარების ეკონომიკური პოლიტიკა და მუნიციპალური რეფორმის ძირითადი პრობლემა - - - - - 17

გიორგი შიხაშვილი

პიტერ ღრაკერი მენეჯმენტის ახალი პარადიგმების შესახებ - - - - - 21

ნაზირა კაკულია

ინსტიტუციონალური ცვლილებების აუცილებლობა ნეკროეკონომიკური პრობლემების დაძლევის პროცესში - - - 25

ლია თოთლაძე

სავალუტო რისკების დაზღვევის საკითხისათვის - - - - - 29

მარინე ცუცქირიძე

ეკონომიკური ბანკოთარების პროცესების მართვის მეთოდოლოგიური საკითხისათვის - - - - - 32

ნათა დავლაშიერიძე

ГОСУДАРСТВЕННАЯ ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА НА ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ ----- 34

ბესიკ ბაუჩაძე

ეკონომიკის რესტრუქტურისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განყოფილება, თბილისი
თვისობრივი ბარდაქმნის სპეციფიკური პროცესი
ბარდაგადასახელებული პერიოდში ----- 39

მაკროეკონომიკის, სამართაშორისო ეკონომიკის სექცია

არჩილ თეთრაული

ეკონომიკის განვითარებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემები საქართველოში - - - 43

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები აოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში - - - - - 46

ნოდარ ხადური

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში - - - - - 52

სიმონ გელაშვილი

სტატისტიკური იმპუტაცია – ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის თანამედროვე მეთოდი - - - - - 54

ელადიმერ ახალაია

სამართაშორისო ტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში - - - - - 58

თეა ლაზარაშვილი

ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები და გზები საქართველოში - - - - - 61

ნანული არევაძე

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები - - 64

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები - - - - - 67

მარინა მუჩიაშვილი, ელზა კუსრაშვილი

საქართველოს ეკონომიკური ზრდა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები - - - - - 71

თინათინ ქურდაძე

საბაღასახალო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში - - - - - 75

ბესიკ ბოლქვაძე

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში - - - - - 78

დავით ქათამაძე

საქართველოს საბარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ამოცანები - - - - - 81

ელეონორე მიქელაძე, გელა მამულაძე

სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში - - - - - 85

ეკატერინე მეყანწიშვილი

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ტენდენციები და საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ფინანსურ სფეროში - - - - - 88

სექტორული ეკონომიკის, მიკროეკონომიკის სექცია

Георгий Берулава

ТЕОРИЯ ТРАНЗАКЦИОННЫХ ИЗДЕРЖЕК И ДОВЕРИЕ - - - - 92

რევაზ ლორთქიფანიძე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების
თეორიისა და პრაქტიკის საკითხების შესახებ - - - - - 97

ეთერ კაკულია

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პრობ-
ლემები და მისი გადაჭრის ზოგიერთი მიმართულება - - - 101

ნუნუ ქისტაური

მსხვილ საწარმოთა სახელმწიფოებრივი რეგულირე-
ბის პრობლემები და საქართველო - - - - - 105

პაატა აროშიძე, მანია თოიძე

სარეკლამო სტრატეგიის უსიძლოებიური ასექტები - - - 109

თამილა არნანია-კეპულაძე

სამუშაო კალის ღირებულების განსაზღვრის მეთოდობა
მასზე ბაზუული დანახარჯების თვალსაზრისით - - - - - 113

Giorgi Berulava

THE IMPACT OF TRUST ON THE OF TRANSACTION GOVER-
NANCE BETWEEN MANUFACTURER AND DISTRIBUTOR - - - - - 117

თამილა არნანია-კეპულაძე

სამუშაო კალის ბაზრის მოდელირების თეორიული
საფუძვლები და მისი თავისებურებანი საქართველოში - - 121

რეგიონული ეკონომიკის, აბრარული ეკონომიკის სექცია

ვახტანგ ბურდული

ტერიტორიული ერთეულების აბროსამრეწველო კომ-
ლექსში საწარმოების შემენის და უნქცირონირების
ინსტიტუციური საფუძვლები - - - - - 126

თენგიზ ქავთარაძე

სოფლის მუშრნეობის განვითარების პრობლემები
თანამედროვე ეტაპზე - - - - - 130

ლინა დათუნა შვილი

სოფლის მეურნეობის საწარმოო შესაძლებლობების
ევაქტიანად გამოყენების გზები რეპრონულ ჭრილში - - - 134

ზურაბ რევიშვილი

აბრარული სექტორის განვითარების აქტუალური საკით-
ხები საქართველოში - - - - - 140

მარინე აჩელაშვილი, კლიმენტი აჩელაშვილი

ეკონომიკური ზრდის რეპრონულ-სტრუქტურული
მოდელი - - - - - 144

კახაბერ ციმიცია

საქართველოს რეპრონების კონკურენტუნარიანობა - - - - 149

მამუკა შინაშვილი

ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობე-
ბის პერსპექტივები სოფლის მეურნეობის სფეროში - - - - 152

**ბუნებათსარბებლობისა და ბარემოს დაცვის ეკონომიკის
სექცია**

თინა ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, ქეთინო ქველაძე

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების ზო-
ბიერთი ასპექტი საქართველოში - - - - - 158

ზურაბ ნოზაძე

საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების
ბაუმჟობების ზორბიერთი საკითხი - - - - - 161

რამაზი შინიძე

აჭარის ტყეებში არსებული პრობლემები და მისი
ბამოსწორების გზები - - - - - 164

მამუკა ხუსკივაძე, თინა ჩხეიძე, ქეთინო ქველაძე, ეკა არონია

მღბარად განვითარებაზე ბადასვლის ზობიერთი აქტუ-
ალური საკითხი - - - - - 167

მაია ხოსელია

ეკონომიკური განვითარებისა და მაკროეკონომიკურ
მოდელში რესურსთა დანიშნულების კავშირშრიმერ-
თობის საკითხები - - - - - 170

კონფერენციის მონაწილეები - - - - - 174

დაიბეჭდა საქართველოს ს.ს.ი.პ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

გამომცემლობის რედაქტორი:

გადაეცა წარმოებას 12.2007; ქადაღდის ზომა
პირობითი ნაბეჭდი თაბახი ; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი ; ტირაჟი 100.

დაიბეჭდა გამომცემლობა “მერიდიანში”
